# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 24 თებერვალი, 2007 წელი.

№ 36 (5637)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## შესვლა? გამოსვლა? - საფიქრალი აი, ეს არის!..

ანუ, ნატოში შესვლა და დსთ-დან გამოსვლა...



3-4



## რატომ ახსენებს ბენდუქიძე ასე ხშირად პენსიებთან ერთად ბუასილს?

5

## მხოლოდ იანვარში შთანთქმული მილიონები

2

## 14 წლის გოგონები მუცელს იწყვეტენ!



13



## ჰომოსექსუალიზმი და კალათბურთი

## ჩვენი შეიარაღებული ძალები განვითარების ახალ ეტაპს იწყებენ

10



## საჯარო დარბევა „საჯაროში"

ხელბორკილი – მეცნიერთათვის



8

● **ხელისუფლებას უკიჟინებენ, ხელოვნებას, შემოქმედებით კავშირებს სულს ართმევ, აჩანაგებო, მაგრამ, თურმე, სულ ტყუილად — სახელოვნებო პროგრამებისთვის ერთ თვეში 1 300 000 ლარის გალება ხუმრობაა? არ გჯერათ? ფინანსთა სამინისტროს ზემოხსენებულ ოფიციალურ მონაცემებში ასეა აღნუსხული, და...**



№ 36. შაბათი, 24 თებერვალი, 2007 წელი.

## ◉ სარწმუნოება

# უწმინდესი მოსკოვში პირდაპირი რეისით ჩაფრინდება



**როგორც საქართველოში რუსეთის ფედერაციის ელჩის მრჩეველმა ივან ვოლინკინმა განაცხადა, რუსულმა მხარემ დააკმაყოფილა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თხოვნა მოსკოვში პირდაპირი რეისით გამგზავრების შესახებ.**

საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია რუსეთის დედაქალაქში 1 მარტს ჩარტერული რეისით გაემგზავრება. უწმინდესი და უნეტარესი ილია II, ქართული სასულიერო პირები, ხელოვანები და ბიზნესმენები მოსკოვში „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ მე-13 ტომის პრეზენტაციას მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი II მიწვევით დაესწრებიან.

„მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ მე-13 ტომის სტატიათა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოსა და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ეხება.

ენციკლოპედიის პრეზენტაცია მოსკოვში, მაცხოვრის ტაძარში 2 მარტს გაიმართება. ამავე დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რუსულ საზოგადოებას ტრილოგიის „ნათელი ქრისტესი. საქართველო“ ორ წიგნს წარუდგენს.

4 მარტს კი რუსეთისა და საქართველოს პატრიარქები კრემლის მიძინების ტაძარში ერთობლივ ლიტურგიას გადაიხდიან.

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ პრეზენტაცია

# თანამდებობის პირებს ქონების დამალვა გაუჭირდებათ

**გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს რეფორმის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა.**

ბიუროს რეფორმა გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდის მმართველობის რეფორმის პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

2006 წლის მარტში დაწყებული „თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს რეფორმის“ პროექტის ფარგლებში მომზადდა „თანამდებობის პირთა ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის პროექტი და ბიუროს ვებგვერდი: www.declaration.telenet.ge, სადაც დაინტერესებულ პირს ბიუროს ფუნქციების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შეუძლია.

„თანამდებობის პირთა ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის პროექტის თანახმად, საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციები ერთ დეკლარაციად გაერთიანდება, გამარტივდება და, ამავდროულად, უფრო ინფორმაციული გახდება. თანამდებობის პირები სამ კატეგორიად დაიყოფა და მათი დეკლარაციის ფორმა თანამდებობრივ მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული. პირველი ჯგუფის თანამდებობის პირებს ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის აღწერა უფრო დეტალურად მოეთხოვებათ.

ამ კანონპროექტის კიდევ ერთი სიახლის თანახმად, თანამდებობის პირს დეკლარაციის შევსება წელიწადში ერთხელ მოუწევს და — ვადა მისი დანიშვნის თარიღზე იქნება დამოკიდებული. ამ კანონპროექტის ძალაში შესვლამდე თანამდებობის პირები დეკლარაციებს ყოველი წლის 1 აპრილამდე ავსებდნენ. ზოგჯერ თანამდებობის პირს წელიწადში რამდენჯერმე უწევდა დეკლარაციის შევსება. გარდა ამისა, ამჯერად თანამდებობის პირს დეკლარაციაში მხოლოდ იმ მონაცემების შეტანა მოუწევს, რა ცვლილებაც განიცადა მისი ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის წინა დეკლარაციის შევსების შემდეგ.

ბიუროს ინტერნეტგვერდი სამსახურის გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად დამზადდა. მასზე მოცემულია სამსახურის სტრუქტურა, საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დეკლარაციების წარდგენის ვადები, ამ ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის დაწესებული სანქციები და ამ სფეროში არსებული სხვა სიახლეები.



„ეს პროექტი ჩვენი საჯარო სექტორის დახვეწას შეუწყობს ხელს. იგი უფრო ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე გახდება. ასე რომ, ამ პროექტის წარმატებით დასრულება ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს“, — განაცხადა დემოკრატიული მმართველობის პროგრამის ხელმძღვანელმა ნათია ნაცვლიშვილმა.

**მაია ხორგუაშვილი**

## ◉ ყოველივე დაფარული...

# მხოლოდ იანვარში შთანთქმული მილიონები

### ზოგი მინისტრი ჩაროზად ლარებს იგემოვნებს

**ნაპოლეონს უთქვამს, პოლიტიკა ბებერი კახპაა, მიჩვეული რომაა, ვისაც როგორ უნდა, ისე იხმაროსო. საქართველოს ბიუჯეტიც თითქმის ასეა. თითქმის იმიტომ, რომ ხმარებით კი ხმარობენ, როგორც „ედილიხორებათ“, მაგრამ ეს, მხოლოდ და მხოლოდ, ჩვენი, ხალხის რჩეულთა და ამ რჩეულთა მიერ დანიშნულთა, ანუ, ხელისუფალთა და მთავრობის ერთპიროვნული უფლებაა.**

თუმცა, ხელისუფლების ალფა და ომეგა, ყველაზე თავმოსაწონი მიღწევა, მისი მტკიცებით, არათუ კორუფციასთან ბრძოლა, ამ ჯერეთ უკურნებელი მსოფლიო სენის „პირისაგან მიწისა“ აღგვაა, მათივე „ხელდასხმულთა“ კორუფციით გაჯებული თავები სულ ახლახანაც კვლავ დაგორდა და, როცა დასჭირდებათ, კიდევაც დააგორებენ. მოძებნა გაუჭირდებათ, თუ? რაკი თავად არ მოიჭრიან კუდს, დახუჭონ თვალი და ისე გაიშვირონ თითი...

აგერ, 2007 წლის ჯერ რა, სულ მეორე თვე მიდის და, ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივნის გიორგი გუგავას მტკიცებით, უკვე მოუსწრიათ 30 მილიონ ლარზე მეტის შეჭმა. თანაც, თებერვლამდე არ გაუჯანჯლებიათ, იანვარშივე შთაუნთქავთ.

ბატონმა გიორგიმ პრესკონფერენციაზე, მისი თქმით, ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემები წარმოადგინა და იმ თანხებზე ილაპარაკა, რაც, სჯერა, რომ აუცილებლად მითვისებული იქნება. სახელდობრ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში, ვიმეორებთ, მხოლოდ იანვარში... 67 მილიონი ლარი დახარჯულა. აქედან, მიზნობრიობის მიხედვით, ლეიბორისტთა ლიდერს უეჭველად მიაჩნია, რომ სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციისთვის დახარჯულად წარმოდგენილი 6900 000 ლარი მითვისებულია.

„საავადმყოფოებს, პოლიკლინიკებს, სამედიცინო დაწესებულებების სხვა შენობა-ნაგებობებს ანგრევენ, ყიდიან და თავად ეპატრონებიან, ექიმებს ქუჩაში ყრიან და ეს ამოდენა თანხა, რა, ნანგრევებს მიმოაბნიეს?!“ — ცხაროზს გუგავა.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებსა და სოციალური შეღავათების მონეტარიზებისთვის 8 მილიონი ლარი დახარჯულა.

ეს კი, ვგონებ, „ცოტა შეშლიათ“. ყოველგვარი შეღავათის ტოტალური გაუქმების ფონზე (უფასოდ მკურნალობისაც, როცა სოციალურად დაუცველმა ვეტერანებმა, პენსიონერებმა ლამის აატალახეს პარლამენტისა თუ სახელმწიფო კანცელარიის კარები (სასოწარკვეთილებმა „რევოლუციური ვარდებიც“ ფეხებით გაუთელეს, მაგრამ ამნამსახურებ, ნაომარ, ნაშრომ-ნაჯაფ ხალხს, უკაცრავად ვარ, მაგრამ ასეა და — ძაღლადაც არავინ აგდებს, ერთ კინკილა თვეში ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში 8 მილიონი ლარის დახარჯვა მართლაც ერთობ საეჭვოა...

ფორმულირებით — „სხვადასხვა ხარჯები“ — სამინისტროს კიდევ 250 000 ლარი დაუხარჯავს. ბატონი გიორგის თქმით, ეს თანხა ბატონმა ქიპაშვილმა უკვე შეჭმულ 14 მილიონს, ალბათ, ჩაროზად დააყოლა...

„იანვარში 1700 000 ლარის საფასურის გზებია შეკეთებული და ასფალტია დაგებული. არადა, ლამის ნახევარი თვე უქმე იყო. სახელმწიფო დაწესებულებები არ მუშაობდა. ჰოდა, მაჩვენონ რაიონი, უბანი, ქუჩა, სადაც იანვარში თუნდაც ერთი კვადრატული მეტრი გზა ან შეკეთდა და ან ასფალტი დაიგო“, — მოითხოვს ლეიბორისტთა გენერალური მდივანი.

მისივე თქმით, ბატონ კახა ლომაიასაც კაი მარიფათი გამოუჩენია. იანვარში ისე მოუნდომებია, რომ მოუხერხებია და 27 მილიონი ლარი დაუხარჯავს. აქედან ზუსტად მესამედი — სასწავლო დაწესებულებების რეაბილიტაციას დასჭირვებია.

„თბილისის სკოლების 80 პროცენტში გათობის სისტემები მოშლილია. ბავშვები რის ვაი-ვაგლახით თბებიან შეშითა და ელექტროღუმელებით. კლასებში პალტოებით, გათოშილნი სხედან. მაშ, რაში დაიხარჯა 9 მილიონი ლარი?“ — რიტორიკულ კითხვას სვამს გუგავა.

თბილისში რა დაიმალება? ჰოდა, ვიცი, რომ სულაც მშობლები კრეფენ ბატონ განათლების მინისტრის მიერ რეაბილტირებული სკოლებისთვის შეშის ფულს.

სამინისტროს სამეცნიერო კვლევებისთვის კიდევ 1 მილიონი ლარი დაუხარჯავს...

მადლობა ღმერთს, საქართველოში კიდევ დარჩენილან მეცნიერები.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, 4600 000 ლარიდან, საპრეზიდენტო პროგრამებისთვის — 2100 000 გაუმეტებია.

„არც პატრიოტული ბანაკებია და იანვარში არც რაიმე საპრეზიდენტო ღონისძიება გამართულა, მაგრამ თანხა ათვისებულია. ვგონებ, ცხადია, ვისმა ჯიბეებმაც აითვისა“, — ასკვნის „გენსეკი“.

ხელისუფლებას უკიჟინებენ, ხელოვნებას, შემოქმედებით კავშირებს სულს ართმევ, აჩანაგებო, მაგრამ, თურმე, სულ ტყუილად — სახელოვნებო პროგრამებისთვის ერთ თვეში 1 300 000 ლარის გალება ხუმრობაა? არ გჯერათ? ფინანსთა სამინისტროს ზემოხსენებულ ოფიციალურ მონაცემებში ასეა აღნუსხული, და...

გუგავას ეჭვი აქვს, თანხა სწორედ ხელოვნების დასანგრევად იქნება დახარჯულიო.

სასჯელაღსრულების დაწესებულებების ფინანსური უზრუნველყოფისა და მათი რეაბილიტაციისთვის ყველაზე ცოტა, — 700 000 ლარია დახარჯული, მაგრამ, ბატონი გიორგის თქმით, ამ დაწესებულებების მდგომარეობა ამ მცირე თანხის მიზნობრივად დახარჯვის ეჭვსაც იწვევს.

ოფიციალურ დოკუმენტში აღნუსხული, აი, ასეთი მონაცემები გადმოგვილაგა ლეიბორისტთა გენერალურმა მდივანმა. მას ვერავინ გადაარწმუნებს, რომ ზემოჩამოთვლილი თანხები მთავრობის შეჭმული არ არის.

თქვენ როგორ გგონიათ?

**კონსტანტინე გურგენიძე**

## ◉ შეხვედრა

# მაშ, რატომაა გიორგი ხევიაშვილი ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი?!

**გუშინ ვაშლიჯვარში, ინდუსტრიული ტექნიკუმის მეორე, მთლიანად დევნილებით დასახლებულ კორპუსში პოლიტიკური პარტიის — „საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი ადგილგადანაცვლებულთ შეხვდა.**

„დრო მოვიდა, გავარკვიოთ, თუ რა გაკეთდა ან რა უნდა გაკეთდეს ჩვენი დევნილი მოსახლეობისთვის, რომელიც აგერ უკვე 15 წელია, ფაქტობრივად, ღია ცის ქვეშ არის დარჩენილი. მათ არ მიეცათ არც ბინები, არც სამოსახლოები... მხოლოდ ფორმალურად გაუფორმეს აფხაზეთში დატოვებულ სახლებზე საბუთები. მთავრობა იმის გარანტიასაც ვერ იძლევა, რომ ეს სახლები აუცილებლად დაგიბრუნდებათ, — აცხადებს სალომე ზურაბიშვილი.

რამდენიც უნდა ილაპარაკოს ხელისუფლებამ მშვიდობიან გეგმებზე, მაინც ერთობ ბუნდოვანია, თუ როგორ, რა ხერხებით აპირებს იგი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების შემოერთებას. ფუჭ დაპირებებში დრო მიდის და მიდის. დევნილები კი ყველაზე დაუცველ სოციალურ ფენად რჩება, — ამბობს ზურაბიშვილი.

ლტოლვილებს უმკაცრესი გრაფიკით მიეწოდებათ ელექტროენერგია. მათი უმთავრესი პრობლემა ამ ეტაპზე გამრიცხველიანებაა. ისინი აღნიშნავენ, რომ დავალიანება ხშირად უგროვდებათ და დენის მიწოდება უწყდებათ. გაუგებარია, სად ქრება მათთვის განკუთვნილი და გადარიცხული თანხები.

— ჩვენმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ არაჩვეულებრივი პირობები შეიქმნება იმ ოფიცრებისთვის, რომლებსაც ჯერ არაფერი გაუკეთებიათ. მაინტერესებს, რატომაა დევნილი მოსახლეობა ყველაზე მივიწყებული. ის არასდროს ამბობს, რა უნდა გაკეთდეს მისთვის, — თქვა ქალბატონმა სალომემ.



დევნილებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი არასოდეს დაინტერესებულა მათი პრობლემებით.

— გიორგი ხევიაშვილი აცხადებს, რომ ამ ხალხის გვერდით არ დადგება. ჩემთვის გაუგებარია, მაშ რატომაა ის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი?! პარლამენტის თავმჯდომარე კი ამბობს, რომ დევნილები მოღალატეები არიან და ბოდიშსაც არავინ იხდის ამ სიტყვებისთვის!..

დროა, ამ ხალხმა იცოდეს, რა უფლებები აქვს. ისინი ყველაზე დაცულნი უნდა იყვნენ. მხოლოდ მაშინ დავარწმუნებთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებს, რომ საქართველოში ნამდვილად არის დემოკრატია და ღირს აქ ცხოვრება“, — დაასკვნა სალომე ზურაბიშვილმა და დახმარება აღუთქვა დევნილებს.

**სოფიო გოგლიძე**



## ფიქრები ხმამაღლა

# შესვლა? გამოსვლა? – საფიქრალი აი, ეს არის!.. არ შევალთ? – ვინანებთ, არ გამოვალთ? – მაშინაც ვინანებთო! რა ვქნათ, ხალხო?

### ანუ, ნატოში შესვლა და დსთ-დან გამოსვლა – აი, რა არის მთავარი...

**რომ იტყვიან, ვისაც არ ეზარება, ყველა ამ თემებზე საუბრობს იმის მიუხედავად, აქვს თუ არა სათანადო ცოდნა, კომპეტენცია, ინტელექტი... ყველას, პოზიციას თუ ოპოზიციას, ერთი საერთო მახასიათებელი აქვს – ყველანი უაპელაციონი და კატეგორიულები არიან მსჯელობისას, უფრო სწორად, საკუთარი პოზიციის გამოხატვისას, და, როგორც წესი, ორივესთვის მიუღებელია არათუ კომპრომისის ძიება, თვით განსხვავებული აზრის მოსმენაც კი. უფრო მეტიც, როგორც ერთნი, ისე მეორენი ერთმანეთისთვის: „აგენტისა“ და „მოღალატის“ იარლიყების მიწებებას არ ერიდებიან.** არადა, ნატოა თუ დსთ, შესვლა იქნება თუ გამოსვლა, სრულიად ნორმალურია, რომ საქართველოში ორივე პოზიციას მომხრე-მოწინააღმდეგე ჰყავდეს და არა მარტო მათ უდიდებულესობა პოლიტიკოსებს. რაც უფრო მნიშვნელოვანია, უბრალო ხალხში, მოსახლეობაში, რომელთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე პირდაპირ გავლენას მოახდენს შესვლა-გამოსვლის ავ-კარგი, მოსახლეობაზე, რომლის დარდი არც ხელისუფლებას ეტყობა და არც ოპოზიციას, თამამად შეიძლება ითქვას, ამ სარეფერენდუმო, ანუ ხალხის გადასაწყვეტ საკითხებზე პოლიტიკოსთა ბრახა-ბრუხისას, ანუ არა მსჯელობის, ანალიზის, არამედ მხოლოდ საკუთარი მოსაზრების, აპრიორი ჭეშმარიტებულებად მიჩნევისას.

„მე არც გიორგი მეფის მეხოტბე ვარ, არც მელქისედეკ კათალიკოსის მგალობელი“. არც სხვებზე მეტის ცოდნასა თუ კომპეტენციაზე მაქვს პრეტენზია. ამ წერილის ავტორის მიზანია ზემოთ ხსენებულ თემებზე ერთი რიგითი ქართველის პოზიციიდან მსჯელობა, ფიქრი და ანალიზი, საკუთარი ინტელექტუალური დონისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებით. ვნახოთ, რა გამოვა. თუ ჩვენს გენიოს ოპოზიცია-პოზიციასთან შედარებით, ჩემი მეცადინეობა ნაცოდვილარბჭუტური იქნება, წინასწარ ბოდიში მომითხოვია. ხოლო თუ ორიოდე მკითხველი მაინც გაიზიარებს ჩემს მოსაზრებებს, ან ფიქრის სურვილი მაინც გაუჩნდება, ჩავთვლი, რომ მიზნისთვის მიმიღწევია. მაშ ასე, ჯერ დსთ-დან გამოსვლა-დარჩენის პლუს-მინუსები განვიხილოთ მოცემულ დროსა და სივრცეში.

### ბევრი ბუზი ბზუისო, მაგრამ... ყველა როდი ტყუისო

ალბათ გეცნოთ, ძველი ქართული ანდაზის პერიფრაზია ეს ქვესათაური, მაგრამ არასრული. და გეტყვით რატომაც. ბუზის ბზუილში ხელისუფლებას ვგულისხმობ, მაგრამ ფუტკარი შეგნებულად, რომ არ გამომეტოვებინა ქვესათაურში, გამოვიდოდა, რომ ამ მუყაით მწერში ოპოზიციას ვგულისხმობდი, რომელსაც ისედაც ქვეყნის ერთადერთი მხსნელი ჰგონია თავი და, ფუტკართან მათი გაიგივების შემთხვევაში ხომ საკუთარ მესიობას ირწმუნებდა. არა, ბატონებო! ამისთანა სიამოვნებას ვერ მივანიჭებ მათ.



მართალია, ხელისუფლების ქმედებები ბევრჯერ ზოგადად უსარგებლო ბზუილს ჰგავსსა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ალხანას თავისი ჩალხანა ჰყავს. ზოგადად ოპოზიციაშიც კაი ხვითოები ბრძანდებიან. მათაც მიუძღვით მეტ-ნაკლები წვლილი ჩვენი „საამური“ ყოფის დამკვიდრებაში. რატომღაც მხოლოდ ხელისუფლების კრიტიკა ითვლება კარგ ტონად ქართულ მედიაში და არავითარ შემთხვევაში ოპოზიციისა, რომელიც ხელისუფალთა მსგავსად, კარგად გვახსოვს ვინ, სად, როდის და ვისთან იყო და ვინ რით სუნთქავდა, თუ სუნთქავს. თუნდაც დსთ ავიღოთ. ბევრი ისეთი უყიჟინებს და მოუწოდებს ხელისუფლებას, სასწრაფოდ დავტოვოთ ეს ორგანიზაციაო, რომლებიც თავის დროზე მხარს უჭერდნენ, ან „აქტიურად დუმდნენ“ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლისას. მოკლედ, ყველამ თავის გულში ჩაიხედოს – დსთ-ს გამო ქვა იმან ესროლოს „ამათ“, ვინც უცოდველია ამ მიმართებით.

თუმცა ხელისუფლების ყოვლისმცოდნე პოზაც მიუღებელია. არაერთხელ მოგვისმენია პარლამენტში: დღეს ჩვენ ვართ ხელისუფლება და რასაც გვინდა იმას ვიზამთო, ნიშნის მოგებით ეუბნებიან ოპოზიციას და ის აღარ ახსოვთ, რომ ისინი ოპოზიციამ კი არა, ჩვენ, ქართველმა ხალხმა გავხადეთ ხელისუფალნი. გასულ კვირას, როდესაც ოპოზიციის მიერ შეტანილი დსთ-ს საკითხი ჩააგდო უმრავლესობამ, მისმა ლიდერმა მაია ნადირაძემ თავხედურად განაცხადა – „რამდენჯერაც ჩავთვლით საჭიროდ, იმდენჯერ გადავდებთ“ დსთ-ზე დებატებსო. ამ ქალბატონს ავიწყდება, რომ ოპოზიციას კი არ ამცირებს ამით, არამედ ქართველ ხალხს შეურაცხყოფს. თუნდაც იმიტომ, რომ მისი განცხადება პირდაპირ ეთერში გაკეთდა. ამ ტონით ქალბატონ მაიას ოპოზიციასთან საუბარის უფლება, კულუარებში, ტელეკამერების გარეშე შეიძლება ჰქონდეს, ხოლო როდესაც პარლამენტის ტრიბუნიდან საუბრობენ, მაიკო იქნება თუ ტასიკო, კეთილი ინებონ და საკუთარი მოსაზრების მართებულობა არგუმენტებით გაამაგრონ.

### გინდა გამოდი და, გინდა – დარჩი

ჩემი აზრით, მთავარი ზოგადი არგუმენტი, ანუ, კახელისა და ჰალსტუხისა არ იყოს ერთი კარგი ქართული ფილმიდან – „იყოი რა, პურსა გთხოვს თუ წყალს“ არის. ანუ, საქართველოს დსთ-ში ყოფნა-არყოფნა არაფერს გვავალდებულებს. კონკრეტული არგუმენტი კი ის არის, რომ, თუ გამოსვლა იყო, ჯერ კიდევ მაშინ უნდა გამოვსულიყავით, როცა რუსეთმა ცალმხრივად სავიზო რეჟიმში ჩაგვაყენა! ან მაშინ როცა ჩვენ ტერიტორიებს ბომბავდა პანკისსა თუ ხევსურეთში! ან მაშინ, როცა ჩვენს ღვინო-„ბორჯომზე“, ხილბოსტნეულზე ემბარგო დააწესა! ან თუნდაც მაშინ, როცა...

ერთი სიტყვით, ახლო თუ შედარებით შორეულ წარსულში, ბევრჯერ გვქონდა მიზეზიც და მომენტიც „კარის გამოჯახუნებისა“, მაგრამ არამც და არამც დღეს, როცა რუსეთის გალიზიანების პიკმა საქართველოსთან მიმართებით გადაიარა და ახლა ჯერჯერობით სამეგობროდ გამოწვდილი ხელი თუ არა, ის მაინც აშკარად ჩანს, რომ საქართველოსთან პოლიტიკური თამაშების ახალი წესებით წარმართვას ცდილობს ჩვენი დიდი მეზობელი. ამდენად, სანამ რადიკალურ ნაბიჯს გადავდგამთ, იმაში გარკვევა მაინც გვმართებს, რა არის ამ ახალი წესების არსი.


იხ. 4 გვ.


## გაუტიეს

# „ატამანს ნუ აუხირდები, ეგორ!“

### ანუ გიჟი მაინც თავისუფალია

***საქართველოში ყველა სოფელს ჰყავდა თავისი გიჟი, რომელიც აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა ამ სოფლის არსებობისთვის. ამ გიჟს ფრიად საჭირო მისია ეკისრებოდა. იგი ხალხს არა მარტო თავისი „ფრთიანი“ ფრაზებით ართობდა, მას ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა სამსახური თავისი მიზნებისთვის იყენებდა. გიჟის გამოყენების ერთ-ერთი მაგალითი აღწერილია ჭაბუა ამირეჯიბის რომანში „დათა თუთაშხია“ („თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრთა საყურადღებოდ: ჭაბუა ამირეჯიბი ქართველი მწერალია, „დათა თუთაშხია“ – მისი ნაწარმოები.ძ. სოფლის გიჟი დათას უკანონო შვილს, გუდუნას მივარდება და სოფლის გოგო-ბიჭების ჟივილ-ხივილში შეურაცხყოფას მიაყენებს. თუ რა შედეგი მოჰყვა იმ გიჟის ქმედებას, ალბათ ყველასათვის ცნობილია. ჩვენ კი ჩვენს გიჟებს მივხედოთ და მოკლედ გავაანალიზოთ, თუ რა შედეგის მიღწევა სურთ მათ თავიანთი გამოხდომებით.***

ჩვენი საზოგადოება მიეჩვია არასამთავრობო ორგანიზაციის „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთი შეხედვით სასაცილო გამოხდომებს, მაგრამ თუ კარგად დავფიქრდებით და შევაფასებთ მათს ე.წ. „საკანონმდებლო ინიციატივებს“, ფრიად შემაშფოთებელ სურათს მივიღებთ.

ნუ გადავიჭრებით არცთუ ისე შორეულ წარსულში და ნუ გავიხსენებთ იმ კანონპროექტს, რომლითაც ამ „ინსტიტუტმა“ უგულებელყო თავის სახელწოდებაში არსებული სიტყვა „თავისუფლება“ და პრესის საკმაოდ სერიოზულ მარწუხებში მოქცევა დააპირა. უბრალოდ, განვიხილოთ მათ მიერ „ცხლად“ შემოთავაზებული „ლუსტრაციის კანონპროექტი“.

ლუსტრაცია ნამდვილად საჭირო რამ არის. იგი აუცილებელია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგანაც მართლაც უამრავი უცხო ქვეყნის აგენტი წარმატებულად „მოღვაწეობს“ ჩვენში – ამ უაღრესად მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ სივრცეში, მაგრამ „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ შემოთავაზებული „ლუსტრაციის კანონპროექტი“ აბსოლუტურად განსხვავდება ლუსტრაციის კლასიკური განმარტებისგან. იგი იმ ბოლშევიკური კანონების ანალოგია, რომლითაც რევოლუციამდელ ინტელიგენციას ეკრძალებოდა საბჭოთა ხელისუფლების დროს რაიმე სახის საქმიანობა (ბოლშევიკებმა მათ ხალხის მტრები უწოდეს და მათ შვილებსაც სდევნიდნენ. ფრიად საინტერესოა, განახორციელებენ თუ არა „თავისუფლების ინსტიტუტელები“ მსგავს დევნას მათ მიერ „ლუსტრირებული“ ადამიანების შვილების წინააღმდეგ?ძ

მოდით ვნახოთ, თუ ვის გამოყვანას აპირებენ სააშკარაოზე კანონშემოქმედებითი ცეცხლით ანთებული დემოკრატიის მედროშენი.

ამა წლის 21 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრებმა განაცხადეს, რომ მათ მიერ შემუშავებული „ლუსტრაციის კანონპროექტით“ მოხდება საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე პოლიტიკური ლიდერების, ტელევიზიის, რადიოს, პრესის, მეცნიერებათა აკადემიის, შემოქმედებითი კავშირების, უშიშროების, პოლიციისა და სუკის თანამშრომლების ლუსტრაცია.

არ დაგიმალავ, ძვირფასო მკითხველო, და თავიდან ვაპირებდი ჩამომეთვალა თუნდაც მცირე ნაწილი იმ ღირსეული ადამიანებისა, რომლებიც საბჭოთა პერიოდში მოღვაწეობდნენ და რომელთა მიერ დაწერილი თუნდაც ერთი სამეცნიერო ნაშრომი ან სტატია, თუნდაც ერთი შესრულებული როლი, ერთი წაყვანილი გადაცემა ან თუნდაც ერთი ანტიკრიმინალური ოპერაცია მთლიანად გადასწონის ამ გოგო-ბიჭთა „ღვაწლს“ მსოფლიო დემოკრატიის წინაშე. ვაპირებდი ჩამომეთვალა და გადავიფიქრე, რადგან მივიჩნიე, რომ მათი სახელების ხსენება „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრთა გვერდით ფრიად უადგილო იქნებოდა.



ამ რიტორიკის შემდეგ მინდა პასუხი გავცე ერთი შეხედვით არცთუ ისე მნიშვნელოვან, მაგრამ აუცილებელ კითხვას, რომელსაც ჯერ კიდევ ძველი რომაელი იურისტები სვამდნენ: კი მაგრამ რაში სჭირდება „თავისუფლების ინსტიტუტს“ ზემოხსენებული კანონპროექტის სწორედ ასეთი ფორმით მიღება?

პასუხი აქაც საკმაოდ მარტივი აღმოჩნდა. გადავხედოთ „გასალუსტრირებელთა“ სიას. ამ სიაში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი მეცნიერებათა აკადემიისა და შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლებს უჭირავთ. თუ გავიხსენებთ იმ აჟიოტაჟს, რომელიც შექმნილია მეცნიერებათა აკადემიისა და შემოქმედებითი კავშირების ბალანსზე არსებული ქონების გარშემო, სრულიად ნათელი ხდება, რომ მთელი ეს ქიჩმაჩი ელემენტარულ მერკანტელურ ინტერესებს ემსახურება. ე.ი. მარტივად რომ ვთქვა, უბრალოდ ქონების „ახევა“ უნდათ მეცნიერებისთვის, მწერლებისთვის, მხატვრებისა და მუსიკოსებისთვის და მათი აზრით ყველაზე უფრო „დემოკრატიული“ გზა იპოვეს (თუ თვითონ არ აპირებენ იმ ქონების ხელში ჩაგდებას, ე.ი. ვიღაცის დავალებას ასრულებენ, და თუ პირდაპირ დავალებას არ ასრულებენ, მაშინ მთლად იმ გიჟს ემსგავსებიან, წერილის დასაწყისში რომ ვახსენე, რადგანაც არც იმ უბედურმა არ იცოდა, თუ ვის მიზნებს ემსახურებოდა მისი ეგზალტირებული გამოხდომაძ.

მიხვდი, ძვირფასო მკითხველო, რომ ვერანაირი დემოკრატიული ფასეულობები და ვერც ვერანაირი ცივილიზაციის მონაპოვრები ვერ უძლებენ სხვისი ქონების დაუფლების სურვილს. ვერ უძლებენ, მით უმეტეს, თუ ქონების წართმევის გარდა ელემენტარული ბოღმა, შური და არასრულფასოვნების კომპლექსიც აწუხებთ.

პრინციპში, დაგაღრჩობს შური აბა რა მოგივა, როცა „თხა და გიგოც“ არა გაქვს წაკითხული და ამდენ განათლებულ ხალხს ხედავ, გასკდები გულზე ბოღმით, აბა რას იზამ, როცა პარიზში კი ხარ ნამყოფი, მაგრამ „ლუვრი“ არც გაგიგია და აქვე არიან ადამიანები, ვინც „ერმიტაჟშიც“ ნამყოფია და ნიუიორკის „მეტროპოლიტენ ოპერაშიც“. გექნება არასრულფასოვნების კომპლექსი იმ ადამიანებთან შეხვედრისას, რომლებიც 9 აპრილს შიშველი ხელებით წინ აღუდგნენ გახელებულ რუს ჯარისკაცებს! არადა, ამბიციები დიდი მაქვს. ძალიან დიდი.ჰოდა, მიდი, წერე კანონპროექტები და წარუდგინე პარლამენტს, რომლის თავმჯდომარეც, თუ არ ვცდები, მოსკოვში სწავლობდა ასპირანტურაში, წარუდგინე კანონპროექტი პრეზიდენტს, რომელიც, თუ არ ვცდები, საბჭოთა ჯარში, თანაც სასაზღვრო (კგბ-სძ ჯარში მსახურობდა.

მე მგონი, აქ ძალიან გადაამლაშეთ! ჰოდა, ძალიან ბევრი რომ არ მოგივიდეთ ეგ გადამლაშება, გახსენებთ ერთი კაზაკის მიერ ნათქვამ ფრაზას ცნობილი ქართული ფილმიდან „დავით გურამიშვილი“ („თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრთა საყურადღებოდ: დავით გურამიშვილი XVIII საუკუნის ქართველი პოეტი იყო, რომელიც უკრაინაში გარდაიცვალაძ – ატამანს ნუ აუხირდები, ეგორ! ნუ აუხირდებით, არ გინდათ. თანაც სიტყვა „ინსტიტუტს“ მაინცდამაინც ხშირად ნუ ახსენებთ, რადგან ბატონ კახას (ამ შემთხვევაში სულერთია, ლომაიას თუ ბენდუქიძესძ უმაღლესი სასწავლებელი არ ეგონოს, არ დაგხურონ და ვინმე ყაზახ ინვესტორზე არ გაგყიდონ, თორემ რა ეშველება დემოკრატიას დანატრებულ ქართველ ერს!

**გია გაბრიჭიძე**


№ 36. ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 2007 წელი.

# პოზიცია

ჩვენი ისტორიის მანძილზე ჩვენთვის ბევრი ტერიტორია წაურთმევიათ, ბევრიც ჩვენი ბედოვლათობის გამო დაგვითმია, გაგვიჩუქებია და თუნდაც ამიტომ. იქნებ ხელისუფლება ფიქრობს, რომ აფხაზეთი, ყოველ შემთხვევაში მისი დიდი ნაწილი გალს იქით, ისედაც უიმედოდ დაკარგულიაო, ანუ, „ჩათრევას ჩაყოლას ჯობია“ და ამა თუ იმ ფორმით ვთმობთ მდ. ღალიძგის იქითა ტერიტორიებს. თუ ასეა, მაშინ უნდა გვითხრან: რის სანაცვლოდ? რაც დაგვრჩება, იმ დანარჩენი საქართველოს კეთილდღეობა-აყვავების? ევროკავშირის? კი, ბატონო, შეიძლება ფიქრი, აწონ-დაწონვა, მაგრამ...



ფიქრები ხმამაღლა

# შესვლა? გამოსვლა? - საფიქრალი აი, ეს არის!..

## არ შევალთ? – ვინანებთ, არ გამოვალთ? – მაშინაც ვინანებთო! რა ვქნათ, ხალხო?

### ანუ, ნატოში შესვლა და დსთ-დან გამოსვლა – აი, რა არის მთავარი...

(მესამე გვერდიდან)

ჩემი აზრით, ფრიად მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ელჩის დაბრუნება, რაც ზოგიერთმა ჩვენმა ხელისუფალმა არაადეკვატურად აღიქვა – რუსეთი დავამარცხეთო და ა.შ. ვინ დამარცხდა, ეს ევროპარლამენტში გამოჩნდა, როცა რუსეთის სასარგებლოდ გადაიდო დებატები ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობათა თაობაზე. რუსეთის ელჩის განცხადებაც საქართველოს ნეიტრალიტეტის შესახებ და ამ შემთხვევაში რუსეთის პოზიციის ცვლილებისკენ მინიშნება, დაკარგული ტერიტორიების მიმართ. ესეც საყურადღებოა, მაგრამ როგორც ჩანს, არა ჩვენი ხელისუფლების, გინდა ოპოზიციისთვის. ერთიც და მეორეც აპრიორი გამორიცხავენ ნეიტრალიტეტის ვარიანტს. უფრო მეტიც, ამას ერთმა პოლიტოლოგმა ბლეფი უწოდა. არადა, იქნებ მართლაც გვებლეფა მაინც, ანუ მოჩვენებითად მაინც დაგვეწყო ნეიტრალიტეტზე მსჯელობა. ერთგვარი ზონდირება გაგვეკეთებინა იმისა, რეალურად რას აპირებს ამის ფონზე რუსეთი აფხაზეთ-სამაჩაბლოსთან დაკავშირებით?

ამით იმის თქმა მინდა, რომ ნატოში შევალთ, თუ დსთ-დან გამოვალთ, რუსეთის კეთილი ნების გარეშე, ძალიან მეპარება ეჭვი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში... მშვიდობით იქნება თუ, მით უმეტეს, ომით. ვინც საპირისპიროს ამტკიცებს, ანუ მხოლოდ დასავლეთის, აშშ-ს იმედი აქვს, სწორედ ეს მგონია ბლეფი და ეს კიდევ რბილად ნათქვამია. ვიმეორებ, ჩემი აზრით, როგორც უსარკოდ ვერ ვიხილავთ საკუთარ ყურებს, ასევე რუსეთის ნების გარეშე ვერც აფხაზეთ-ცხინვალს ვიხილავთ დე ფაქტო ჩვენს საზღვრებში. კრიტიკულ მომენტში ევროპაც და ამერიკაც რუსეთთან ჩვენ ხარჯზე გარიგებას არჩევს, ვიდრე მასთან კონფრონტაციას.

არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ჩემს მიერ ზემოთ გამოთქმული ვარაუდების თუ მოსაზრებების მსგავსად ფიქრობს ხელისუფლება და ამიტომ ითრევს ფეხს დსთ-დან გამოსვლაზე, მაგრამ ერთი რამ მჯერა – დღევანდელ სიტუაციაში დსთ-ს დემარშით დატოვება წამგებიანი იქნება ჩვენთვის. თავის დროზე, როცა სააკაშვილი პირველად შეხვდა პუტინს, ამბობდა – საქართველოს გაწვდილი ხელი ჰაერში დარჩაო. ხელი და ფეხი არ ვიცი, მაგრამ რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ, შედარებით თბილი ნიავი უბერავს. ჯერჯერობით განცხადებების დონეზე, მაგრამ მაინც. მცირედი შანსი სანამ არსებობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესებისა, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

აქედან, არც ოპოზიციის კიდევ ერთი მიმართულებით ახირება მიმაჩნია სწორად – რატომ არ ჩივისო საქართველო სტრასბურგში, ქართველების ეთნიკური ნიშნით დევნის გამოო. ჯერ ერთი, იმას, რასაც ჩვენ ეთნიკურ დევნას ვეძახით და მართებულადაც, რუსეთი ადვილად წარმოაჩენს დასავლეთში, როგორც ე.წ. არალეგალების დეპორტაციად. რასაც იგივე დასავლეთიც არ ერიდება თავის ქვეყნებში. ეგეც არ იყოს, თუ სტრასბურგში ჩივილია, ყველა კონკრეტულად დაზარალებულ პირს შეუძლია ამის გაკეთება და ამაში უნდა დაეხმაროს მათ ჩვენი ხელისუფლება. რა, მაინცდამაინც სააკაშვილის ხელმოწერით უნდა შევიდეს სარჩელი? ვიცი, ამ მოსაზრების გამო შეიძლება ოპოზიციის საჯიჯგნად გავიხადე ჭაღარა თავი, მაგრამ რა ვქნა – „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“. სად შევალთ და საიდან გამოვალთ არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ საქართველო რუსეთთან მჭიდრო, ნორმალური ურთიერთობისთვის არის „განწირული“ და რაც უფრო ადრე ირწმუნებს იგივეს პოზიცია თუ ოპოზიცია, მით უკეთესი მათთვის და, რაც მთავარია, ქვეყნისთვის.

ის, რაც აქამდე ვთქვი, ხელისუფლებისა ნაკლებად და უფრო მეტად ოპოზიციის უზურში არ მოდის. ჰო-და, თუ ჯიჯგნაა, არც ხელისუფლებას დავწყვეტ გულს და ახლა მას „ვასიამოვნებ“... ახლა მისი ჯერია ჩემისთანებისთვის იარლიყების მიწებებისა.

### ნატო – საქართველოს პრობლემების პანაცეა?...

ვფიქრობ, ეს კითხვა და, აქედან გამომდინარე, სხვებიც, სრულიად ბუნებრივი და ლეგიტიმურია. მით უმეტეს ბოლო დროს ამ საკითხს, როგორც ჩანს, აეხსნა ტაბუ და ჯერ მართალია გაუბედავი და შიშნარევი, მაგრამ მაინც მსჯელობა დაიწყო ტელევიზიაში. მხედველობაში მაქვს ნეოეროვნული ფორუმის ლიდერის კახა შარტავას და კაკო ასათიანის ამასწინანდელი გამოსვლები „იმედით“. მართლაც სად ვაპირებთ შესვლას, თუ მიგვიღეს და რატომ?

დავიწყოთ იმით, რომ ნატოს მაღალ ჩინებს ადრეც და სულ ახლახანსაც, არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ეს ორგანიზაცია არ არის ამა თუ იმ ქვეყნის შიდა კონფლიქტების მოგვარებისკენ მოწოდებული. ამ ფონზე ნატოს ამჟამინდელი შეფის განცხადება, რომ საქართველოს სოხუმ-ცხინვალის გარეშეც მიიღებენ, რას ნიშნავს? ალბათ იმას, როგორც ჩვენი ხელისუფლება აცხადებს – დე იურე დაკარგული ტერიტორიებით შევალთ ნატოში, რაც, მათი აზრით, მთავარია. ანუ, დე ფაქტო მერე დავიბრუნებთ დაკარგულს? ამას ან შეუგნებელი მოყვარე, ან შეგნებული მტერი თუ იტყვის მხოლოდ. თურქეთიც და საბერძნეთიც, ორივე ნატოს წევრები არიან. კვიპროსიც, მგონი, 30 წელიწადია გაყოფილია ბერძნულ და თურქულ ნაწილებად. უფრო მეტიც, თურქეთმა ამ კუნძულის ნაწილი სწორედ მაშინ „გაათურქა“, როცა ორივე ქვეყანა ნატოს წევრები იყვნენ. ანუ, ამ ორგანიზაციამ, შეიძლება ითქვას, შინაური პრობლემა ვერ მოაგვარა და ვერც ხვალ მოაგვარებს, რადგან თურქეთი ევროკავშირში მიღების სანაცვლოდაც არ თმობს „თავის“ კვიპროსს და არც მომავალში დათმობს, რადგან მაინცდამაინც აღარც იკლავენ თავს ევროკავშირისთვის. მათ „ქვაცა აქვთ და კაკალიც“ და კვიპროსის ფასად არ აპირებენ ევროპაში შესვლას.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვინ და როგორ დაგვიბრუნებს, ვთქვათ, აფხაზეთს, თუ უმისოდ შევედით ნატოში? ვიმეორებ, ამ უკანასკნელმა საკუთარ წევრ ქვეყანასთან ვერაფერი გააწყო და ჩვენი გულისთვის რუსეთს ომს დაუწყებს? ჩემი აზრით, თუ საქართველო დაკარგულის გარეშე შევა ნატოში, ძალიან დიდი ხნით, იქნებ სამუდამოდ უნდა დავუქნიოთ ხელი დაკარგულს. ზემოთ აფხაზეთთან ცხინვალი არ ვახსენე, არა გულმავიწყობის გამო, არამედ იმიტომ, რომ ცხინვალის დაბრუნების შანსები მაინც რჩება, თუ უმისოდაც შევალთ ნატოში. თუნდაც იმიტომ, რომ ტერიტორია ტიპური ანკლავია, გეოგრაფიულადაც ხელოვნური წარმონაქმნია. იგი საქართველოს გულშია და აფხაზეთისგან განსხვავებით ბუნებრივად არ ესაზღვრება რუსეთს. ამიტომ ნატოსთან მიმართებით, ქვემოთ მარტო აფხაზეთს ვახსენებ.

გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში და საზოგადოების ნაწილშიც არსებობს მოსაზრება, რომ ხელისუფლებას ესმის ყოველივე და შეგნებულად აპირებს ნატოში შესვლას აფხაზეთის გარეშე. ჩემი აზრით, თვით ასეთი, ერთი შეხედვით, „კრამოლა“ მკრეხელური, მოსაზრებაც განხილვადია, ჩვენი ისტორიის მანძილზე ჩვენთვის ბევრი ტერიტორია წაურთმევიათ, ბევრიც ჩვენი ბედოვლათობის გამო დაგვითმია, გაგვიჩუქებია და თუნდაც ამიტომ. იქნებ ხელისუფლება ფიქრობს, რომ აფხაზეთი, ყოველ შემთხვევაში მისი დიდი ნაწილი გალს იქით, ისედაც უიმედოდ დაკარგულიაო, ანუ, „ჩათრევას ჩაყოლას ჯობია“ და ამა თუ იმ ფორმით ვთმობთ მდ. ღალიძგის იქითა ტერიტორიებს. თუ ასეა, მაშინ უნდა გვითხრან: რის სანაცვლოდ? რაც დაგვრჩება, იმ დანარჩენი საქართველოს კეთილდღეობა-აყვავების? ევროკავშირის? კი,



ბატონო, შეიძლება ფიქრი, აწონ-დაწონვა, მაგრამ...

ისიც ცნობილია, რომ ევროკავშირის მომავალი გაფართოება, ალბათ, მინიმუმ უახლოესი 20 წელიწადის მანძილზე აღარ იგეგმება. ეგეც არ იყოს, ნატოსგან განსხვავებით, სადაც შეიძლება პოლიტიკური კონიუნქტურის მიზეზით მიგვიღონ კიდეც ევროკავშირში – ნურას უკაცრავად. ამერიკის სტრატეგიული მოკავშირის სტატუსი სამხრეთ კავკასიაში, რაც შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს ჩვენი ნატოში შესვლისთვის, სრულიად არაფერს ნიშნავს ევროპისათვის. დემოკრატიის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოვებაა პირველი პირობა ევროკავშირში მოსახვედრად, პლუს განვითარებული ეკონომიკა. ამ ხელისუფლების პირობებში როგორც ერთი, ისე მეორე პირობა, პრაქტიკულად, არამიღწევადია საქართველოსთვის. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ გვაქვს დამოუკიდებელი პროკურატურა, სასამართლო და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტები, რაც ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიულობის უპირველესი პირობაა. რა მოხდება მაშინ ჩვენში? რა და ის, რომ ხელისუფალთა დიდ ნაწილს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოუწევს იმ უკანონობათა გამო, რაც ლამის ყოველდღე ხდება ჩვენს თვალწინ. ამათ იმდენი ჭკუა კი აქვთ, საკუთარი დასაკლავი დანა არ გალესონ. მაგრამ დემოკრატიული ინსტიტუტების არარსებობა ხომ იდეაშივე გამორიცხავს განვითარებულ საბაზრო ეკონომიკას, საშუალო და წვრილი ბიზნესის გაძლიერებას? მართლაც შეკრულ წრეში ვიმყოფებით, რომლიდან გამოსავალიც, ალბათ, არ სჩანს ამ ხელისუფლების ხელში.

### ნეიტრალური საქართველო – მითი თუ რეალობა?...

ნეიტრალიტეტი – ეს სიტყვა ქართულ პოლიტიკაში მას შემდეგ გახდა ჟღერადი, რაც რუსეთის ელჩმა განაცხადა, რომ რუსეთისათვის მისაღები და სასურველიც საქართველოს ამ სტატუსით არსებობა იქნებოდა. უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი ნოე ჟორდანიას მთავრობისთვის იყო ეს თემა აქტუალური, მაგრამ მაშინ ამის სურვილი თუ ოცნება ფუჭი აღმოჩნდა და როგორც დამთავრდა ყველაფერი, ისიც ვიცით, ესა თუ ის ერი, ქვეყანა ვერ მიაღწევს ამ სტატუსს, თუ ეს მსოფლიოს ან კონკრეტული რეგიონის ინტერესებში არ არის. ანუ, ნეიტრალიტეტის მიღწევისთვის, მხოლოდ სურვილი არ კმარა. და ეს გაცილებით ძნელად მიღწევადია, ვიდრე ამა თუ იმ კავშირში, გინდაც ნატოში შესვლა, თორემ ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის ნეიტრალიტეტზე უკეთესი რა უნდა იყოს? თუნდაც შვეიცარია ავიღოთ, როცა მთელი ევროპა იწვოდა, ამ ქვეყანაში ბომბი კი არა, ერთი ტყვიაც არ გავარდნილა.

სხვა საკითხია, რამდენად რეალურია, რომ საქართველო კავკასიის შვეიცარიად იქცეს და სრულიად გაუგებარია მავანთა მიერ ამ საკითხის იდეაშივე უარყოფა. უფრო მეტიც, ვინ გაბედავს ამაზე მსჯელობას, იქნებ მოღალატის იარლიყსაც გამოჰკრას ხელი. არადა, მსჯელობა, ფიქრი საქართველოს მომავალზე ყველა მიმართულებით გვმართებს. ასე მგონია, რომ რუსეთის ელჩი ამას მარტო ლამაზი სიტყვისთვის არ იტყოდა. ვინმე, ვისაც ეს ეხება, დაინტერესდა იმით, რა დგას ამ ყველაფრის უკან? არა!

ჩვენი პასუხი ერთია, როგორც გასული საუკუნის 20-იან წლებში ბოლშევიკების ფრთიანი ფრაზა იყო – „Наш ответ Чемберлену“, ნატო, ნატო, ნატო და, თუ კაი ბიჭი ხარ, იკითხე რატომ? ზემოთ ვთქვი, სურვილი არ კმარა-მეთქი, მაგრამ თუ რუსეთის, ამ ზესახელმწიფოს ინტერესებში შედის საქართველოს ნეიტრალიტეტი, ეს იმას ნიშნავს, რომ გაერო იქნება თუ ევროპა, (არ ვიცი, ვის ეხება ამა თუ იმ ქვეყნის ნეიტრალიტეტის სტატუსის მინიჭება, აღიარება) ჩვენი სურვილის შემთხვევაში, ამ ორგანიზაციებში რუსეთის სახით მძლავრი ლობისტი გვეყოლება. თუ ეს რუსეთის მორიგი „უტკა“ არ არის, სავსებით რეალურია, საქართველოს ნეიტრალიტეტზე ფიქრი.

ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ არ ეგების ამ საკითხის ურაპატრიოტულად უარყოფა. ნატოში შესვლა, როგორც გვიკიჟინებენ, უსაფრთხოების გარანტიებისთვის გვინდა. თუ ასეა, რა ჯობია? – ამერიკულმა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა „პეტრიოტმა“ დაიცვას ჩვენი უსაფრთხოება, თუ ყოველგვარი რაკეტების გარეშე, ჩვენმა პოლიტიკურმა სტატუსმა, ნეიტრალიტეტმა უზრუნველყოს ჩვენი უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა? საერთოდ მგონია, რომ ნატო გვინდა თუ ნეიტრალიტეტი, ეს რეფერენდუმის კითხვა უნდა იყოს, რომელზეც პასუხს მთელი საქართველო გასცემს.

არ ვიცი, იქნებ მიამიტურ-დილეტანტურად ვმსჯელობ, მაგრამ რა ვქნა, ამ საქმის სპეციალისტი არა ვარ და სწორედ ის მინდა, რომ სპეციალისტების, პოლიტოლოგების მსჯელობის საგანი გახდეს ესეც და სხვა საკითხებიც, რომელთა განხილვის მცდელობა მქონდა წინამდებარე წერილში. სწორედაც რომ მცდელობა და არა ჭეშმარიტების ცოდნის პრეტენზია. ამიტომ მივმართავ ზოგადად ქართულ მედიას – დავიწყოთ მსჯელობა, დისკუსია ლამის ტაბუირებულ თემებზე. ეს განსაკუთრებით ეხება ქართულ ტელელიდერ „იმედს“. მოიწვიეთ პოლიტიკოსები თუ უბრალო ხალხი. ნუ გახდით თქვენ ეთერს ერთი და იგივე სახეების, ოპოზიციის მონოლოგების ასპარეზად. ისინი ცარა ნაკლებ კრიტიკას იმსახურებენ. თანაცმოეშვით „თეატრალურ სარდაფში“ ორგაზმის პრობლემებს. ასეთი „ყვითელი“ მასალა არ გჭირდებათ. მაყურებელი ისედაც ბევრი გყავთ და, ორგაზმი იქნება თუ გიგი უგულავას დიეტა, ამაზეგადაცემების „კეთება“ ამარხის სოლიდურობის იმიჯს ურტყამს.

**დავით მხეიძე**

*P. S. წერილი თითქმის მზად იყო, როცა ტელევიზიით „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ მომზადებული ლუსტრაციის კანონის შესახებ შევიტყვე. სრული სახით ტექსტი არ მინახავს, მაგრამ რაც დააანონსეს, იმის შესახებ გეტყვით. „წითელი პროფესურა“, „ინტელიგენცია“, „მწერლები“, „პოეტები“. აი, ძირითადი არსი ამ კანონისა. სოროსის წიწილების გასაგონად ვიტყვი, უფრო სწორედ ვიკითხავ, რა ფერისანი იყვნენ: გალაკტიონი, ლადო, ტიციანი, პაოლო, ლენინზე რომ აქვთ ლექსები? ან კონსტანტინე გამსახურდია, რომელმაც „ბალადი“ დაწერა? ან ივანე ჯავახიშვილი?*

*ღმერთო! ასეთი რა შეგცოდეთ, რომ თეა თუთბერიძის ჭკუის სასწავლებელი გაგვხადე? ვისი პოზიციების ცვალებადობაზე ლაპარაკობს ეს ოროსანი უწიგნური, რომელსაც „წითელმა“ პროფესორმა დალი ფანჯიკიძემ ნიშანი არ დაუწერა უნივერსიტეტში? ამისთვის დაემუქრა ეს „რევოლუციონერი“, მე შენ მოგივლიო. აკი „მოუარა“ კიდეც – თეას გერმანული, რომელსაც არაფერი გაეგებოდა, რუსულით შეუცვალეს, როგორც უცხო ენა და ამგვარად „გააიმასქნებინეს“ გამოცდა (ისე, ამას წინათ, ერთი ჩემი მეგობარი, ნაღდი ქალაქელი კაცი, სამსახურიდან დაითხოვეს, რატომ ინგლისური არ იციო. 50 წლის კაცს რუსულის ცოდნა უცხო ენის ცოდნად არ ჩაუთვალეს. ძ თუთბერიძეს კი ჩაუთვალეს ბატონო, „რევოლუციური დამსახურებისთვის“ (ისე, მეტი არაა ჩემი მტერი, მაგან თუნდაც რუსული იცოდეს ძ. ეს ის ქალია, რომელმაც ამას წინათ ამაყად განაცხადა – ბავშვობაში, სკოლაში ცნობილი მაბეზღარა, „ჩამშვები“ ვიყავიო. რომელი ერთი ვთქვა? აღარ „კმარა“? ვაი, უბედურო საქართველო! ახია ჩვენზე, ახი!..*

*მაგრამ, თურმე ჯერ სადა ხარ? ჩემზეა ნათქვამი იმერეთში – „დევიღუპე და დევიწვიო“! ლუსტრაციის კანონის კონტექსტში ერთმა „კანონშემოქმედმა“ ლაწირაკმა პირდაპირ განაცხადა, თუ რომელიმე პარტიის წევრი პუტინის მრჩეველს ნეიტრალიტეტის შესახებ დაელაპარაკება, ამის შესახებ უნდა ხელისუფლებას აცნობოსო. იმედია, კანონში არ ჩაწერეს ეს და მხოლოდ ლუსტრაციის მაგალითად მოიყვანეს. აქედან დასკვნა – ნეიტრალიტეტის თემა, როგორც ჩანს, აწუხებს ხელისუფლებას, რაც ჩემს მიერ ზემოთ გამოთქმული ვარაუდების მართებულობაში მარწმუნებს.*

*ისე, იქნება ჯერ არ დამიჭირონ ამ წერილის გამო. მე ხომ არ ვიცოდი, რომ სანამ ამ წერილს ვავწერდი, სოროსელები უნდა გამეფრთხილებინა. აქედან გამომდინარე, სამომავლოდ ორიოდე კითხვა „თავისუფლების ინსტიტუტს“: სამზარეულოში თუ შემიძლია სოროსის უკითხავად საუბარი? ან სიზმარი თუ შეიძლება ვნახო თუთბერიძის გარეშე? ზემოთ ჩემი მეგობარი და ქალაქელობა ვახსენე. ჰოდა – თეა, კაია „გოროდი“?..*

*ბოლოს ჯანსუღ ჩარკვიანის – „წითელი პოეტის“, სიტყვებით დავამთავრებ, რომელიც ამას წინათ თქვა ტელევიზიით – „ცისფერს თუ წითელი არ მერჩივნოს, არაკაცი ვიყო“.*

*დ. მ.*

# რა დღეში ვართ!

● შენი დიდკაცური გადმოსახედიდან იქნებ მართალიც ხარ, ბატონო ბენდუქიძევ, რომელსაც ჩვენი ახალგაზრდობა არ გინახავს და ჩვენს სიბერეს კი დასცინი, მაგრამ ისიც ხომ გაგიგონია, დაცინვას კაცი არ მოუკლავსო, ეს მართალ კაცზეა ნათქვამი. ჩვენს სიმართლეზე და არა შენს ტყუილ სიმართლეზე, რომელსაც შენი საეჭვო ძალაუფლების შესანარჩუნებლად იყენებ



◎ გუშინდელი ფოსტიდან

## რატომ ახსენებს ბენდუქიძე ასე ხშირად პენსიებთან ერთად ბუასილს?

მაძღარს მშიერიც მაძღარიც ეგონაო, სწორედ ისეა ამ ჩვენი სახელმწიფო მინისტრის ბენდუქიძის საქმე.

სამი დღეა ტელევიზიით ვუსმენთ, რა გააფთრებით იბრძვის იმ ადამიანებისთვის პენსიების მომატების წინააღმდეგ, ვინც მთელი ცხოვრება ნამუსიანად იშრომა და ახლა, სიბერის ჟამს, დამსახურებულ პენსიას ითხოვს.

საეჭვო სამსახურებში ბევრი ჯდომისაგან ბუასილი დაიმართეს და ეს არის სტაჟი, ამაში მივცეთ დიდი პენსიაო? ისე კითხულობს ეს მართლაც კარგი დედმამის შვილი, თითქოს თავისი ჯიბიდან, თავისი მილიონებიდან თუ მილიარდებიდან უნიშნავდეს ვინმეს პენსიას.

რას ნიშნავს, ჩვენ ვიცით, რას მუშაობდნენ და სადაც მუშაობდნენო? რას ნიშნავს საეჭვო სამსახურებში ბევრი ჯდომისაგან ბუასილი დაიმართესო? ყველა ეს კითხვა, რაც ტრიბუნასთან მისულ ბენდუქიძეს უჩნდება, თვითონ ბენდუქიძის მიმართ აქვს ათასობით და ათი ათასობით ადამიანს, რომელთაც ამ მართლაც საეჭვოდ გაყვინიზებული მოხელის ენა-პირით ამჟამინდელ მათხოვრულ პენსიასაც აყვედრის ხელისუფლება.

### ჭირი დანახული ჯობს

არადა ყველას კარგად გვახსოვს, რა მსუქან-მსუქანი დაპირებებით გვიმსუყებდნენ გულს ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ასევე უბრალო ხალხისათვის არაფრის მაქნისი ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებული ახალგაზრდები. და, ალბათ, ამიტომაც არის, რომ უტყუარი დემოკრატიის ნაცვლად ხელთ პედოკრატია შეგვრჩა, რომელ პედოკრატიასაც სძულს და თვალის დასანახავად ეჯავრება უფროსი თაობა.

ეს უფროსი თაობა კი ის ხალხია, ვინც გუშინ და გუშინწინ ჰქმნიდა საქართველოს, რომელსაც ყველა დროში უნდა მხარში დგომა და შენება. დროის გამოტოვება არ შეიძლება, შეუძლებელია. ამიტომ ის საყვედურები, რასაც დღეს ბოკერიებისაგან, ბენდუქიძეებისაგან და სხვათა მსგავსთაგან ვისმენთ, ყოველგვარ აზრსა და ლოგიკას არის მოკლებული და ადამიანური თვალსაზრისით ძალიან ცუდი სუნი უდის. პირდაპირ საკვირველია, რატომ ავიწყდებათ ამ ჩვენს ქვეყნის „მესაჭეებს“ ჯერ კიდევ ბავშვობაში ნასწავლი ის ჭეშმარიტება, რომ ყოველი აწმყო, რომელიც მომავლის მშობელია, თვითონ წარსულისაგან არის შობილი, ამ წარსულში კი ჩვენ ვიდექით და, როგორც ხედავთ, ავად თუ კარგად ჩვენც მოვედით დღემდე და ქვეყანაც მოვიყვანეთ. ახლა კი, ვინ ხართ, საიდან მოსულხართ, ვის დაჰკარგვიხართო, გვეუბნებიან, რა დამსახურება, რის დამსახურებაო. ნასისხლ-მონაგარ ლუკმას გვაყვედრიან, რაც გასაფიქრებლადაც აუტანელია.

თავისი არალოგიკური მსჯელობის განსამტკიცებლად ბატონი ბენდუქიძე მაგალითად მრავალშვილიან დედებს იშველიებს, რატომ იმ დედას არ უნდა მივცეთ დიდი პენსია, ვინც რვა და ცხრა შვილი გაზარდაო? და ისევ ბუასილიან მამებზე და პაპებზე აქვს გართულება.

შე დალოცვილო, ადექი და თუ ასე შეგტკივა გული, დედებსაც გაუდიდეთ ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის პენსიები, ოღონდ არა „ბუასილიანი მამებისა და პაპების ხარჯზე“, რომელთაც ორი პარასკევიღა დაგვრჩენია.

უკვე თითქმის ერთი თვეა, რაც შეღავათჩამორთმეული ვეტერანები თავს ვიყრით ხან პარლამენტისა და ხანაც კანცელარიის წინ. გუშინწინ ვარდების რევოლუციის შესახსენებლად წვითა და დაგვით ნაყიდი ვარდებიც კი მივიტანეთ და კანცელარიის კედლებს მივაყარეთ. მაგრამ რა? ისე, სად ვიშოვიდით, თორემ უფრო უპრიანი იქნებოდა, იმ ერთი ანდაზისა არ იყოს, ცერცვი შეგვეყარა ამ ცივი კედლებისათვის, სადაც ვერა და ვერ შეაღწია ამდენი ხანდაზმული ადამიანის სასოწარკვეთილმა ხმამ.

შენი დიდკაცური გადმოსახედიდან იქნებ მართალიც ხარ, ბატონო ბენდუქიძევ, რომელსაც ჩვენი ახალგაზრდობა არ გინახავს და ჩვენს სიბერეს კი დასცინი, მაგრამ ისიც ხომ გაგიგონია, დაცინვას კაცი არ მოუკლავსო, ეს მართალ კაცზეა ნათქვამი. ჩვენს სიმართლეზე და არა შენს ტყუილ სიმართლეზე, რომელსაც შენი საეჭვო ძალაუფლების შესანარჩუნებლად იყენებ.

კი, ასაკოვანი ხალხი ვართ და ათასი სატკივარი გვჭირს, ოღონდ რატომღაც გვგონია, რომ შენი ტანმოყვანილობის კაცის მხრიდან ჩვენს ბუასილიანობაზე ლაპარაკი ცოტა უხერხულია. სახალხოდ გამოსვლის დროს, მით უმეტეს, როცა ტელევიზორში ჩანხარ, მეტი დაკვირვებაა საჭირო.

მე კახელი კაცი ვარ და ასეთ დროს ჩვენში იტყვიან ხოლმე, ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო. ჩვენ, ისედაც გულმოკლულთ, შენსას ნულა გვეტყვი, ჩვენიც გვეყოფა.

შე დალოცვილო, ნამუსგაყიდულობას არ გაკადრებ, არას გვაძლევ და გვლანძღავ კიდეც?!

**გაიოზ ჭუჭულაშვილი,**
ომისა და შრომის ვეტერანი

## ვირო მადლი...

სწორად შენიშნა ერთმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა, ჩვენი ლოყაწითელა მინისტრები საკუთარი მუცლის იქით ვერაფერს ხედავენო. ეს გრძნობა განსაკუთრებით გამძაფრებული აქვს ბატონ კახა ბენდუქიძეს, რომელიც „ზევითებს“ კიდევ ჰა და ჰა, ბუნდოვნად მაინც ხედავს, „ქვევითებს“ კი, მუცლის თათქარიძისეული შემოწერილობის თუ ქათმის სიბეცით ავადობის გამო საერთოდ ვერ ამჩნევს.

თუ არა ამას, სხვას რას უნდა მივაწეროთ, რომ ბატონი სახელმწიფო მინისტრი გროშების ანაზარა მიტოვებული პენსიონერებისათვის სამუშაო სტაჟისა და დამსახურების მიხედვით პენსიების დანიშვნის სასტიკი წინააღმდეგია. ვერ გამიგიაო, ამბობს ის, რატომ უნდა მივცეთ მრავალშვილიან დედებზე მეტი პენსია იმათ, ვინც წლების მანძილზე ვითომ მუშაობდა, მაგრამ, ფაქტობრივად, უსაქმურობდა, ქვეყნისთვის ღირებულს არაფერს ჰქმნიდაო.

ჩვენ კი ვერ გაგვიგია, თუ მრავალშვილიანი დედების ასეთი გულშემატკივარია, რატომ ჩაიგდო ენა მუცელში პატივცემულმა მინისტრმა მაშინ, როცა შვიდ და მეტშვილიან დედებს შემწეობის თანხად 35 ლარი განუსაზღვრეს და რატომ ატარტარებს იმავე ენას ჩვენს წინააღმდეგ, რომლებმაც პატიოსანი შრომით სიცოცხლის არსებობის უფლება ნამდვილად მოვიპოვეთ. მას რატომღაც ჰგონია, რომ ვინც საბჭოთა პერიოდში მუშაობდა, ყველა ფუქსავატი და არამზადა იყო, ის კი, ვინც დღეს სახელმწიფოს სათავეშია მოქცეული, ქვეყნის ერთადერთი ამყვავებელია.

თუ ეს მართლა ასეა, მაშ ვინ შექმნა ის სიმდიდრე, რომელსაც ჩვენი მუცელა მინისტრი ასეთი მონდომებითა და რუდუნებით ჰყიდის? ან იქნებ ჰგონია, რომ ის მილიონები, რომელსაც ახლა კრუხივით აზის, საკუთარი შრომით მოპოვებულია? არა, ბატონო კახა, ისიც ჩვენი ოფლით შექმნილია, რასაც თქვენ ჰყიდით და ისიც, რაც ჩვენ მოგვპარეთ და ახლა თქვენი პირადი საკუთრება გგონიათ.

სწორედ ასეთ შემთხვევაზე იტყვიან, ვირო მადლიო...

**ნიკა ხარძიანი,**
პენსიონერი

◎ ინფორმაცია

### ნავთობპროდუქტების ფასი გაიზარდა

საქართველოში იმპორტირებულ ყველა სახის ნავთობპროდუქტზე საერთაშორისო ფასები გაიზარდა.

როგორც ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირიდან იტყობინებიან, ერთი ტონა ბენზინის ფასმა, რომლითაც საქართველოში იმპორტი ხორციელდება, 23 თებერვალს 564,25 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა დღის მაჩვენებელზე 14,25 აშშ დოლარით მეტია.

10,75 აშშ დოლარით გაიზარდა 1 ტონა ნავთის ფასი, რომელიც 577,5 აშშ დოლარის ნიშნულზე დაფიქსირდა. დიზელი 7,0 აშშ დოლარით გაძვირდა (1 ტონა – 534,75 აშშ დოლარი).

ინტერპრესნიუსი

### კონსულტაციები პოლონელ ექსპერტთან

სამედიცინო დაზღვევა სავალდებულო გახდება. ამის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ დავით მესხიშვილმა განაცხადა.

მესხიშვილი გუშინ საკონსულტაციო ჯგუფ „სტრაბო სეცურიტის“ ექსპერტებს შეხვდა და სამომავლოდ დაგეგმილი სიახლეების შესახებ მათგან კონსულტაციები მიიღო.

– სამედიცინო დაზღვევა ქვეყანაში აუცილებლად უნდა ამუშავდეს. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ეს იქნება ნებაყოფლობითი, მაგრამ საბოლოო ჯამში, განვითარებული ქვეყნების მსგავსად სამედიცინო დაზღვევა საქართველოშიც სავალდებულო გახდება, – განაცხადა დავით მესხიშვილმა.

მისი განმარტებით ეს ხანგრძლივი პროცესია და მის დანერგვას, დაახლოებით, ორი წელი დასჭირდება.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ განგაშის ზარი!

## 14 წლის გოგონები მუცელს იწყვეტენ!

**შემზარავი ფაქტები გამოავლინა გაეროს მოსახლეობის ფონდმა, რომელმაც ამას წინათ საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა:**

**ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ტემპი საქართველოში დღითი დღე მატულობს.**

**ეს მომაკვდინებელი ცოდვა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ჩვენში, თურმე, ბევრად უფრო ხშირად ხდება!**

გაეროს პროექტის – „მხარდაჭერა რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამსახურების და ინფორმაციის გაუმჯობესებისთვის“ – ეგიდით გამართულმა მამაკაცთა რეპროდუქციული კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ 14-დან 19 წლამდე ბიჭების **(დიახ, ეს ასაკია მითითებული!)** მეუღლეების მინიმუმ 10 პროცენტი აბორტს იკეთებს ძირითადად სოციალური სიდუხჭირის გამო! ხოლო ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტას 45-69 წლის მამაკაცების მეუღლეების 67 პროცენტი მიმართავს – ისევ გასაგები, ეკონომიკური მიზეზების გამო!

სამწუხაროდ, გამოკვლევაში არაფერია ნათქვამი, რა მდგომარეობაა 20-დან 45-წლამდე მამაკაცების ოჯახებში, როცა ბავშვის გაჩენის და სრულყოფილად გაზრდის ყველაზე დიდი შანსი არსებობს.

სავალალო და საგანგაშო ის არის, რომ 14-15 წლის მოზარდები, თურმე, ქორწინდებიან კიდეც და... ზოგჯერ, პირველ შვილს ჩანასახშივე სპობენ!

რა არის ეს? – პათოლოგია თუ ელემენტარული უცოდინარობა?

ამ კითხვებს, ალბათ, ყველა თავისებურად უპასუხებს. თუმცალა, მთავარი ის არის, რომ კანონით აკრძალული აბორტი და „აბორტმახერები“ საქართველოში თავისუფლად დანავარდობენ.

თავად განსაჯეთ, – გაეროს პროექტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ საქართველოს მხარეებში, თურმე, უფრო მძიმე სტატისტიკა გამოვლინდა:

აჭარაში, გურიასა და იმერეთში, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ორსულობა ხელოვნურად შეწყვიტა ქალების 30-მა პროცენტმა; კახეთში, სამეგრელოში, ზემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო და შიდა ქართლში კი – ქალების 53-77-მა პროცენტმა.

ეს უკვე, მეტისმეტია!



ბუნებრივია, აბორტის შემთხვევები პროცენტულად სოფლებში უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქებში, რაც, უცხოელთა აზრით, საქართველოში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის შედეგია.

გაეროს ექსპერტებმა ისიც დაგვიდგინეს, რომ ქართველ ქალთა 62 პროცენტი, რომლებსაც 2 შვილი ჰყავთ და ქალების 59 პროცენტი, რომლებსაც 3 შვილი ჰყავთ, იძულებულნი არიან „ასაკის“ ან მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, ორსულობა ხელოვნური ჩარევით შეწყვიტონ!

**როგორც იტყვიან, სასოწარკვეთის კი არა, განგაშის დროა!**

საქართველო მომაკვდავი ქვეყნების სიაშია შეტანილი. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი კი გვამშვიდებს, – 2006 წელს ჩვენთან თითქმის 10 000 ბავშვით მეტი დაიბადა, ვიდრე წინა, 2005 წელსო!

ღმერთმა ქნას, წლეულს მეტი დაბადებულიყოს, მაგრამ... სიკვდილიანობა რომ მაინც საგრძნობლად უსწრებს შობადობას? 2006 წელს თუ 43 902 ბავშვი დაიბადა... გარდაიცვალა 48 000-ზე მეტი! თანაც, გასული საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოში ყოველწლიურად იბადებოდა მინიმუმ 90-92 ათასი ბავშვი, ანუ, დღევანდელთან შედარებით ორ-სამჯერ მეტი!



ჩვენი გაზეთი ამ პრობლემაზე მრავალგზის წერდა. თუმცალა, არც არავინ გვისმენდა და.... მით უფრო დღეს, არავინ გვისმენს!

ამოვალთ კი ოდესმე ამ ჭაობიდან? ქვეყნის მოსახლეობის კლების შემზარავი დინამიკა ამის იმედს არ იძლევა.

**ბოლო ორი წლის უმნიშვნელოვნელო პერსპექტივა, უმნიშვნელო მატება ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ ერი და ბერი, ხელისუფლება, დედაეკლესია, ყოველი გონიერი ქართველი არ დაირაზმა და ბედკრულ საქართველოში ჩამოწოლილი დემოგრაფიული ყინული საფუძვლიანად არ გაალღო!..**

**სპარტაკ ქობულია**

თურმე ამერიკის შეერთებულ შტატებში კვებისა და წამლის სააგენტო FDA, ფაქტობრივად, ერთადერთი სახელმწიფო უწყებაა, რომელიც კვებისა და ფარმაცევტულ სფეროებს მთლიანად აკონტროლებს. ყველაზე დიდი ფარმაცევტული კომპანიებიც კი მასთან ვერაფერს აწყობენ და, კანონის დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისად ისჯებიან



№ 36. შაბათი, 24 თებერვალი, 2007 წელი.

## ინფორმაცია

### რეიდები — თბილისში

თბილისის საგადასახადო ინსპექციამ, ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანებების გამო, გუშინ 12 ობიექტში რეიდი ჩაატარა.

საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები სალაროდან ნაღდი ფულის ამოსაღებად ორ აფთიაქსა და რესტორნებში, ასევე ფალიაშვილის ქუჩასა და ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე სუპერმარკეტებში – „სიმბასა“ და „იბისში“ შევიდნენ.

ყველაზე დიდი დავალიანება – 126 ათასი ლარი სახელმწიფოს წინაშე „სიმბას“ დაუგროვდა. რაც შეეხება „იბისს“, მასზე 3 ათასი ლარის დავალიანება ირიცხება, თუმცა, ინსპექციის თანამშრომლებმა მხოლოდ 300 ლარის ამოღება შეძლეს.

ინტერპრესნიუსი

### კოკოითის მთავრობა ბიზნესმენებს ეხმარება

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე.წ. მთავრობის თავმჯდომარე იური მოროზოვი აცხადებს, რომ მიმდინარე წელს ე.წ. სამხრეთ ოსეთის მთავრობა „რესპუბლიკაში“ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას იწყებს.

მისი თქმით, წელს კოკოითის მთავრობა აღნიშნული სფეროს დასაფინანსებლად „ბიუჯეტიდან“ 10 მილიონ რუსულ რუბლს გამოყოფს. მისივე თქმით, ამ პროცესის დასაწყებად ე.წ. სამხრეთ ოსეთის „რესპუბლიკის“ საკანონმდებლო ბაზა უკვე სრულყოფილებაშია მოყვანილი.

„აღნიშნული პროექტებისათვის ფინანსების გამოყოფა მიმდინარე წლის მარტიდან დაიწყება“, – დასძინა კოკოითის მთავრობის თავმჯდომარემ.

### ოსეთში სატელეფონო ტარიფები იმატებს

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე.წ. მთავრობა სატელეფონო კავშირგაბმულობით სარგებლობის გადასახადის გაზრდას აპირებს.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის კავშირგაბმულობის გაერთიანების ხელმძღვანელი ვალერი კოჩიევი აცხადებს, რომ ფასების ზრდის მიზეზი, რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ კი სამხრეთ ფედერალურ ოლქში, ანალოგიური ტარიფების ზრდასთანაა დაკავშირებული.

ხო-ეიბ-ენი

## ეს პრეზიდენტმა უნდა იცოდეს!

# წამალს ცეცხლი უკიდია, სიმწრით იყიდი და, შეიძლება, ფალსიფიცირებული იყოს!

***ამდენი ყოფითი პრობლემებით შეჭირვებულ ჩვენს სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, ანუ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, ახალი საფიქრალ-სადარდებელი გაუჩნდა: უკვე მერამდენედ გაიზარდა წამლების ფასი. გაძვირდა როგორც ტკივილგამაყუჩებელი, ასევე ანტიბიოტიკებიც, აგრეთვე ქრონიკული (დიაბეტონი, პრედუქტალი, სეპტრინიძ და სხვა სახის დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები. ამაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯერაც უუფროსო წამლის სააგენტოში კომენტარს არ აკეთებენ. თუმცა ის კი თქვეს, ფარმაცევტულ ბაზარს მომწოდებლები არეგულირებენო. თავის მხრივ, ფარმაცევტული კომპანიებიც კი, წამლებზე ფასების მატებას ქვეყანაში ევროს შემოსვლას და უცხოელ მომწოდებელ ფარმაცევტულ ქარხნებს უკავშირებენ. არადა, უცხოეთიდან შემოტანილი მედიკამენტების ფასებმა 15-20, ზოგ შემთხვევაში – 100 პროცენტით აიწია. განსაკუთრებით ეს ითქმის უკრაინულ, რუსულ, ბელორუსულ და ლატვიურ წამლებზე, რის მიზეზადაც ამ ქვეყანაში ენერგომატარებლების ღირებულების ზრდას მიიჩნევენ. თურმე, სულ ჩვენს ქართულ ფარმაცევტულ სადისტრიბუციო კომპანიებს მედიკამენტებით 150-მდე უცხოური ქარხანა ამარაგებს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სწორედ მათი მოწოდებული წამლები გაძვირდაო.***

მოსახლეობამ არც კი იცის, რომ საზღვარგარეთ წარმოებული წამლების ქართული (მაღალხარისხიანიძ ანალოგებიც არსებობს და ისინი გაცილებით იაფიცაა.



ამ რამდენიმე თვის წინათ, ფალსიფიცირებული წამლების გამოვლენის გამო ატყდა აურზაური, ახლა წამლების ფასების მომატებამ აალელვა ხალხი. იმის საშუალება ძლივს არის, რომ წამალი გაჭირვებით, მამასისხლად შეიძინო, ახლა იმის შიში გქონდეს, ვაითუ საწამლავიაო?!

იმაზე პასუხს ვერავინ იძლევა, თუ ქვეყანაში ვინ (ან რაძ უნდა არეგულირებდეს ფარმაცევტულ ბაზარს. ამასთან დაკავშირებით ორი რამ გამახსენდა.

**პირველი:** შარშან, 17 თებერვალს, წამლის სააგენტოს შექმნის წლისთავზე, ფარმაცევტული დარგის პრობლემებზე საუბრისას, წამლის სააგენტოს იმჟამინდელმა უფროსმა თინა ტურძელაძემ (აწ შერისხულ-განდევნილმაძ ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, რომ კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ ჩვენთან 1997 წლიდან მოქმედებს, მაგრამ სააგენტოს შექმნის პირველსავე თვეებში, როცა მოთხოვნა გავამკაცრეთ, ნათელი გახდა, რომ კანონი, ფაქტობრივად, უცხო იყო სფეროსათვის, რომ პრობლემა თავად კანონიდანაც მომდინარეობს. თუმცა ეტაპობრივად შედის ცვლილებები კანონმდებლობაში, ზუსტდება საკითხები, მაგრამ ამ საქმეში პროფესიონალიზმისა და კვალიფიციურობის დეფიციტი აშკარად იგრძნობაო;

**მეორე:** თურმე ამერიკის შეერთებულ შტატებში კვებისა და წამლის სააგენტო FDA, ფაქტობრივად, ერთადერთი სახელმწიფო უწყებაა, რომელიც კვებისა და ფარმაცევტულ სფეროებს მთლიანად აკონტროლებს. ყველაზე დიდი ფარმაცევტული კომპანიებიც კი მასთან ვერაფერს აწყობენ და, კანონის დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისად ისჯებიან.

ჩვენ რა გვიჭირს, ბოლოსდაბოლოს, იქნებ პური მეპურემ გამოაცხოს – კანონი დაიხვეწოს და მუშაობის ეს ამერიკული მოდელი ჩვენთანაც დაინერგოს (ბევრი რამ ხომ გადმოვიტანეთ?!ძ.

ხმა გამოვიდა, რომ წამლის სააგენტოს უფროსად ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ვარლამ მოსიძე მოიაზრება, რომელიც სამინისტროდან წამლის სააგენტოს კურირებს (?!ძ.

* * *

**აღნიშნულ საკითხზე გავესაუბრეთ მოსახლეობას:**

**ბერდია ნანობაშვილი, მწერალი:** ქვეყანაში ამდენი უმუშევარია, პენსიონერიც აბა, რას იღებს... რა ქნას ხალხმა. სამომხმარებლო ბაზრის გაძვირება, განსაკუთრებით კი მედიკამენტებზე ფასების მომატება, ყოვლად გაუმართლებელი და გაუსაძლისია.

**ევგენია ველიჩკო, ექთანი**: მე ჰიპერტონიკი ვარ, გულიც მაწუხებს, წამალი ჯიბით დამაქვს. ის ისევე საჭიროა ჩემთვის, როგორც ჰაერი. ძალიან გაძვირდა წამლები. ისედაც ძლივს ვახერხებდი ყიდვას. ახლა რა ვქნა, წინასწარ დავიკრიფო გულ-ხელი?

**გაიოზ კენკებაძე, პენსიონერი**: ჩვენ რომ ყოფაში ვართ, ამას ცხოვრება არ ჰქვია. მე და ჩემი მეუღლე ძირითადად პურზე და ჩაიზე ვართ იმისათვის, რომ დანაზოგით წამლები შევიძინოთ. ორივენი ავად ვართ, ხან რა გვაწუხებს და ხან რა. წამლებითღა გვიდგას სული. ისიც თუ ველარ შევიძინეთ, არ ვიცი, რა გვეშველება.

**ნატრული კვეკვესკირი, მასწავლებელი**: მოხუცი მშობლები მყავს, ხშირად ავადმყოფობენ. დედას სახსრები აწუხებს, მამა დიაბეტიანია. პენსია წამლებზეც კი არ ჰყოფნით. უწამლოდ მათი ყოფნა არ შეიძლება. მასწავლებლის ხელფასი კი მოგეხსენებათ, მცირეა. ისედაც ძლივს გაგვაქვს თავი. ახლა კიდევ წამლების გაძვირება გვინდოდა?!

**გელა კვარაცხელია, სტუდენტი**: ჯერჯერობით მე წამალი არ მჭირდება, მაგრამ რომ ვუყურებ, ისტერიკამდე მიდის ხალხი. იტალიურ ეზოში ვცხოვრობ და ეზოსა თუ სახლში (ჩემი მშობლები, ბებია-პაპა და მეზობლებიძ დილა გაჭირვებაზე ლაპარაკით იწყება, საღამოა და, ისევ პრობლემებზე ლაპარაკობენ. ახლა კიდევ წამლის ფასები დაემატა... წამალი მაინც უნდა იყოს ხალხისთვის ხელმისაწვდომი...

**კოკი რუსიტაშვილი, ყოფილი მძღოლი, პენსიონერი:** როგორც ცნობილია, საქართველოს მოსახლეობის დიდი პროცენტი სამწუხაროდ, ჩვენზე, ხანდაზმულებზე მოდის. 87 წლის კაცი ვარ და ასაკოვანი ადამიანებისადმი ისეთ აგდებული დამოკიდებულება არასოდეს ყოფილა, როგორც დღესაა. შვილო, დავიხოცებით და ეგ არის. ნორმალური ჭამა-სმა არა! წამლის შეძენის საშუალება არა! ამას ცხოვრება ჰქვია?

ბენდუქიძემ რომ განაცხადა, სტაჟიანები უსაქმურები არიანო, დავიჯერო, ასაკოვანი, სტაჟიანი ახლობლები არა ჰყავს. თუ ჰყავს და ყველა უსაქმური როგორ იყო. ალბათ ასე ურცხვად იმიტომაც მსჯელობს.

**ბელა ლომთაძე**

## წაასწრეს

# ობიექტური გამოძიებისთვის ფულს ითხოვენ

**შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოქალაქისათვის ფულის გამოძალვის ბრალდებით დააკავეს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს, ფოთის პოლიციის სამმართველოს უფროსი გამომძიებელი ბაკურ ფარულავა.**

„ვარდების“ რევოლუციის შემდგომ ხელისუფლებაში მოსულთა მიერ ნაქებ სამართალდამცავებში ბოლო დროს მსგავს ფაქტებზე პიროვნებების დაკავება საზოგადოებისათვის უცხო სულაც არ არის. ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია შეხება სამართალდამრღვევ სამართალდამცავებთან, აღშფოთებას ვერ მალავს. ისინი ერთხმად აცხადებენ, რომ საქმეებისადმი სუბიექტური მიდგომა, საპროცესო ნორმებისა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების დარღვევა ღიად ხდება, როგორც შსს-ს, ასევე პროკურატურასა და სასამართლოს ინსტანციებში. მომხდარის შესახებ საჩივრის შეტანას ან ინფორმაციის გაჟღერებას ერთეულები თუ ბედავენ.

ერთ-ერთი ჩვენი ინკოგნიტო (გვარი კატეგორიულად არ დაგვისახელაძ რესპონდენტის განმარტებით, ზემოთ დასახელებული სამივე უწყების ინსტანციებში იშვიათი როდია პირდაპირ დერეფნებში მოლაპარაკებები ეჭვმიტანილებთან, დაკავებულთა ახლობლებთან, ადვოკატებთან თანხების გადახდის თაობაზე. პირველ რიგში ეს ეხება საპროცესო გარიგებებს. მაგრამ, როგორც ირკვევა, საპროცესო გარიგებაზეც რომ დაითანხმო გამომძიებელი, პროკურორი ან მოსამართლე, გარკვეული „ჯიბის ფულიცაა“ გადასახდელი. თანხა ხანდახან იმდენად დიდია, რომ აშკარა დამნაშავე შეიძლება უდანაშაულოდ ცნონ და საზოგადოებას დაუბრუნონ.



ვერ ვიტყვით, რომ შესაბამისი უწყებები ყოველივე ამას გულგრილად უყურებდნენ, მაგრამ მათ მიერ გატარებული ღონისძიებები წვეთია იმ კორუფციის ზღვაში, რომელშიც ქართული მართლმსაჯულებაა გადაშვებული. არაოფიციალური ინფორმაციით (ოფიციალური არ ქვეყნდებაძ დღეისათვის კანონის დამრღვევ სამართალდამცავი, ძალოვანი და მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენლებზე 100-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მათგან მესამედზე (30-მდეძ ძებნაა გამოცხადებული.

შსს-ს მაღალჩინოსნები აცხადებენ, რომ თუ დაზარალებულად მიჩნეულმა კაცმა თავად არ მიმართა შესაბამის სტრუქტურებს, მათ გაუჭირდებათ მსაგვს დარღვევებთან ბრძოლა. მაგრამ ვინ დაიცავს მოქალაქეს ასეთ შემთხვევაში? რა გარანტია აქვს, რომ მორალურ და მატერიალურ ზარალს აუნაზღაურებენ და დამნაშავეს დასჯიან?

ასეთ ვითარებაში თითქოსდა არ უნდა გაგვიკვირდეს ფოთელი გამომძიებლის ფარულავას დაკავება, ერთი გარემოება რომ არა: უფროსმა გამომძიებელმა ფული გამოსძალა არა ვინმე ეჭვმიტანილს, ან მის ახლობელს, არამედ... დაზარალებულს. მის ვინაობას შსს არ აკონკრეტებს, როგორც შსს თანამშრომლებთან კერძო საუბრისას გავარკვიეთ, დაზარალებული გამომძიებლისგან ითხოვდა არც თუ დიდად მნიშვნელოვანი საქმის (ოღონდ, შეიძლება მისთვის იმ საქმეს უდიდესი მნიშვნელობაც ჰქონოდაძ... ობიექტურად გამოძიებას... როდესაც აწ უკვე ყოფილი უფროსი გამომძიებელი დარწმუნდა, რომ პიროვნებისთვის საქმის სწორად დამთავრებას მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ჯერ 300 დოლარი მოითხოვა, ცოტა ხანში კი „სტავკა“ 500 დოლარამდე ასწია. შეურაცხყოფილმა კაცმა კუდ-ს (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტიძ მიმართა.

**ფარულავას 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.**

**ზაზა ბილიხოძე**

**ცხოვრებაში ბევრი რამის მომსწრე და მნახველი ვარ, მაგრამ სანტიაგოს გზაზე გატარებულ ამ პირველ ღამეს ვერცროდის ვერ დავივიწყებ.**



## ჩვენი ბიბლიოთეკა

— სიბრძნის ჭეშმარიტი გზა ოდენ სამი ნიშნით იცნობა, — განაგრძობდა პეტრუსი, — ჯერ ერთი, ა გ ა პ ე თ ი, ანუ სიყვარულით უნდა დაიწყოს, ოღონდ ამაზე მოგვიანებით გიამბობ. მეორეც, ცხოვრებაში პრაქტიკულად უნდა გამოგადგეს, სხვანაირად სიბრძნე უსარგებლო, გამოუსადეგარი გახდება და დაჟანგდება, დალაბრდება, ვითარცა მახვილი, რომელიც ერთხელაც არ მოუქნევიათ. მესამეც, ეს ისეთი გზაა, რომელზედაც შენ შემდეგ სხვანიც შეძლებენ გავლას.

მთელი დარჩენილი დღე ვიარეთ, და მხოლოდ დაისის ჟამს, მზემ მთათა მწვერვალებს მიღმა რომ იწყო დახდომა, გადაწყვიტა პეტრუსმა მუხლიდან ქარის ამოღება. ჩვენ გარშემო უკანასკნელ მზის სხივებში ჯერეთ ისევ ბრწყინავდნენ პირენეების ყველაზე მაღალი მწვერვალები.

პეტრუსმა მთხოვა, რომ მიწის პატარა ნაჭერი მომეკალიფებინა და ზედ მუხლი მომეყარა.

— RAM ორდენის პირველი საიდუმლო აღორძინების უნარია. ამ საქმეში ზედიზედ შვიდი დღე უნდა ირუდუნო, თანაც სულ იმის ცდაში უნდა იყო, რომ მუდამ ახლებურად, სხვაგვარად შეიგრძნო სამყაროსთან შენი პირველი კავშირი. ხომ გახსოვს, რარიგ გეძნელებოდა იმის გადაწყვეტა, რომ ყველაფრისთვის თავი მიგენებებინა და აქ ჩამოსულიყავი, რათა სანტიაგოს გზას დამწყემსებოდი და შენი მახვილი გეპოვა. მაგრამ ეგ გაძნელება მხოლოდ და მხოლოდ იმ ამბავმა წარმოქმნა, რომ საკუთარი წარსულის ტყვე იყავი. დამარცხება უკვე ბევრჯერ გენახა და ახალი მარცხი გაშინებდა; რაღაც-რაღაცები უკვე მოპოვებულად გიჩნდა და მონაპოვრის დაკარგვისა გეშინოდა. თუმცაღა მახვილის პოვნის სურვილმა მაინც გადაძალა და გადაწონა ყოველივე დანარჩენი. და რისკის გაწევა გადაწყვიტე.

დავეთანხმე, ოღონდ დავძინე, რაც რამ შიში მიხსენე, არც ერთი დღესაც არ მასვენებს-მეთქი.

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს. ვარჯიში ნელ-ნელა მოგხსნის ტვირთს, რომელიც თავად მოიგდე ზურგზე.

და პეტრუსმა მიჩვენა RAM ორდენის პირველი საიდუმლო — *„მარცვლის“ სავარჯიშო.*

— ამით დაიწყე.

თავი ისე დავდრიკე, მუხლებს შუა მოვიქციე, ღრმად ჩავისუნთქე და დავიწყე რელაქსაცია. სხეული ეგრევე დამემორჩილა — ალბათ, იმიტომ, რომ მთელი დღე ვიარეთ და ქანცგაწყვეტილი ვიყავი. ცხადად მეყურებოდა მიწის ხმა — ყრუ და ხრინწიანი ხმა — და თანდათან გამარცვლება, მარცვლად გადაქცევა დავიწყე. არცრაზე არ ვფიქრობდი. ირგვლივ ბნელოდა, და მიწის შუაგულში ძილი მერეოდა. წამერთ რაღაც შეინძრა. ეს რაღაც ნაკვთმა — ჩემი არსების რაღაც უმცირესმა ნაწილმა სცადა ჩემი გამოფხიზლება და თან მეჩიჩინებოდა, აქედან უნდა ახვიდე, რადგან „იქ, ზემოთ“ რაღაცა სხვა ამბავიაო. მე თავი საძილედ მიკვდებოდა, მაგრამ უმცირესი ნაწილი თავისას არ იშლიდა — და აკი მიაღწია კიდეც იმას, რომ თითები გამიცივდნენ, თითებმა ხელები ამიმოძრავეს, ოღონდ ეს არც თითები ყოფილა და არც ხელები, ეს პაწაწკინტელა, ერთი ბეწო ღივი იყო, რომელიც თავგამოდებით ებრძოდა დედამიწის ძალას, რათა „იქ, ზემოთ“ აეღწია. ვიგრძენი, როგორ აჰყვა სხეული ხელების მოძრაობას. სუყოველი წამი მარადიულობად ჩანდა, მაგრამ მარცვალს დაბადება და იმის გაგება ეჭირვებოდა, რა იყო თავად და რას წარმოადგენდა. გასაოცარი ძალისხმევით ჯერეთ თავმა, მერე კი მთელმა ტანმა იწყო წამოწევა. ოღონდ ნელა, საშინლად ნელა, და, სანამ წამოვიმართებოდი, იმ ძალის დაძლევა მიხდებოდა, ქვევით, სიღრმეში, ისევ დედამიწის ღურღუმში რომ მეწეოდა, სადაც ჯერეთ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ მშვიდად მეძინა საუკუნო ძილით. ვატყობდი, რომ ვიმარჯვებდი, ჩემი გამქონდა, და ანაზდეულად თითქოს რაღაცა გატყვრა, აინგრა, და წელში გავსწორდი, გავიმართე, და ის ძალა, რომელიც კვალად მიწისკენ მხრიდა და მდრეკდა, გაქრა. მოკლედ, ამოვხეთქე მიწა და იმას მივეახლოვე, რაც „იქ, ზემოთ“ იყო.

„იქ, ზემოთ“ კი მინდორი დამხვდა. მზის სითბო ვიგრძენი, კოღოს წუილი და შორიახლო ჩამდინარე წყლის ზვირთის დგაფუნი მომეყურა. თვალებდახუჭული მძიმე-მძიმედ წამოვდექი. მეჩვენებოდა, ცოტაც და, წონასწორობას დავკარგავდი, კვალად მიწაში აღმოვჩნდებოდი, მაგრამ სინამდვილეში ზრდას განვაგრძობდი, ტანსა ვყრიდი. მალე ხელებიც გავშალე, ტანში გავიმართე და ვიდექი აგრე, აღორძინებული, ოცნებად კი ისღა დამრჩენოდა, რომ გარედანაც და შიგნიდანაც მზის შუქის კაშკაშა ნიაღვართ განვებანე, რომელი შუქიც ოდენ იმას მენუკვოდა, ოღონდ მეგვარა და მეხარა, ოღონდ ღრმად დავფესვიანებულიყავი, ტანი ამეყრა და თვით ცისთვის მიმეწვდინა ტოტები. სულ უფრო და უფრო ვიძაგრებოდი, ვიჭიმებოდი, რამდენი კუნთიც მქონდა, სუყველა ერთად მტეხდა, და ვგრძნობდი, ამ გამაღლება-გამაღლებაში იმსიმაღლე გავხდი, თუ მოვინდომებდი, მთებსაც ჩავიკრავდი გულში. და ტანი ჩემი კვალად სულ ზევით-ზევით და სულ სიგანეში მიიწევდა, სანამ კუნთების ტკივილი ისე აუტანლად არ მექცა, რომ ვეღარ გავუძელი და შეღონებულმა შევყვირე.

და გავახილე თვალები. პეტრუსი წინ მედგა, იღიმოდა და ეწეოდა. დღის შუქი ჯერეთ კიდევ ძალას ინარჩუნებდა, მაგრამ გაკვირვებული და გასახტებული დავრწმუნდი, რომ ჩემ მიერ გონებაში წარმოდგენილი მზე ცაზე უკვე აღარ იყო. აგიწერო, რა გრძნობებითაც ვიყავი-მეთქი შეპყრობილი, დავეკითხე ჩემს მეგზურ-ეტიკს, პასუხად მან თავი გააქნია:

— ეგ ყველაფერი ძალიან პირადულია, შენი გრძნობები შენადვე უნდა დაიტოვო. მე, აბა, როგორ განვსჯი, რასაც შენ განიცდიდი? შენი გრძნობები შენია, ჩემი ხომ არ არის.

მერე, ღამის თევით აქ დავრჩებითო, თქვა. იქვე პატარა კოცონი დავანთეთ, რაც ბოთლში ღვინო იყო დარჩენილი, გამოვცალეთ, და ხელდახელ რამდენიმე სენდვიჩი გავამზადე, ბატის ღვიძლის პაშტეტიანი, ანუ ფრანგული foie-gras, რომელიც სენ-ჟან-პიერ-დე პორში მისვლის წინადღეს ვიყიდე. პეტრუსმა ფშანში ორიოდ მოზრდილი თევზი დაიჭირა და კოცონზე შეწვა. ნავახშმნი ჩვენჩვენს საძილე ტომრებში შევწექით.

ცხოვრებაში ბევრი რამის მომსწრე და მნახველი ვარ, მაგრამ სანტიაგოს გზაზე გატარებულ ამ პირველ ღამეს ვერცროდის ვერ დავივიწყებ. ზაფხულის ღამე ცივი გამოდგა, პირში კი ჯერეთ ისევ ვგრძნობდი იმ ღვინის გემოს, რომლითაც პეტრუსი გამიმასპინძლდა. მაღლა ცას ავყურებდი, და ჩემს თავზე გადაჭიმული ირმის ნახტომი სრულად მახილვებინებდა მთელ მანძილს, რომლის გავლაც გველოდა. სხვა ვითარებაში ამ საზარელ სივრცეს იქნებ ნაღველი, უიღბლობის შიში და საკუთარი არარაობის შეგნებაც ჩაენერგა ჩემში. მაგრამ ახლა ახლად გაჩენილი მარცვალი ვიყავი. ჩემდა უნებურად აღმოვაჩინე, რომ რაც არ უნდა კარგი, რაც არ უნდა წყნარი იყოს მიწაში ძილი, ცხოვრება ბევრად მშვენიერია „იქ, ზემოთ“. და აღორძინებითაც იმდენჯერ ავღორძინდები, რამდენჯერაც მოვიპრიანებ,— მანამდე, სანამდეც ჩემი ხელები არ მოიცავენ მთელ დედამიწას, საიდანაც მოვლინებულვარ.




### „მარცვლის“ სავარჯიშო

*ძირს მუხლებზე დაეშვი. მერე ჩაცუცქდი, ჩაპუპუზდი და ისეთნაირად დაიხარე, თავი მუხლებს რომ შეეხოს. ახლა მუხლებზე შემოიხვიე ხელები და ჩანასახის მდგომარეობაში ჩაიყენე თავი. და მოდუნდი, მოეშვი, ნუ იქნები დაჭიმული და დაძაბული. ისუნთქე ღრმად და მშვიდად. მალე თავს პაწაწინა მარცვლად იგრძნობ ნიადგის სიმყუდროვესა და იდუმალებაში. შენ გარშემო ყველაფერი სითბოს ასხივებს და საამო შეგრძნებას შეგრძნებაზე გძლვნის. ღრმა, გულის ძილსა ხარ მიცემული. მაგრამ აგერ თითი გაგენძრა. მარცვალს მარცვლობა აღარა სწადს — დაბადება სურს. ნება-ნება იწყებ ხელების გატოკებას, და სხეული თანდათან გისწორდება, წელში იმართები, თუმცა კვლავინდებურად ჩაცუცქული ხარ. მძიმე-მძიმედ დგები. მთელი ამ ხნის განმავლობაში თავი წარმოდგენილი გაქვს მარცვლად, რომელიც ღივდება და ის ღივი ნიადაგის სიღრმიდან ჯიუტად ცდილობს თავის ამოყოფას.*

*აწ უკვე სამზეოზე მოვლინების ჟამი დამდგარა. ნელა წამოიმართები. სხეულის სიმძიმე ჯერეთ ერთ ფეხზე გადაგაქვს, მერე მეორეზე. და წონასწორდები, როგორც ის ღივი თუ ღოჯი, სასიცოცხლო სივრცე ბრძოლით რომ მოიპოვა. აგერ, უკვე ფეხზე ხარ მთელი ტანით ამართული. წარმოიდგინე, რომ შენ გარშემოა მინდორველი, მზე, წყალი, ქარი, თავს დაგტრიალებენ ფრინველნი. უკვე ნახარები ღივი ხარ, მიწის ზედაპირზე ამოსული, აღმონაცენი. ნება-ნება აღმართე ხელები ცისკენ. მერე წაეპოტინე, წაეტანე, რაც ძალი და ღონე გაქვს, წაეწოდე, ვითომ საცაა უზარმაზარ ცხრათვალა მზეს უნდა მისწვდე, რომელიც თავს დაგკაშკაშებს, თავისკენ გიზიდავს და ძალ-ღონეს გმატებს. სხეული სულ უფრო და უფრო გეჭიმება, ყოველი კუნთი გიხევდება, შენ კი იზრდები და იზრდები, ტანსა ყრი — და ორთოდენა ხდები, ვეებერთელა, დაძაბულობა მატულობს და უკვე გაუსაძლისია, საშინლად მტკივნეული. როს იგრძნობ, რომ ტკივილის ატანის თავი აღარა გაქვს, — წამოიყვირე და გაახილე თვალები.*

*ეს სავარჯიშო შვიდი დღე ზედიზედ ერთსა და იმავე დროს გაიმეორე.*

### შემოქმედი და ნაქმედი

ექვსი დღე პირენეებში ვიარეთ, ვინ მოთვლის, რამდენჯერ დავითავდაღმართეთ და რამდენჯერ შევიაღმართეთ, და მუდამ, როგორც კი მზე ყველაზე მაღალ მწვერვალთ ოქროთი ავარაყებდა, სავარჯიშო გაიმეორეო, მთხოვდა პეტრუსი. მესამე დღეს გზაზე შეხვედრილმა ყვითელმა ბეტონის ნაჭერმა გვამცნო, რომ საზღვარი გადავლახეთ და იმიერიდან ესპანეთის მიწაზე მივაბიჯებდით. ჩემმა ეტიკმა ნელინელ ამოიდგა ენა და თავის თავზე ზოგი რამ მიამბო — თურმე იტალიელი იყო და სამრეწველო დიზაინის* სპეციალისტი. „იმდენი საქმის მიტოვება მოგიხდა, რათა პილიგრიმს მახვილის საძებნელად გამომყოლოდი, ალბათ, შეწუხებული ხარ, არა?“ — დავეკითხე.

— უნდა ზოგი რამ აგიხსნა, — მომიგო მან. — მე სულაც იქ არ მოგდევ, სადაც შენი მახვილია. ის მხოლოდ და მხოლოდ შენ უნდა იპოვო. მე აქ მარტო იმისთვის ვარ, რათა სანტიაგოს გზით გატარო და RAM ორდენის მცირეოდენი რამ სიბრძნე გადმოგცე. თუ როგორ გამოიყენებ ჩემს რჩევა-დარიგებას თუ დათათბირებას შენი მახვილის მოსაპოვებლად, შენ იცი და შენმა ფხიანობამ.

— ჩემს კითხვაზე მაინც არ მიპასუხე.

— კაცი მოგზაურობაში ვერ ატყობს, ისე იბადება მეორედ. სულ ახალ და ახალ ვითარებაში ხვდება. ერთ ქალაქია დღეს მეორე ქალაქია დღე უცვლის, გარშემო უმეტესად უცხო მეტყველება ესმის. ის ჩვილ ყრმასა ჰგავს, დედის საშოდან ეს-ეს არის მოვლენილს. და მეტ ყურადღებას უფრო იმას უთმობს, რაც ირგვლივ აკრავს, რადგან იმაზეა დამოკიდებული, გადარჩება თუ არა. სუყოველი კაცის მიმართ ის ფრთხილი და გულისხმიერია, ვინაიდან გაჭირვების ჟამს იმ კაცთ უნდა აღუპყრონ ხელი. და ზეციერთა წამიერ წყალობას ლხინად აღიქვამს და, სანამ პირში სული უდგას, არ იგულმავიწყებს.

ამავე დროს, რამდენადაც იმისთვის ყოველივე უცხო და ახალია, ის ოდენ სილამაზეს ამჩნევს და ბედნიერია უკვე იმიტომ, რომ ცოცხალია. ამ მიზეზით რელიგიური მწირობა, ანუ წმინდა ადგილთა მოლოცვა, მუდამ იყო წვდომისკენ მიმავალი ერთ-ერთი ყოვლის უფრო პირდაპირი და მოკლე გზა. სიტყვა „ცოდვა“, ლათინურად „pecus“, თავდაპირველად „მტკივან ფეხს“ ნიშნავდა, ესე იგი ფეხს, რომელსაც გზის დაკეცვის უნარი არ შესწევს. ცოდვისგან თავის დასაღწევად კი სულ წინ სიარულია საჭირო, რა ახალ და უჩვევ ვითარებაშიც არ უნდა მოხვდე, უნდა შეეთვისო და შეეგუო, თანაც არ დაგავიწყდეს, ცხოვრება მოიეფეა, და რაც შეიძლება მეტი და მეტი ლოცვა-კურთხევა უნდა გაამეტებინო.

ნუთუ მართლა ფიქრობ, რომ ვლელავ იმ ხუთი თუ ექვსი პროექტისა გამო, რომელთაც თავი მივანებე, რათა შენთან ერთად დავდგომოდი ამ გზას.

პეტრუსმა აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა და მზერა იმ მთის წვერზე შეაჩერა, სადაც თხები ძოვდნენ. ერთ-ერთი, ჩანს, ყველაზე ყოჩაღი, ისეთ ჭიუხზე ამძვრალიყო, გაგიკვირდებოდა, ან როგორ მოხვდა იქ, ან როგორ უნდა ჩამოსულიყო. ნეტავი რას იზამს-მეთქი, სანამ ამ საგონებელში ვიყავი, თხამ ისკუპა და ჩემთვის უხილავი წავარნითა თუ კლდის ქიმ-ქიმ დაეშვა, არვეს შეერია. ჩვენ გარშემო სოფელ-ქვეყანა გაურკვეველ ფორიაქს შეეპყრო და ისეთნაირად სუნთქავდა, დაშოშმინებისა არცრა ეტყობოდა რა — ჯერეთ ზრდაც უნდა განეგრძო და ქმნაც, რისთვისაც უსუსტარი მოძრაობა და მოძრაობა იყო გარდაუვალი. შეგრძნება იმისა, რომ ბუნება სასტიკია, ჟამისად დიდი მიწისძვრის ანდა მომაკვდინებელი ქარაშოტის დროს ჩნდება, მაგრამ ახლა მივხვდი — რაც ხდებოდა, ეს მხოლოდ გზის დაუდგრომლობა თუ დაუდეგრობა იყო. თვით ბუნებაც მუდმივად გზაშია, მუდმივად წვდომის ძიებაშია.

— ბედნიერი ვარ, აქ რომ აღმოვჩნდი, — ჩაილაპარაკა პეტრუსმა. — იმიტომ რომ, რა სამუშაოც მივატოვე, ახლა მნიშვნელობა აღარა აქვს, ხოლო რა სამუშაოთაც ამ მოგზაურობის შემდეგ გავასრულებ, ბევრად უკეთესი იქნება.

მახსოვს, კარლოს კასტანედას რომ ვკითხულობდი, საშინლად მინდოდა ძველ შამან დონ ხუანთან შეხვედრა. და ახლა, იმის ხილვისას, თუ როგორ გასცქეროდა მთებს პეტრუსი, მომეჩვენა, რომ გვერდით ვიღაც მედგა, ვინც ძალიან ჰგავდა ამ პერსონაჟს.

მეშვიდე დღის მიწურულს, ხშირი ფიჭვნარი რომ გავიარეთ, ერთი გორაკის წვერზე მოვექეცით. აქ კარლ დიდს ესპანეთის მიწაზე თავისი პირველი ლოცვა აღევლინა, და ძველ ობელისკზე გამოყვანილი ლათინური წარწერა ითხოვდა, რომ ამ მოვლენის აღსანიშნავად ყველა გამვლელს ხმამაღლივ ან თავისთვის წაეკითხა „სალვე რეგინა...“ მე და პეტრუსმა ყურად ვიღეთ ეს მოწოდება. მერე ჩემმა ეტიკმა სავარჯიშოს უკანასკნელად გამეორება მიბრძანა.

---

** კიდევ ერთხელ უნდა დავადასტურო, თუ რა მართალია კოლინ უილსონი, რომლის აზრითაც, სამყაროში შემთხვევით არაფერი არ ემთხვევა ერთმანეთს. ერთხელ საღამოს მადრიდის სასტუმროში, სადაც ჩამოვხტი, ჰოლში რომ ვიჯექი და გაზეთებს ვფურცლავდი, ყურადღება მივაქციე პრინც ასტურიელის პრემიის მინიჭების გამო დაბეჭდილ რეპორტაჟს — მიქცევით კი ყურადღება იმიტომ მივაქციე, რომ დაჯილდოებულთა რიცხვში იყო ჩემი თანამემამულე ჟურნალისტი როზერტო მარინიო. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა ბანკეტის მონაწილეთა ამსახველ სურათს დავაკვირდი და ერთ-ერთ მოხდენილ სმოკინგიან მამაკაცში ჩემი მეგზურ-ეტიკი ვიცანი. სურათის წარწერა გვამცნობდა, რომ ეს იყო „ერთი ყველაზე გამოჩენილი ევროპელი დიზაინერთაგანი“.-*

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 32-35.

თარგმნა
**გურამ გოგიაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)


№ 36. გამოთ. 24 ოქტომბერი, 2007 წელი.

**ძალიან მნიშვნელოვანია და ისტორიაში აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს, რომ საჯარო დარბევის მიუხედავად, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა კოლეგიალობისა და ღირსების გრძნობა ბოლომდე შეინარჩუნეს**





ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №91

№ 36. შაბათი, 24 თებერვალი, 2007 წელი.

# საჯარო დარბევა „საჯაროში"

*თანამედროვე ქართველ რეფორმატორთა რიგებს კიდევ ერთი ენერგიული მუშაკი შეემატა. საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ბორის გაგუა საჯარო ბიბლიოთეკაში რეფორმატორობას საინტერესო მეთოდებით იწყებს: მაგალითად, თანამშრომელს ქალბატონ თინა ბეგიაშვილს ოთახში ატუსაღებს, დაცვის მუშაკებს კი ხელბორკილების მოძიებას და საპატრულო პოლიციის მოხმობას სთხოვს.*

ამ ქალბატონს და მის კოლეგებს ქართული გამოცემები ინტერნეტში შეჰქონდათ. ბატონმა გაგუამ კი ბეჭდური გამოცემების ელექტრონულ განყოფილებას რატომღაც უფუნქციო წარმონაქმნი უწოდა და ზემოთ მოხსენიებული თანამშრომელი ეროვნული ბიბლიოთეკის გაოგნებულ მუშაკებთან ერთად სრულიად გაუგებარი სინამდვილის წინაშე დააყენა. **ოთახში დიდი ხნით გამოკეტილ ფონდების მუშაკს პოლიციამ ტუალეტში წასვლაც კი აუკრძალა. „ტუსაღი" მხოლოდ კოლეგების მხურვალე ჩარევისა და მეცადინეობის შედეგად გაანთავისუფლეს.** ეს პათოსი ყოველმხრივ უკავშირდება ძალოვანი სტრუქტურების საქმიანობას და არა საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტატუსის დაწესებულებას.

ბატონი გაგუა ერთი ხელის მოსმით აუქმებს ეროვნულ ბიბლიოთეკაც. ბიბლიოგრაფიის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, საბიბლიოთეკო მომსახურების და ინფორმაციის დეპარტამენტებს, საგარეო ურთიერთობათა, ბიბლიოთეკის მუზეუმ-საცავის, საუწყებო არქივის, ჰიგიენური ნორმების და კლიმატური რეჟიმის დაცვის, კავკასიოლოგიის, სამეცნიერო რეფერირების და გამომცემლობის, საგეგმო-საფინანსო განყოფილებებს, შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის, სახანძრო-საყარაულო, პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის, სამკითხველო დარბაზების მომსახურების, მიკროფორმებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავების, სარეზერვო-გაცვლითი ფონდის, კატალოგისტ-კონსულტანტთა სექტორებს. სანაცვლოდ კი ქმნის ისეთ განყოფილებებს, რათა ეს ახალი ერთეულები ძირითადად ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტს დაუქვემდებაროს, რაც კანონმდებლობის ქვეტექსტით, ერთპიროვნულ მართვას გააიოლებს.

გაუქმებული ბეჭდვური გამოცემების ელექტრონული განყოფილების ფუნქციას მომავალში ბატონი ბორის გაგუას მიერ შექმნილი, როგორც თავად განმარტავს, ძვირად ღირებული სკანერი შეასრულებს. შრიფტის მორგების, ამოცნობის გარეშე ორას გვერდს სურათის სახით გადაიღებს. მორიგი განთავისუფლებული თანამშრომლის, **თემურ ჩხენკელის** მიერ თარგმნილ, ევროსტანდარტებისთვის მოსარგებ გრინსტოუნის პროგრამას არ გამოიყენებს და საქართველოს ბიუჯეტსაც დაზოგავს.

გაუქმება-განადგურებას მხოლოდ მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტი გადაურჩა, მაგრამ ამ დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ბატონ **ემზარ ჯგერენაიამ** მიმდინარე პროცესების თაობაზე ჩვენთვის საგაზეთო კომენტარის გაკეთებას თავი აარიდა.

სამეცნიერო-საგანმანათლებლო ტიპის დაწესებულებისთვის, ისეთი მნიშვნელოვანი განძთსაცავისთვის, როგორიც ეროვნული ბიბლიოთეკაა, პერიოდული ორგანო, გაზეთი, ან ჟურნალი აუცილებელი რამ არის. ეს ალბათ კარგად ესმოდა ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილ გენერალურ დირექტორს, ბატონ **ზაზა აბაშიძეს** და სწორედ ამიტომ, ფილოლოგიური და რედაქტორული გამოცდილების მქონე ადამიანი, პოეტი **შერმადინ ქალდანი** მოიწვია. დაკაბადონებამდე მისული, უაღრესად საინტერესო მასალის შემცველი პირველი ნომერი გამოსაცემად მზად იყო, მაგრამ ბატონი გაგუას და მის მოადგილეთა არაპროფესიული, აგრესიული ჩარევის შედეგად ეს სასიკეთო წამოწყებაც ჩაიშალა.

**ცნობილია, რომ ბატონი გაგუა წლების მანძილზე სასჯელაღმსრულებითი ტიპის დაწესებულებებს ხელმძღვანელობდა და თუ რა მეცნიერული კვალიფიკაცია უნდა მიეღო, ფრიად ბუნდოვანია, მაგრამ ფაქტია, იგი ამჟამად ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერულ საქმიანობას განაგებს.**

**ბატონმა გაგუამ თავისი მოღვაწეობის პერიოდში არა მხოლოდ კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლის ხერხები აითვისა, მრავალნაცადი მეთოდები სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაშიც დიდი წარმატებით დანერგა.** სრულიად განსხვავებული პროფესიების სინთეზი, ამგვარი „უნივერსალიზმი" ჩვენგან ოვაციას თუ არა, გაკვირვებას მაინც იმსახურებს. როგორც ჩანს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ავად სახსენებელი ოცდაჩვიდმეტი წლის მეთოდები და დარბევის ხერხები მეგობართან, ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორთან, ესოდენ ცნობილ პერსონასთან **იზა ორჯონიკიძესთან** ერთად მეგობრულ წრეში დაამუშავა, მაგრამ ბატონი გაგუა ხსენებული მექანიზმის ამუშავების ისეთი დიდოსტატი ვერ აღმოჩნდა, როგორც ორჯონიკიძის ცნობილი გვარის ცნობილი გამგრძელებელი. ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაშიც კი არ იკადრეს „დანოსების" წერა, სატელეფონო საუბრების მოსმენა, კოლეგათა დასმენა თუ საჯარო ჩაქოლვა, როგორც ეს ატესტაციის მომლოდინე ლიტერატურის მუზეუმში განხორციელდა.

**ძალიან მნიშვნელოვანია და ისტორიაში აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს, რომ საჯარო დარბევის მიუხედავად, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა კოლეგიალობისა და ღირსების გრძნობა ბოლომდე შეინარჩუნეს.**

ბატონ გაგუას ქმედებების შედეგად ეროვნულ ბიბლიოთეკაში განსაკუთრებული შიშის ფაქტორი ბოგინობს, პანიკა იზრდება, რადგან ადამიანები საკუთარ გულისტკივილს ვერც პრესას და ვერც მედიას უზიარებენ. ჩვეულებრივ, როცა შიშის ფაქტორი პიკს აღწევს, ყველაფერი ინგრევა, ნადგურდება... ხდება რაღაცის ტრანსფორმაცია, მაგრამ რა შეიქმნება დანგრეულის სანაცვლოდ?..

განვითარებული ადამიანები რეფორმების წინააღმდეგნი არ არიან, მაგრამ რეფორმირება გარკვეული წესების მიხედვით უნდა ტარდებოდეს და არა სალდაფონური მეთოდებით. **იმის სანაცვლოდ, რომ სათანადო კვალიფიკაციის იურისტი-სპეციალისტი და ჭკვიანი ბიბლიოთეკარი – მეთოდისტი მოიწვიონ, რათა მათ ყოველივე სათანადოდ, მეცნიერულად განიხილონ, ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მისაღებად სასჯელაღმსრულებითი დაწესებულებების ყოფილ ხელმძღვანელს იყენებენ და განუსაზღვრელ უფლებებს აძლევენ... ვინ არის შედეგებზე პასუხისმგებელი?..**

**ნინო ბოჭორიშვილი**




# მივიწყებულ ტოპონიმთა საიდუმლონი

***ცნობილია, რომ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ და ბავშვობის დროინდელი გართობა-თამაშობები, სხარტულები. თვითნაბადი თავისებური საგანმანათლებლო აღმზრდელობითი სკოლაა, ჩვენს გენებში სამუდამოდ კოდირებული.***

*დრო იცვლებოდა, საუკუნესაუკუნეს მისდევდა, ლექსთა გასართობ-გასათვლელი სტროფები და გამოთქმები მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას, იმ განსხვავებით, რომ შინაარსი და მნიშვნელობა ხშირ შემთხვევაში დავიწყების ბურუსში ეხვეოდა.*

*მრავალი ზეპირსიტყვიერების ნიმუში და გამოთქმა შინაარსის გაუთვითცნობიერებლად აგრძელებდა არსებობას. როდესაც ვამბობთ: **„რა ალთა-ბალთას მიედებაო, სად ალთა და სად ბალთაო, ან რა ალთა-ბალთას გადასცემ-გადმოსცემო",** შინაარს ვეღარ ვაცნობიერებთ, სინამდვილეში ქართულმა აზროვნებამ შემოგვინახა უშორესი, ძველის-ძველი ქართული ტოპონიმის რეალური სინამდვილე, რომელთაგან აღარც ერთი აღარ არის დღეს ქართული სახელმწიფოს ტერიტორიაზე. **ერთი მათგანი სოფ. ალთა თურქეთის, ხოლო მეორე სოფ. ბალთა რუსეთის იმპერიებმა (დაინაწილეს,** შთანთქეს. ამ უკანასკნელთან კი სახელმწიფო საზღვარი, როგორც ცნობილია, 1956 წლამდე სოფ. ბალთის ქვევით გადიოდა, დღეისათვის კი ლარსთან ამოწეულ საზღვარსაც აღარ სჯერდება.*

* * *

*ასევე გაურკვეველია ყველასათვის ცნობილი გასართობ-გასათვლელი ლექსის სტროფის შინაარსიც:*

***„იწილო-ბიწილო, შროშანო,***
***გვრიტინო,***
***ალხო-მალხო, ჩიტმა გნახოს."***

*მსგავს სტროფებს მოიმღეროდნენ ყმაწვილთა თაობები შორეული საუკუნეებიდან, ოღონდ თანდათან, დროთა განმავლობაში შინაარსს აღარც ეძებდნენ. ამ სტროფში თითქმის ყველა სიტყვა გასაგებია, გაუგებარია რას ნიშნავს, **ალხო, მალხო,** თუ ამ სტრიქონის შინაარსს ჩაწვდებით, მასში გატარებულ საიდუმლოებასაც გაიგებთ, თუ რატომ მაინცდამაინც, ამ ჟანრის პოეზიაშია ჩაქსოვილი ჩვენი წარსულის ერთ-ერთი საიდუმლო.*



იხ. 9 გვ.

● როდესაც აღნიშნული ტერიტორიები არაბების ხელში გადავიდა, სოფელ მალხის მკვიდრნი აყრილან და საცხოვრებლად აფრიკის ტერიტორიაზე გადასახლებულან



# „საუკუნეს შეხსენ კარი“...



**დრო და ასაკი რომ პიროვნებას ამას პოეტი ქალბატონის განსაკუთრებული იერი და სულიერი გამძლეობაც მოწმობს.**

2007 წლის გაზაფხულზე ქალბატონი მარიკა ბარათაშვილის, **„საპოვნელას“** ავტორის, ასი წლის იუბილეს ვიზეიმებთ... რომელმაც თავისი ცხოვრების პოეზიით მონიჭებული სიხარულისა და დიდი ტკივილებით სავსე გზაზე, იმ „პაწაწინა ყვავილთან“ ერთად მკითხველის უსაზღვრო თანაგრძნობა და სიყვარულიც ჰპოვა.

დრო და ასაკი რომ პიროვნებას, ამას მისი ბოლო ჟამს დაწერილი ლექსების განწყობილებებიც გვაუწყებს, სტრიქონებს შორის მოქცეული ნამდვილი მუხტი და დაუზერებელი განცდები...

ასი წლის პოეტის მშვენიერი მეტაფორა **„ნაზამთრალი მუნჯი სიცოცხლე“** მართლაც, მრავალი ფიქრის აღმძვრელია და დაუშრეტელ პოეტურ ენერგიაზე მეტყველებს.... ცხოვრებისეული დიდი გამოცდილებით, იგი ჩვენს ნუგეშისცემას ცდილობს და ახერხებს კიდეც:

**დაივიწყე, მიატოვე სევდა**
**ნურასოდეს დაგიმონებს ფიქრი,**



მარიკა ბარათაშვილი

**ნუ გაშფოთებს საუბარი ხეთა**
**მის ტოტებში მოსრიალე**
**ნისლი...**

* * *

*1982 წელს, გაზაფხულის მაუწყებელ ლურჯ იასთან ერთად, ქალბატონი მარიკა ბარათაშვილის ლექსის ავტოგრაფიც ამოვქარგე... მას მერე დიდი დრო გავიდა და მიხარია, რომ საუკუნის კარიბჭესთან მისულ პოეტის ლექსებს არ დაუკარგავთ ცხოველმყოფლობა და სილამაზე... ჩემს ერთ ლექსში ასე მივმართავ:*

*„დედოფალო! პოეზიით საუკუნეს შეხსენ კარი“...*

ბიეტა აფშილავა

## ახალი ლექსებიდან

### გვიანი შემოდგომის იასამანი

ნეტავ ამ ყვავილს დაეკარგა გზა
და სავალი?!
დაუკითხავად შემოსულა იასამანი?!
აფეთქებულა დინჯად, ლაღად,
ამ მთის ფერდობზე,
შემოდგომაა, მაინც უნდა რომ
დედოფლობდეს...

### ფიქრი

ფიქრი საოცარი, საშზერი,
ფიქრი მაგონებს ზღაპრის სათქმელს,
დავალ, დავეძებ, ვუნთებ სანთელს,
მოვა და წუთით გამინათებს...
შენ დახვალ, ეძებ მის ნაკვალევს,
სადღაც, ჩარჩენილებს სულში
და გიხარია, რომ ისევ ანათებს,
როგორც გინათებდა გუშინ.

### როდემდე?!

რარიგ მოუხშირეს ქარიშხლებმა,
ელვა ცის ორკიდეს ლამბავს,
ღმერთო, ჩემო, რა იქნება,
მოვრჩეთ გულის წამღებ ამბავს.
როდის, როდის გადაიღებს?
ღიმი მენატრება ცაზე,
აღარ იქნა ამ ავდრების გადაღება,
როდემდე იქნება ასე?
მაინც რა უწყალოდ იმუქრება,
სადღაც ჩაკეტილი ჯანღით,
ნეტავ, ვინ მისცა მას უფლება,
ჩვენი ამ ქვეყნიდან აყრის.



№ 36. შაბათი, 24 თებერვალი, 2007 წელი.

# მივიწყებულ ტოპონიმთა საიდუმლონი

(მერვე გვერდიდან)

***„ალხო-მახლო, ჩიტმა გნახოს“*** *– ეს არის ყმაწვილის ფანტაზია, ოცნება ან იქნებ ვედრება მიუწვდომელი სამყაროს მონახულების.*

*როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საქართველო საუკუნეების მანძილზე მსოფლიოს ქრისტიანული ცივილიზაციის შუაგულში ტრიალებდა. შენდებოდა უამრავი ქართული კულტურის ცენტრი, ეკლესია-მონასტერი, საგანმანათლებლო კერა, რაც სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვდა დიდ მხარდაჭერას. თავდაცვის უზრუნველსაყოფად უნდა შექმნილიყო არა ერთი გარნიზონი-დასახლება, სწორედ ამ მიზნით, როგორც ცნობილია,* ***პალესტინის ჯვრის სამონასტრო ცენტრის სიახლოვეს არსებობდა სოფელი მალხა, ამ ფაქტის უტყუარობას და სინამდვილეს ადასტურებს ისტორიული მატიანეს ფურცლები*** *თუ მოგზაურ-თვითმხილველ მოღვაწეთა ჩანაწერები, რის შესახებაც არა ერთი წყარო მოვიპოვეთ, ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლის, მეცნიერებათა დოქტორის ქ-ნ* ***თამილა მგალობლიშვილის*** *დახმარებით, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ. ქ-ნი* ***თამილა მგალობლიშვილი უშუალო მონაწილეა იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობისა. 2001 წელს, გზის მშენებლობასთან დაკავშირებით, აუწრიათ უკანასკნელი ბინადარნიც და იქ მალხის სავაჭრო ცენტრი აუშენებიათ, ტოპონიმი კი არ დაუკარგავთ. ასევე, თაბორის მთასთან ახლოს არსებობდა ს. შიბლიანი (ს. შიბლიანი, არსებობს კახეთშიაძ და ა. შ.*** *ერთ-ერთი მოგზაურის,* ***პეტრე კონჭოშვილის*** *წიგნიდან ამონარიდი („მოგზაურობა წმ. ქალაქ იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედა“, ქ. თბილისი, 1901 წ.) ადასტურებს ჩვენს ვარაუდს იმ ისტორიული წარსულის სინამდვილის შესახებ.*

*„მახლობლად ჯვრის მონასტრისა, ესრედ წოდებულ „ვარდისღელასა“, არის დაბა „მალხა“, სადაც ცხოვრობს 600 სული ორივე სქესისა; ამბობენ, რომ ვითომც, ეს მცხოვრებნი არიან შთამომავალნი აქ გადმოსახლებულთა ქართველთა მეფე ვახტანგ გორგასლანის... დროსა V საუკუნეში, დასაცავად ჯვრის მონასტრისა მტერთა დაცემისგან. მათ დაუვიწყებიათ მშობლიური ენა და სარწმუნოებაცა მამა-პაპათა; მაგრამ, გადმოცემით იციან, რომ იგინი არიან შთამომავალნი შორეულ ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულთა, და უწოდებენ თავის თავსა „გურჯებად“ ქართველებად; და გარეშე მცხოვრებნიც არაბნიც ისე უყურებენ, ვითარცა მოსულსა უცხო ტომსა. იგინი ლაპარაკობენ არაბულად, რამოდენიმე თათრულად და ბერძნულადაც. იგინი იცავენ ჯვრის მონასტერსა და ემსახურებიან მას. იგინი სარგებლობენ საკუთარი უფლებითა, დაამუშაონ მინდვრები და ვენახები და აძლევენ მონასტერს მხოლოდ მესამედ ნაწილს შემოსავლისას. მონასტერს არ შეუძლია ეს საქმე გადასცეს სხვასა, რომ უსიამოვნება არ გამოიწვიოს მალხის მცხოვრებთა შორის. სახითა ზნეობითა და ჩვეულებითა იგინი განსხვავდებიან გარეშე მცხოვრებთა არაბის ტომისაგან. იერუსალიმში მიღებულია წესად ყოველსა ეკლესიებში ხმარება, აიაზმისა მარტივი წყლის მაგიერ ვარდის წყლით მომზადებულისა. ქრისტეს საფლავის წინაშე ასხურებენ ვარდის წყლის აიაზმით ვერცხლის სურიდამ. მახლობლად სოფლის მალხისა არის ვრცელი „ვარდის ღელე“ ამ სოფლის მცხოვრებნი მისდევენ ბლომად ვარდის მოყვანას და იგინივე ამზადებენ ვარდის წყალსა და აქედან ეგზავნებათ ვარდის წყალი აიაზმად სახმარებლად და ტრაპეზების კურთხევაზედ განსაბანელად სრულიად პალესტინაში და კონსტანტინეპოლის სატრაპეზოშიც“.*



***როდესაც აღნიშნული ტერიტორიები არაბების ხელში გადავიდა, სოფელ მალხის მკვიდრნი აყრილან და საცხოვრებლად აფრიკის ტერიტორიაზე გადასახლებულან.***

*ალბათ, იმდროინდელი ამბის გამოძახილის ხმა ისმის პატარა სტროფში: „ახლო-მახლო, ჩიტმა გნახოს“..*

*თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გრანდიოზული საეკლესიო ცხოვრების მოვლა-პატრონობისთვის მხოლოდ ერთი დასახლება არ იქნებოდა საკმარისი, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ სადღაც არსებობდა დასახლება ს. მალხა იქ ს. ალხაც შეიძლება ყოფილიყო...*

***კავკასიური წყაროების თანახმად, იბერიული მოდგმის ვაინახების მიწაზეც არსებულა ს. ალხა და ს. მალხაც, როგორც ჩანს, ეს სტროფი უფრო ისტორიულ წარსულს ეხმიანება, რაც უფრო აძლიერებს მის ისტორიულ მნიშვნელობას და შინაარსს დღევანდელი გადასახედიდან.***

*ს. ალხა მდებარეობს მდ. ასას ხეობაში. ს. მალხა კი მდ. არღუნის. ამ უკანასკნელის მკვიდრნი კი მზის ხალხად იწოდებიან და მზეს ეთაყვანებიან. შევადაროთ ქართველთა მზის შვილებად მოხსენიება ისტორიული წყაროებიდან ან საგულისხმო ლოცვა-დაფიცებები „ჯერ ჩემ მზემ“, ანდა ქართველი კაცის მიერ ბოლო საუკუნეებამდე შემონახული დალოცვა-დაფიცებანი:* ***შენს მზეს ვფიცავარ, ჩემმა მზემ, შენმა მზემ*** *და ა. შ. ქართველი მთიელები კი უკანასკნელ დრომდე თაყვანს სცემდნენ მზეს, თითქმის ყველა ლოცვა-სავედრებელს ხევსური და ფშაველი ხუცესები ასე იწყებდნენ,* ***„დიდება ღმერთსა და დღეს დღესინდელსა, მზესა და მზისმყოლთ ანგელოზთა“.***

*ისტორიულ მეხსიერებას ალბათ ერთხელ კიდევ უნდა შევეხმიანოთ: რანი ვიყავით, რანი ვართ და საით მივდივართ... დღეს ამირანის ქვეყანაში კავკასიური რასის მოდგმის ასიმილაციას ხელს უწყობს ეთნოკონფლიქტები. მომრიგებელ მოსამართლედ კი ისევ მთავარ დამნაშავეს – დამპყრობელს ვირჩევთ. გამიზნულად ხდება ქართველების გაუცხოვება-ამოძირკვა კავკასიური სამყაროდან. საკუთარი სახლ-კარიდან განდევნილია მილიონობით ოჯახი... ნებსით თუ ძალადობით ამას მნიშვნელობა არა აღარ აქვს...* ***თითქმის მსოფლიოს ყველა იმპერია ებრძოდა კავკასიას – საქართველოს, მაგრამ იმპერიები ქრებოდნენ მსოფლიოს არენიდან. კავკასია-საქართველო კი განგების ძალით აგრძელებდა არსებობას... ასეც იქნება...***

გურამ რაზმაძე,
მხატვარ-არქიტექტორი

ჩანართზე მუშაობდნენ
ნინო ხოფერია და
კახა ქორიძე



● უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო და მისი ქართველი კოლეგა მიხეილ სააკაშვილი მარტის დამდეგს დადებენ ხელშეკრულებას, რომელიც დაიცავს უკრაინული და ქართული ღვინოების უფლებებს





## მიხეილ სააკაშვილი:

# ჩვენი შეიარაღებული ძალები განვითარების ახალ ეტაპს იწყებენ

**ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სენაკში, სადაც გაიმართა „საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერთა კორპუსისთვის განსაკუთრებული და სპეციალური პრივილეგიებისა და შეღავათების მინიჭების შესახებ პრეზიდენტის პროგრამის“ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი ბრძანების რეალიზაციის შესახებ მემორანდუმის გაფორმების ცერემონია.**



როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ამ პროგრამის რეალიზაცია შეუწყობს ხელს შეიარაღებული ძალების რიგებში მრავალი ახალგაზრდის მიზიდვას, განათლებული და მაღალკვალიფიციურ ოფიცერთა კადრების ჩამოყალიბებას. „ეს არის უპრეცედენტო დოკუმენტი პოსტსაბჭოური სივრცისა და მრავალი სხვა ქვეყნისთვისაც. ჩვენ გვსურს ბოლომდე მივიყვანოთ საქმე, რომელიც დავიწყეთ მაშინ, როცა ვთქვით, რომ საქართველოში შეიარაღებული ძალების ოფიცერი არის ელიტური, განსაკუთრებული პროფესია. ჩვენი ოფიცრები ის ადამიანები არიან, რომლებითაც ამაყობს მთელი ჩვენი საზოგადოება და იამაყებს მომავალი თაობებიც. მე მსურს, რომ ოფიცრის პროფესია ოჯახური პროფესია გახდეს. ჩვენ მართლაც გვაქვს კარგი მეომრების და კარგი ოფიცრების მდიდარი ტრადიციები“, — თქვა პრეზიდენტმა. „ჩვენ გვჭირდება ეფექტიანი არმია, რადგან ვცხოვრობთ ურთულეს რეგიონში და, საერთოდ, სიტუაცია რთულდება მთელს მსოფლიოში. და, ბუნებრივია, რომ მისიების შესრულება მოგვიწევს არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ჩვენ ვაპირებთ განვახორციელოთ ძალზე დიდი პროგრამა, რომელიც მიზნად დაისახავს პიროვნების შექმნას ოფიცერთათვის“, — აღნიშნა პრეზიდენტმა. მისი თქმით, ამ პროგრამის თანახმად, პროფესიონალ სამხედროებს საკონტრაქტო ვადის ამოწურვის შემდეგ უფასოდ გადაეცემათ ბინები თბილისსა და ბათუმში, სადაც აშენებენ მთელ მიკრორაიონებს სამხედროებისა და მათი ოჯახებისათვის.

„ძლიერი არმია წარმოუდგენელია ძლიერი ეკონომიკის გარეშე. ამიტომ, არმია არ არის დაინტერესებული ქაოსით და დესტაბილიზაციით, მისი მთავარი ინტერესია, რომ საქართველოში იყოს სტაბილურობა და მშვიდობა. ეს არის ეკონომიკის განვითარების, თითოეული თქვენგანის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების წანამძღვრები“, — თქვა მიხეილ სააკაშვილმა.

უახლოეს მომავალში, — განაცხადა პრეზიდენტმა, — ძირეულად განახლდება და აღიჭურვება საქართველოს ყველა სამხედრო ნაწილი. შეიარაღებული ძალების ყველა ბრიგადა გადავა დაკომპლექტების პროფესიულ საფუძველზე და, გარდა ამისა, ამოქმედდება კანონი სავალდებულო სარეზერვო სამსახურის შესახებ, რომლის წყალობითაც პროფესიონალი სამხედროების დასახმარებლად მოვა ათი ათასობით მომზადებული რეზერვისტი.

REGNUM

## გიორგი ბარამიძე: საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია

**საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განხორციელების ყველა მიმართულებით და ნატოს მისიამ ამას გაუსვა კიდეც ხაზი, — განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ, რომელმაც შეაჯამა საქართველოში ნატოს შემფასებელთა მისიის ვიზიტის შედეგები.**

ბარამიძემ თქვა, რომ მისიამ მთელი რიგი რეკომენდაცია მისცა ქართულ მხარეს, და ახლა „ჩვენ ვიცით, თუ რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება სამომავლოდ, რათა რეფორმები კიდევ უფრო წარმატებული იყოს“. „ყოველივე ეს შექმნის წანამძღვარს იმისთვის, რომ ნატოს წევრ 26 ქვეყანას ჰქონდეს საფუძველი ევროატლანტიკურ ალიანსში საქართველოს მიღების საკითხის განსახილველად“, — აღნიშნა ბარამიძემ და დასძინა, რომ „საქართველოს გაწევრიანება ნატოში რთული პროფესია და მას დასჭირდება დრო“.

როგორც სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა, „ნატოს შეუძლია საქართველოს მოუტანოს უდიდესი კეთილდღეობა ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის, უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვისა და, რაც მთავარია, ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის თვალსაზრისით“.

ნატოში გზაზე საქართველოს უახლოესი ამოცანაა ალიანსში გაწევრიანებისათვის სამოქმედო გეგმის მიღება, — დაასკვნა გიორგი ბარამიძემ.

ნატოს შემფასებელთა ვიზიტის მიზანი იყო შეესწავლათ, თუ როგორ ასრულებს საქართველო ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის და ინტენსიური დიალოგის რეჟიმში ნაკისრ ვალდებულებებს, აგრეთვე დაესახათ თანამშრომლობის შემდგომი გეგმები.

ვიზიტის ფარგლებში ნატოს მისიის წევრები შეხვდნენ საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა, ფინანსთა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების წარმომადგენლებს, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, უშიშროების საბჭოს, აგრეთვე ესაუბრნენ „ნატოს საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელებს.

ვიზიტის შედეგების შესახებ მისია შეადგენს შემაფასებელ დოკუმენტს.

REGNUM

## იუშჩენკო და სააკაშვილი უკრაინული და ქართული ღვინოების უფლებებს დაიცავენ

**უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო და მისი ქართველი კოლეგა მიხეილ სააკაშვილი მარტის დამდეგს დადებენ ხელშეკრულებას, რომელიც დაიცავს უკრაინული და ქართული ღვინოების უფლებებს.**

ასეთი განცხადება გააკეთა კიევში გამართულ ბრიფინგზე უკრაინის პრეზიდენტის სახელმწიფო სამდივნოს მეთაურის მოადგილემ საგარეო პოლიტიკის საკითხებში ალექსანდრე ჩალიმ.

„1-2 მარტს უკრაინის პრეზიდენტი ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა საქართველოს, — თქვა ჩალიმ. — ვიზიტის ფარგლებში გათვალისწინებულია ქერჩი-ბათუმის ბორნების ერთობლივი ექსპლოატაციის, მეწარმეობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე გეოგრაფიულ დასახელებათა გამოყენების, ღვინოების, სპირტიანი სასმელების, გაზიანი წყლების სამართლებრივი დაცვის თაობაზე მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულების დადება“.

სახელმწიფო სამდივნოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიქტორ იუშჩენკო საქართველოში ეწვევა უკრაინის სკოლას, გახსნის ტარას შევჩენკოს ძეგლს და შეხვდება უკრაინული დიასპორის წარმომადგენლებს.

РОСБАЛТ

# ყურადღება, აუქციონი!

**რუსთავის საგადასახადო ინსპექცია ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 10 ივლისის №3/149 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ატარებს სპეციალიზებულ ღია აუქციონს სს „თამარისი“-ს (სნ 225374038) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 29 მარტს 12 საათზე, ქ. რუსთავში, VIIა მკრ №2 (საგადასახადო ინსპექციის შენობა).**

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი სახის ქონება:

1. ბრ. №1 საფრინველე 8 ცალი – 288 000 (ორასოთხმოცდარვა ათასი) ლარი. 2. ბრ. №2 საფრინველე 6 ცალი –194 000 (ასოთხმოცდათოთხმეტი ათასი) ლარი. 3. ბრ. №5 საფრინველე 3 ცალი – 84 000 (ოთხმოცდაოთხი ათასი) ლარი. 4. ბრ. №6 –2 ბლოკი – 210 000 (ორასათი ათასი) ლარი. 5. საფრინველე №23-24 აბანო – 26000 (ოცდაექვსი ათასი) ლარი. 6. საწყობი №1 – 3500 (სამიათას ხუთასი) ლარი. 7. საწყობი №2 – 3500 (სამიათას ხუთასი) ლარი. 8. საწყობი №3 – 4500 (ოთხიათას ხუთასი) ლარი. 9. ადმინისტერ. შენობა, ორი სართული – 5500 (ხუთიათას ხუთასი) ლარი. 10. საკვების შესამზ. საამქრო – 3500 (სამიათას ხუთასი) ლარი. 11. ტრანსფორმ. კიოსკი – 10000 (ათი ათასი) ლარი. 12. სასაკლაო საამქრო – 37000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარი. 13. კვერცხის საწყობი – 20000 (ოცი ათასი) ლარი. 14. პროდ. დახმარის ბლოკი – 32000 (ოცდათორმეტი ათასი) ლარი. 15. კომბ. საკვების დამხარ. საწ. – 100000 (ასი ათასი) ლარი. 16. საკვების შესამზ. საამქრო – 70000 (სამოცდაათი ათასი) ლარი. 17. ავტოტრანსპორტის სასწორი – 4000 (ოთხი ათასი) ლარი. 18. ტრანს. დეზინფექ. ბლოკი – 7400 (შვიდიათას ოთხასი) ლარი. 19. სასადილო – 20000 (ოცი ათასი) ლარი. 20. სახლი ოპერატორების – 5000 (ხუთი ათასი) ლარი. 21. ტრანსფორმატორის ქვესადგური – 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარი. 22. ავტომანქანის სადგომი – 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი. 23. ადმინისტერ. შენობა ორი სართული – 90000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარი. 24. მოდული კემპინგი – 30000 (ოცდაათი ათასი) ლარი. 25. ხიზილალას წარმოების საამქრო – 14000 (თოთხმეტი ათასი) ლარი. 26. საინკუბაციო საამქრო – 22000 (ოცდაორი ათასი) ლარი. 27. მელანჟის საამქრო –20000 (ოცი ათასი) ლარი. 28. გამოსასვლელი ჯიხური – 1400 (ათას ოთხასი) ლარი. 29. ტერიტორიის გამწვანება – 2000 (ორი ათასი) ლარი. 30. აბანო წყალგაყვანილობა – 2300 (ორიათას სამასი) ლარი. 31. ჭაბურღილი – 800 (რვაასი) ლარი. 32. შიდა საავტომობილო გზა – 35000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი. 33. საავტომობილო გზა – 22000 (ოცდაორი ათასი) ლარი. 34. ღობე რკინა ბეტონის – 40000 (ორმოცი ათასი) ლარი. 35. ღობის ცხაურის გაკეთება – 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი. 36. მისასვლელი გზა – 7000 (შვიდი ათასი) ლარი. 37. მისასვლელი გზა – 8000 (რვა ათასი) ლარი. 38. შიდა საავტ. გზა – 6800 (ექვსი ათას რვაასი) ლარი. 39. კოლექტორი – 30000 (ოცდაათი ათასი) ლარი. 40. გზა მოხრეშილი – 14000 (თოთხმეტი ათასი) ლარი. 41. სამოქ. თავდაცვის ბასეინ. – 6000 (ექვსი ათასი) ლარი. 42. სანასოსე №134 – 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი. 43. სანასოსე №140 – 3000 (სამი ათასი) ლარი. 44. სანასოსე №11 – 6500 (ექვსიათას ხუთასი) ლარი. 45. სანასოსე №149 – 3500 (სამიათას ხუთასი) ლარი. 46. ნაკელსაცავი – 7000 (შვიდი ათასი) ლარი. 47. ცისტერნა 3-ტონიანი – 300 (სამასი) ლარი. 48. ცისტერნა 65-ტონიანი –5400 (ხუთიათას ოთხასი) ლარი. 49. სადეზინფექციო მოედანი – 400 (ოთხასი) ლარი. 50. სანასოსე ჭაბურღილი – 1500 (ათას ხუთასი) ლარი. 51. საქლორიზატორი – 800 (რვაასი) ლარი. 52. ავტოსადგური – 800 (რვაასი) ლარი. 53. ნაკელსაცავი – 6500 (ექვსიათას ხუთასი) ლარი. 54. გარე ქსელი კანალიზაცია – 5800 (ხუთიათას რვაასი) ლარი. 55. შიდა წყალგაყვანილობა – 2500 (ორიათას ხუთასი) ლარი. 56. შიდა კანალიზ. გაყვან. – 11000 (თერთმეტი ათასი) ლარი. 57. შიდა წყალგაყვანილობა – 1600 (ათას ექვსასი) ლარი. 58. შიდა ქსელის კანალიზ. გაყვან. – 4500 (ოთხიათას ხუთასი) ლარი. 59. მაღალი ძაბვის ელგაყვანილ. – 5500 (ხუთიათას ხუთასი) ლარი. 60. დაბალი ძაბვის ელგაყვანილ. – 14000 (თოთხმეტი ათასი) ლარი. 61. შიდა კანალ ქსელი – 4100 (ოთხიათას ასი) ლარი. 62. შიდა ქსელის წყალგაყ. – 35000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი. 63. გაზის მილგაყვანილობა – 61000 (სამოცდაერთი ათასი) ლარი. 64. შიდა ქსელის კანალიზ. – 14000 (თოთხმეტი ათასი) ლარი. 65. შიდა ქსელის სანასოსე – 600 (ექვსასი) ლარი. 66. კვერცხის ფქვილის გადამ. – 600 (ექვსასი) ლარი. 67. კვერცხის ფქვილის დანადგარი – 800 (რვაასი) ლარი. 68. სასტერილიზაციო ქვაბი 2 ცალი– 1600 (ათას ექვსასი) ლარი. 69. ტრანსფორმატორი – 500 (ხუთასი) ლარი. 70. ტრანსფორმატორი 162-153 – 20000 (ოციათასი) ლარი. 71. ნასოსი წყლის 55 კვრ. – 400 (ოთხასი) ლარი. 72. ბატარიული გალია 6 ცალი – 194 000 (ასოთხმოცდათოთხმეტი ათასი) ლარი. 73. ბატარიული გალია ბლოკი №118 – 200000 (ორასი ათასი) ლარი. 74. ბატარიული გალია ბლოკი №117 – 100000 (ასიათასი) ლარი. 75. ინკუბატორი ქ-45-3. – 24000 (ოცდაოთხი ათასი) ლარი. 76. სასაკლაო საამქროს მოწყობილობა – 30000 (ოცდაათი ათასი) ლარი. 77. ბატარიული გალია ბკ-15 –3 ცალი – 90000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარი. 78. შედუღების აპარატი – 240 (ორასორმოცი) ლარი. 79. დიზელის გენერატორი – 2500 (ორიათას ხუთასი) ლარი. 80. ელ. ძრავა 22.5 კვტ. – 600 (ექვსასი)

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში" 899 328576

## ყურადღება, აუქციონი!

რუსთავის საგადასახადო ინსპექცია თეთრი წყაროს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 ნოემბრის №2/68-2006 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ატარებს სპეციალიზებულ ღია აუქციონს შ.პ.ს. „ევროკლასი"-ს (სნ 230804341) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის *29 მარტს 11 საათზე*, ქ. რუსთავში, VIIა მკრ №2 (საგადასახადო ინსპექციის შენობა).

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი სახის ქონება:**

ტრანსპორმატორი სამფაზიანი 1 ცალი – 1300 (ათას სამასი) ლარი. 2. საკონტროლო სალარო აპარატი 1 ცალი – 200 (ორასი) ლარი. 3. აგს-ს ჯიხური 9კვ.მ. – 500 (ხუთასი) ლარი. 4. ავზი 13,8-ტონიანი 1 ცალი – 800 (რვაასი) ლარი. 5. ავზი 22-ტონიანი 1 ცალი – 1000 (ათასი) ლარი. 6. აგს-ს სვეტი 2 ცალი – 600 (ექვსასი) ლარი. 7. მიწა არასასოფლო სამეურნეო 500კვ.მ. – 2000 (ორი ათასი) ლარი.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 6400 (ექვსიათას ოთხასი) ლარს.

*მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ რუსთავის საგადასახადო ინსპექციას.*

*აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია, აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.*

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია, დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, რუსთავის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით, წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისთვის მიმართეთ რუსთავის საგადასახადო ინსპექციას შემდეგ ტელეფონის ნომერზე: *824 121099*, ფაქსი: *824 193131*.**

***მისამართზე: ქ. რუსთავი, მე-7 ა მკრ. 2.***

---

ლარი. 81. წყლის ნასოსი – 500 (ხუთასი) ლარი. 82. გაზის მონტაჟი – 500 (ხუთასი) ლარი. 83. გაზის ღუმელი – 270 (ორას სამოცდაათი) ლარი. 84. ავტომანქანა გაზელი – 4200 (ოთხიათას ორასი) ლარი. 85. ინკუბატორის შენობა – 35000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი. 86. წისქვილი კანადა, ამერიკული, ახალი – 210000 (ორასათი ათასი) ლარი. 87. გენერატორი დგა – 315 კვტ. – 10000 (ათიათასი) ლარი. 88. ელექტრო შკაფები – 22000 (ოცდაათი ათასი) ლარი. 89. გზა შესასვლელი ფაბრიკაში – 5000 (ხუთი ათასი) ლარი. 90. გზა სანასოსე სადგური – 4000 (ოთხი ათასი) ლარი.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 2701210 (ორიმილიონ შვიდასერთი ათას ორას ათი) ლარს.

ქონება მდებარეობს ბოლნისის რ-ნი, ს. თამარისში.

*მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ რუსთავის საგადასახადო ინსპექციას.*

*აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია, აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.*

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია, დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, რუსთავის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისთვის მიმართეთ რუსთავის საგადასახადო ინსპექციას შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 824 121099, ფაქსი: 824 193131.**

**მისამართზე: ქ. რუსთავი, მე-7ა მკრ. 2.**

---

საქმე №2-95

# დადგენილება

## საქართველოს სახელით

5 იანვარი 2007 წელი ქ.რუსთავი

**რუსთავის საქალაქო სასამართლო**
**მოსამართლე ლ. ლიპარტელიანი**
**სხდომის მდივანი: კ. შინჯიაშვილი**

**გაკოტრების მმართველი: ანდრონიკ სარიბეკოვი**

**კრედიტორი: რუსთავის საგადასახადო ინსპექცია**
**წარმომადგენელი: მ. მაჭავარიანი**

**შპს „ელექტროტრანსპორტის" დირექტორი ვ. მეზურიშვილი**

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია შპს „ელექტროტრანსპორტის" გაკოტრების საქმე.

2006 წლის 22 დეკემბერს სასამართლო სხდომაზე გაკოტრების მმართველის მიერ წარმოდგენილი იქნა განცხადება შპს „ელექტროტრანსპორტის" კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ. 2006 წლის 25 დეკემბერს სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა განჩინება 2007 წლის 5 იანვრის 12 საათზე რუსთავის საქალაქო სასამართლოში შპს „ელექტროტრანსპორტის" გაკოტრების კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ შემდეგი დღის წესრიგით:

1. გაკოტრების მმართველის ანგარიშის მოსმენა;
2. შპს „ელექტროტრანსპორტის" ქონებაზე გახსნილი გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტა;
3. შპს „ელექტროტრანსპორტის" საქმიანობის გაგრძელება;
4. საწარმოს საქმიანობის გაგრძელების მიზნით გაკოტრების მმართველს ნება დაერთოს საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხების განკარგვა;
5. შპს „ელექტროტრანსპორტის" ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში გაკოტრების მმართველის გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრა;
6. აუდიტის მიერ გაწეული სამუშაოს ანაზღაურება 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით;
7. შპს „ელექტროტრანსპორტის" საარქივო დოკუმენტების შემაფასებელი ექსპერტიზისა და სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებისთვის 300 ლარის გადახდა.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი კანონის მოთხოვნათა დაცვით გამოქვეყნებული იქნა ცენტრალურ პრესაში – „საქართველოს რესპუბლიკაში".

2007 წლის 5 იანვარს კრედიტორთა კრებაზე გამოცხადდა შპს „ელექტროტრანსპორტის" მიმართ არსებული აღიარებული მოთხოვნების 69,6 პროცენტის მფლობელი რუსთავის საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელი. არ გამოცხადდა 26,2 პროცენტის მოთხოვნის მფლობელი ს/ს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" წარმომადგენელი. წარმოდგენილ იქნა მოთხოვნათა 4,2 პროცენტი მფლობელ კრედიტორთა შპს „ელექტროტრანსპორტის" მუშა-მოსამსახურეთა განცხადება შპს „ელექტროტრანსპორტის" მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ თანხმობის თაობაზე.

კრედიტორთა კრებამ მოისმინა გაკოტრების მმართველის ა. სარიბეკოვის ანგარიში და განმარტება იმის შესახებ, რომ შპს „ელექტროტრანსპორტს" არ გააჩნია ზედავალიანება და იხდის მიმდინარე გადასახადებს. გაკოტრების მმართველის განმარტებას მხარი დაუჭირა სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა შპს „ელექტროტრანსპორტის" დირექტორმა ვ. მეზურიშვილმა. გაკოტრების მმართველი მიზანშეწონილად მიიჩნევს შპს „ელექტროტრანსპორტის" მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტას.

გაკოტრების საქმის შეწყვეტას მხარი არ დაუჭირა მოთხოვნათა 69,6 პროცენტის მფლობელმა კრედიტორმა, რუსთავის საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელმა მ. მაჭავარიანმა, რომელმაც განმარტა, რომ მართალია წარმოდგენილი აუდიტის დასკვნის თანახმად შპს „ელექტროტრანსპორტს" არ გააჩნია ზედავალიანება, მაგრამ სახეზე არის გაკოტრების მეორე საფუძველი, რომ იგი არის გადახდისუუნარო, რადგანაც შპს „ელექტროტრანსპორტს" არ გადაუხდია ის დავალიანება, რომელიც საფუძვლად დაედო გაკოტრების საქმის წარმოების გახსნას.

სასამართლო გაეცნო რა გაკოტრების საქმის მასალებს, მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „ელექტროტრანსპორტის" მიმართ უნდა შეწყდეს გაკოტრების საქმის წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:

„გაკოტრების საქმეთა წარმოების" შესახებ საქართველოს კანონის $29^1$-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" პუნქტის თანახმად, „გაკოტრების საქმის წარმოება შეწყდება თუ გაკოტრების საქმის წარმოებისას აღმოიფხვრება გაკოტრების საფუძველი".

განსახილველ შემთხვევაში შპს „ელექტროტრანსპორტის" გაკოტრების საქმის წარმოებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ საწარმოს გააჩნდა ზედავალიანება, შპს „ელექტროტრანსპორტის" ძირითად ფონდში შემავალი ქონების ღირებულება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისას შეადგენდა 139 130 ლარს, მაშინ, როდესაც საწარმოს გააჩნდა 530 109 ლარის კრედიტორული დავალიანება, ამასთან, საწარმო იყო გადახდისუუნარო. გაკოტრების საქმის წარმოების დროს შპს „ელექტროტრანსპორტის" ბალანსზე რიცხული ქონების ღირებულებამ დამოუკიდებელი აუდიტორის 2006 წლის 1 ივნისის საექსპერტო დასკვნის მიხედვით შეადგინა 420 040 ლარი, ამას ემატება ქალაქის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სუბსიდია 9 058 ლარის ოდენობით, ანუ დღეისათვის არ არსებობს შპს „ელექტროტრანსპორტის" გაკოტრების ერთ-ერთი საფუძველი მისი ზედავალიანების სახით. რაც შეეხება საწარმოს გადახდისუუნარობას, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ საწარმო გაკოტრების საქმის წარმოებისას იხდის მიმდინარე გადასახადებს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ საწარმოს შეუძლია შეასრულოს ვადამოსული გადახდის ვალდებულებები.

ამდენად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ გაკოტრების საქმის წარმოებისას აღმოიფხვრა შპს „ელექტროტრანსპორტის" გაკოტრების საფუძველი და მის მიმართ უნდა შეწყდეს გაკოტრების საქმის წარმოება.

ამასთან, სასამართლოს მიაჩნია, რომ გაკოტრების მმართველს უნდა მიეცეს გასამრჯელო მის მიერ 9 თვის მანძილზე განხორციელებული საქმიანობისათვის შპს „ელექტროტრანსპორტის" დირექტორის ყოველთვიური ხელფასის 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რაც მთლიანობაში შეადგენს 2250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარს.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12, 22-ე, $29^1$-ე, 31-ე, 33-ე მუხლებით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით.

**დაადგინა:**

1. შპს „ელექტროტრანსპორტის" მიმართ შეწყდეს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. შპს „ელექტროტრანსპორტის" გაკოტრების მმართველს შეუწყდეს გაკოტრების საქმის წარმოებასთან დაკავშირებით მინიჭებული უფლებამოსილება;
3. გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტისთანავე განახლდეს ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები და მათი სააღსრულებლო წარმოება გადაეცეს სააღსრულებო ბიუროს;
4. აღნიშნული განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა". გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს გაკოტრების მასას;
5. გაეგზავნოს აღნიშნული განჩინება:

ა) ქ. რუსთავის ცენტრალურ ფოსტას (მეგობრობის გამზირი №9) და მიეთითოს, რომ შპს „ელექტროტრანსპორტის" ყველა გზავნილი და კორესპონდენცია გადაეგზავნოს საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს დირექტორს მისამართზე: ქ. რუსთავი, თბილისის ქ. 29-45;

ბ) სამეწარმეო რეესტრს (მისამართი: ქ. რუსთავი, მე-7 ა მ/რ), რათა შპს „ელექტროტრანსპორტის" მიმართ სამეწარმეო რეესტრში გაკეთდეს ჩანაწერი გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ;

გ) იუსტიციის სამინისტროს ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურს (მისამართი ქ. რუსთავი, შ. რუსთაველის ქ. №20), რათა შპს „ელექტროტრანსპორტის" სახელზე რიცხული უძრავი ქონების რეესტრის ფორმულარებში შეიტანოს მონაცემი გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ;

დ) საქართველოს სახალხო ბანკის რუსთავის ფილიალს და ეცნობოს შპს „ელექტროტრანსპორტის" მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ;

7. შპს „ელექტროტრანსპორტის" გაკტორების მმართველს მიეცეს გასამრჯელო 2250 (ორიათას ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
8. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა მისი გამოქვეყნებიდან 12 დღის ვადაში.

**მოსამართლე ლ. ლიპარტელიანი**

● ამას წინათ ჟურნალი „პლეიბოი“ სკლენარიკოვას შიშველმა ფოტოებმა დაამშვენა და მოდელის ჰონორარმა მილიონი დოლარი შეადგინა



№ 36. შაბათი, 24 თებერვალი, 2007 წელი.

◎ ინფორმაცია

## გაფორმდა ახალი ჩარჩო ხელშეკრულება



**კანცელარიაში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ ხელი მოაწერა „საქართველო-ევროკავშირის ახალ ჩარჩო ხელშეკრულებასა“ და „ბირთვული უსაფრთხოების სამოქმედო პროგრამას“.**

ხელმოწერის ცერემონიალს ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელი საქართველოსა და სომხეთში, ელჩი პერ ეკლუნდიც ესწრებოდა. შეხვედრისას ელჩმა აღნიშნა, რომ ევროკომისია მხარს უჭერს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შეთანხმებული სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების განხორციელებას დახმარების ახალი ინსტრუმენტებით.

„საქართველო-ევროკავშირის ახალი ჩარჩო ხელშეკრულება“, რომელსაც უკვე მოეწერა ხელი, ჩაანაცვლებს 1994 წელს ხელმოწერილ მემორანდუმს და დაარეგულირებს, როგორც ამჟამად მიმდინარე პროგრამების, ასევე ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე ხელი მოეწერა „ბირთვული უსაფრთხოების სამოქმედო პროგრამას“, რომლის საფუძველზე ევროკავშირი საქართველოს ფინანსურად დაეხმარება ბირთვული უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გასააქტიურებლად. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს კანონმდებლობის დახვეწას საქართველოში არსებულ რადიაქტიულ ნარჩენთა უსაფრთხო შენახვისა და ქვეყანაში არსებული რადიაქტიული მარაგების ეფექტური შეფასებისათვის. სამოქმედო გეგმიდან საქართველოზე გათვალისწინებულია 500 ათასი ევრო, რომლის ფარგლებში დაგეგმილია ამ პროექტის განხორციელება.

## კოსოვოს მოდელი გამორიცხულია

**ავსტრიის დედაქალაქში მიმდინარე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის მეექვსე სესიაზე მყოფი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ კოსოვოს პრობლემის დარეგულირების მოდელის საქართველოში გამოყენება – გამორიცხულია.**

„კოსოვოს პრობლემის პრეცედენტით მანიპულირება, ეს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მოტყუება და მათთვის ფუჭი იმედის მიცემაა“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სესიის მონაწილეებს სიტყვით მიმართავს და ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებსა და რუსეთის მხრიდან საქართველოს მისამართით გატარებულ აგრესიულ პოლიტიკაზე ყურადღების გამახვილებას მოითხოვს.

## კოდორში დაჭრილი მალხაზ ტაბანაშვილი გარდაიცვალა

**გვიან ღამით, ქუთაისში, ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში კოდორის ხეობაში დაჭრილი 18 წლის მალხაზ ტაბანაშვილი გარდაიცვალა.**

იგი გულმკერდისა და მუცლის არეში იყო დაჭრილი. მას ოპერაცია გაუკეთდა, თუმცა ექიმები წინასწარ აცხადებდნენ, რომ პაციენტის გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა.

ტაბანაშვილი ზემო აფხაზეთში პოლიციის ქვედანაყოფში მსახურობდა. წინასწარი ინფორმაციით, მას, 21 თებერვალს, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი გაუვარდა.

გარდაცვლილი ხაშურში, საცხოვრებელ სახლში გადაასვენეს.

* * *

**ტაბანაშვილის ახლობლები აცხადებენ, რომ იგი მოკლულია, რადგან გარდა ცეცხლნასროლი ჭრილობებისა, მას სხეულზე სხვა დაზიანებებიც აღენიშნება.**

გარდაცვლილის დედა და მამიდები აცხადებენ, რომ ტაბანაშვილს მოტეხილი აქვს მარცხენა მკლავი, გატეხილი აქვს ორი ნეკნი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი ნაწამებია.

ოჯახის წევრები დამნაშავეთა დასჯას ითხოვენ.

## გორში ახალშობილი ბიჭუნა იპოვეს

**გუშინ გორში, მშვიდობის გამზირზე მდებარე საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში მეზობლებმა ახალშობილი ბიჭუნა იპოვეს.**

მეზობლებმა პოლიცია და სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. ახალშობილი გორის ბავშვთა საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს.

ექიმები აცხადებენ, რომ ბავშვი გადაციებულ მდგომარეობაშია, თუმცა მისი გადარჩენის შანსი არსებობს.

ახალშობილის დედის ვინაობა დაუდგენელია.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

◎ მოდა

## ადრიანა – ყველაზე გრძელფეხება მანეკენი

**ცნობილი ტოპმოდელი ადრიანა სკლენარიკოვა ათეული წელიწადია პოდიუმის ყველაზე გრძელფეხება მანეკენის ტიტულს ატარებს. იგი გინესის წიგნშიც არის შეტანილი, როგორც ყველაზე გრძელფეხება (124 სმ) თეთრკანიანი ქალი. ადრიანა ბიუსტჰალტერების ცნობილი ფირმა „ვანდერბრას“ სარეკლამო სახეა. წარმოშობით ჩეხი ლამაზმანის მეუღლე ცნობილი ფეხბურთელი კრისტიან კარემბო გახლავთ.**

ადრიანა პრალაში ხშირად მართავს საქველმოქმედო სალამოებს, იგი ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ფონდსაც ხელმძღვანელობს.

ადრიანა სკლენარიკოვა იმ მოდელებს არ მიეკუთვნება, რომლებიც პოდიუმს 25 წლის შემდეგ ტოვებენ. სამოდელო კარიერას ის დღემდე აგრძელებს. როგორც ჩანს, ცნობილ დიზაინერებს, სარეკლამო სახედ მოზარდ გოგონას ჩამოყალიბებული და სრულფასოვანი ქალი – ადრიანა ურჩევნიათ.

ამას წინათ ჟურნალი „პლეიბოი“ სკლენარიკოვას შიშველმა ფოტოებმა დაამშვენა და მოდელის ჰონორარმა მილიონი დოლარი შეადგინა.

ტოპმოდელი ცნობილი რესტორნების ქსელის „დელისის“ მფლობელია, მეუღლესთან ერთად აქვს ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის მწარმოებელი ფირმაც.

– დიდ ინტერესს ვიჩენ ბიზნესისადმი. ვფიქრობ, როცა კონტრაქტებს აღარ შემომთავაზებენ, მხოლოდ ბიზნესით დავკავდები, რომლის მოგების დიდ ნაწილს ქველმოქმედებაში დავხარჯავო, ამბობს ჩეხი ლამაზმანი.

დღეისთვის ადრიანა სკლენარიკოვა ერთ-ერთი ძვირადღირებული მოდელია. განსაკუთრებული ეფექტისთვის დიდი კუტიურები ჩვენებებს პოდიუმზე მისი გამოსვლით ხსნიან და მისივე გამოსვლით ასრულებენ. შანელი, დოლჩე და გაბანა, ჯორჯო არმანი, ვალენტინო, გუჩი, ვერსაჩე, ლაკრუა – ეს იმ მოდის კანონმდებელთა არასრული სიაა, რომლებიც ჩეხ მანეკენს თავიანთი შემოქმედების წარმოსაჩენად, მილიონობით დოლარს სთავაზობენ.

ცნობილი ფირმა „ვანდერბრა“, რომელიც ბიუსტჰალტერებს აწარმოებს, მხოლოდ მდიდარი ქალბატონებისთვის არის ხელმისაწვდომი. ამ ფირმის სარეკლამო სახედ კი, ასაკის მიუხედავად, ადრიანა რჩება. როგორც „ვანდერბრას“ დიზაინერები ირწმუნებიან, ქალის თეთრეულს ასე მოხდენილად და ლამაზად დღემდე ვერავინ წარმოაჩენს.

თავდაპირველად, ჩეხი მოდელი „ნექსტის“ სამოდელო-სააგენტოს წარმომადგენელმა შენიშნა. ამ ფირმის შემდგომი წარმატება, გარკვეულწილად, ადრიანას მათთან თანამშრომლობამაც განაპირობა – ახალმა სარეკლამო სახემ „ნექსტი“ კიდევ უფრო პოპულარული და მოდური გახადა.

დღესთვის ადრიანა სკლენარიკოვა მიწვევით, მხოლოდ მაღალი მოდის სხვადასხვა ჩვენებებში მონაწილეობს. მისი კონკურენტი ტოპმოდელები კი ნიშნისმოგებით აღნიშნავენ – ადრიანაზე დიდ მოთხოვნილებას და შესაბამისად, განსაკუთრებულ ჰონორარს მისი სილამაზე კი არა, მხოლოდ და მხოლოდ გრძელი ფეხები განაპირობებსო...







**ლელა დონაძე**

**სურათზე: ადრიანა სკლენარიკოვა.**


სს სადაზღვევო კომპანია „გეოპოლისის“ საერთო კრების მოწვევის

# შეტყობინება

**1. კრების მოწვევის ადგილი:** ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №24/11

**2. კრების მოწვევის თარიღი და დრო:** 16.03.2007, 15 საათი.

**3. სააღრიცხვო დღის თარიღი:** 31.02.2007

**4. კრების სახეობა:** მორიგი.

**5. კრების დღის წესრიგი:**

– 2006 წლის საქმიანობის შედეგების განხილვა;

– 2002-2005 წლების საქმიანობის ანალიზი და აუდიტის დანიშვნა;

– საწესდებო კაპიტალის ცვლილების და რეორგანიზაციის საკითხი;

– დირექტორის უფლებამოსილების საკითხი;

– სამომავლო გეგმები.

**6. რეკომენდაციები:** საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი ნორმატიული საწესდებო კაპიტალის გაზრდის და საზოგადოების ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით, აუცილებელია საზოგადოების კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტა.

**7. საწარმოს წესდებაში შესაძლო ცვლილებები:**

– საზოგადოების რეორგანიზაცია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად და შესაბამისი ცვლილება დასახელებაში;

– საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ცვლილება.

8. საზოგადოების აქციონერებს 06.03.2007-დან 16.03. 2007-მდე პერიოდში, საზოგადოების ცენტრალურ ოფისში (მისამართზე: ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №24/11ძ, ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდაძ, 10 საათიდან 18 საათამდე, შეუფერხებლად შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში მათი მონაწილეობის უფლება.

**ზ. ოძელაშვილი,**
**სს სადაზღვევო კომპანია „გეოპოლისის“ დირექტორი**



# განცხადება

**2007 წლის 15 მარტს, 15 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ოპიზარის“ აქციონერთა საერთო კრება.**

დღის წესრიგი

1. 2006 წლის წლიური შედეგების განხილვა. მომხსენებელი ნ. გუმბერიძე;

2. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა.

**ს/ს „ოპიზარის“ აქციონერთა რეგისტრაციის სააღრიცხვო დღეა 2007 წლის 30 იანვარი.**



# განცხადება

**2007 წლის 22 მარტს, დღის 10 საათზე შედგება სააქციო საზოგადოება „ყვარელის“ აქციონერთა საერთო კრება.**

დღის წესრიგი

1. 2006 წლის წლიური შედეგების განხილვა.

2. სხვადასხვა საკითხები.

**მისამართი: ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. №72.**

**სააქციო საზოგადოება „ყვარელის“ ადმინისტრაცია**

● ბოლოს და ბოლოს, უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირის ორგანიზატორები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ პრესტიჟულ ტურნირში გამარჯვებულ ქალსაც და კაცსაც ერთნაირი წვლილი შეაქვს უიმბლდონის სახელის „გატყორცნა-გაჯირითებაში“ და საპრიზო თანხაც ერთნაირი ეკუთვნით



◎ ფეხბურთი

## დაბადების დღის საჩუქარი

**22 თებერვალი ძმები არველაძეების დაბადების დღეა – მათ 34 წელი შეუსრულდათ. ვერ გეტყვით, როგორ აღნიშნა ეს თარიღი თბილისის სახელოვანი 35-ე საფეხბურთო სკოლის დირექტორმა არჩილმა, თუმცა ის კი ვიცით, რომ მისმა ტყუპისცალმა შოთამ საკუთარ თავს პარტნიორთა ხელშეწყობით პროფესიული საჩუქარი უძღვნა – „ალკმაარის“ კაპიტანი უეფას თასის გათამაშების მორიგ ეტაპზე გავიდა.** საამისოდ ჰოლანდიურ კლუბს სტამბოლის „ფენერბახჩეს“ შეუპოვარი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა. დავძენთ, რომ 61-ე წუთამდე მასპინძლები 0:2-ს აგებდნენ (მიკვეთ მატჩი – 3:3) და მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხეს შეხვედრის გადარჩენა – 2:2. მიხვდით ალბათ, ყველაფერი სტუმრად გატანილმა მეტმა გოლმა გადაწყვიტა.

**დანარჩენი მეთექვსმეტედფინალური წყვილების საპასუხო რაუნდის შედეგები:** „ბლექბერნი“ – **„ლევერკუზენი“** 0:0 (2:3ძ, **„მაკაბი“** – ცსკა 1:0 (0:0ძ, „ნანსი“ – **„შახტარი“** 0:1 (1:1ძ, **„სევილია“** – „სტიაუა“ 1:0 (2:0ძ, „დინამო“ (ბუქარესტიძ – **„ბენფიკა“** 1:2 (0:1ძ, „პანათინაიკოსი“ – **„ლანსი“** 0:0 (1:3ძ, **„ნიუკასლი“** – „ვარეგემი“ 1:0 (3:1ძ, „პარმა“ – **„ბრაგა“** 0:1 (0:1ძ, **„სელტა“** – „სპარტაკი“ 2:1 (1:1ძ, **„პსჟ“** – აეკი 2:0 (2:0ძ, „აიაქსი“ – **„ვერდერი“** 3:1 (0:3ძ, **„რეინჯერსი“** – „ჰაპოელი“ 4:0 (1:2ძ, **„ოსასუნა“** – „ბორდო“ 1:0 (დამატებით დროში, 0:0ძ, **„ესპანიოლი“** – „ლივორნო“ 2:0 (2:1ძ.

**მერვედფინალში 8 და 14-15 მარტს ითამაშებენ:** „ნიუკასლი“ – „ალკმაარი“, „ პსჟ“ – „ბენფიკა“, „მაკაბი“ – „ესპანიოლი“, – „ბრაგა“ – „ტოტენჰემი“, „რეინჯერსი“ – „ოსასუნა“, „ლანსი“ – „ლევერკუზენი“, „სევილია“, – „შახტარი“, „ სელტა“ – „ვერდერი“.





* * *

**ორთვიანი პაუზის შემდეგ გუშინ განახლდა ფეხბურთელთა XVIII ეროვნული ჩემპიონატი. გაუწყებთ II წრის სასტარტო შეხვედრების შედეგებს:** „ოლიმპი“ – „სიონი“ 3:0, „ლოკომოტივი“ – „ზესტაფონი“ 1:4, „ვიტ ჯორჯია“ – „ტორპედო“ 0:0, „ბათუმი“ – „დილა“ 2:1, „ჩიხურა“ – „ამერი“ 0:2, „მერანი“ – „კახეთი“ 3:1, „ბორჯომი“ – „დინამო“ 1:2.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ოლიმპი“ – 35, „ზესტაფონი“, „ამერი“ – 33-33, „ვიტ ჯორჯია“ – 31, „დინამო“ – 30, „ტორპედო“ – 25, „სიონი“ – 23, „მერანი“, „ ლოკომოტივი“ – 14-14, „ბათუმი“, „ბორჯომი“ – 12-12, „ჩიხურა“ – 10, „დილა“ – 3, „კახეთი“ – 1 ქულა.

**XV ტურში 2 მარტს 15 საათზე ითამაშებენ:**

„ამერი“ – „ბათუმი“, „სიონი“ – „ვიტ ჯორჯია“, „ტორპედო“ – „ჩიხურა“, „ ლოკომოტივი“ – „ბორჯომი“, „დილა“ – „დინამო“, „ზესტაფონი“ – „მერანი“, „ კახეთი“ – „ოლიმპი“.


საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა


◎ კალათბურთი

## სტუმრული

**ევროლიგის მეორე ჯგუფური რაუნდის მეორე ტურის პირველ სათამაშო დღეს გამართული ოთხი მატჩიდან, როგორც უკვე გაუწყეთ, ყველა მასპინძლებმა მოიგეს. გუშინწინ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა – დამხვდურებმა წარმატებას მხოლოდ ერთ წყვილში მიაღწიეს და ეს მათ დიდი გაჭირვებით მოახერხეს.**

**„ა“ ჯგუფი:** „პო ორტეზი“ – „ტაუგრესი“ 89:99, „რომა“ – „მაკაბი“ 69:71.

„ტაუგრესი“ – 2, „მაკაბი“, „რომა“ – 1-1, „პო ორტეზი“ – 0 მოგება.

**„ბ“ ჯგუფი.** „ხუვენტუდი“ – „ოლიმპიაკოსი“ 58:56.

ცსკა – 2, „ხუვენტუდი“, „ოლიმპიაკოსი“ – 1-1, „პარტიზანი“ – 0 მოგება.

**„გ“ ჯგუფი.** „ეფესი“ – „პროკომი“ 67:71 (დამატებით დროშიძ.

„პანათინაიკოსი“ – 2, „ბარსელონა“, „პროკომი“ – 1-1, „იეფესი“ – 0 მოგება.

**„დ“ ჯგუფი.** „უნიკახა“ – 2, „ბენეტონი“, „დინამო“ (მოსკოვიძ – 1-1, „არისი“ – 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „ტაუგრესი“ – „რომა“, „პროკომი“ – „პანათინაიკოსი“, „ დინამო“ (მოსკოვიძ – „უნიკახა“ (28 თებერვალიძ, „მაკაბი“ – „პო ორტეზი“, „ოლიმპიაკოსი“ – ცსკა, „პარტიზანი“ – „ხუვენტუდი“, „ ბარსელონა“ – „ეფესი“, „არისი“ – „ბენეტონი“ (1 მარტიძ.

* * *



**დღეს ვერის ბაღში სუპერლიგის III წრის მთავარი მატჩია:** ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი „ავიამშენი“ – ჯერაც დაუმარცხებელი „აზოტი“. ეს შეხვედრა 16 საათზე დაიწყება. შეგახსენებთ, რომ ეროვნული თასის გათამაშების ამასწინანდელ ფინალში ავიატორებმა უკვე სძლიეს მრისხანე მეტოქეს.

**დღესვე ითამაშებენ:** სტუ — „დინამო“ (12 საათზეძ და თსუ – „მაკაბი“ (14 საათზეძ.

◎ ძიუდო

## დღეს და ხვალ – ჰამბურგში

**შაბათ-კვირას ჰამბურგში ძიუდოისტთა მორიგი საერთაშორისო ტურნირი (მსოფლიო სუპერთასი) გაიმართება. შეჯიბრებაში საქართველოს წარმომადგენლებიც იასპარეზებენ.**

ვაჟთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა გერმანიაში თავის გამოჩენის შანსი მისცა ამირან პაპანაშვილს (60ძ, სერგო ციხელაშვილსა და დავით ფერსაშვილს (66ძ, საბა გავაშელიშვილსა და გრიგოლ შინჯიკაშვილს (81ძ, დავით ლორიაშვილს (90ძ, ნოდარ მეტრეველსა (100ძ და ლაშა გუჯეჯიანს (მძიმე წონაძ.



მოგეხსენებათ, ბოლნისის გამგეობის ხელშეწყობით ჩვენში ქალთა ძიუდოს აღორძინება დაიწყო. ამ საქმეს სათავეში უდგას გამოცდილი მწვრთნელი გოდერძი ველიჯანაშვილი, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი შეგირდები პეკინის ოლიმპიადის 2 საგზურს მაინც მოიპოვებენ. მართალია, თებერვლის ჭირვეულობამ ჩვენს გოგონებს გრიპის ვირუსი შეჰყარა, მაგრამ გამოცდილების მისაღებად ისინი მსოფლიოს სუპერთასზე მაინც გაემგზავრნენ. ჰამბურგის ტატამზე დუსკა ქერიმოვა (57), ანა ძაძამია (63), ენძელა სოლოღაშვილი (70), ლია გვიანიძე (78), ირინე ლეონიძე და მარიამ ჩადუნელი (ორივე – +78 იჭიდავებენ.

◎ ჭადრაკი

## „აეროფლოტმა“ ქართველებს უმტყუნა

**მოსკოვში დამთავრდა „მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი „აეროფლოტის“ თასზე.** უმაღლეს ეშელონში გამოდიოდა შეჯიბრების შარშანდელი გამარჯვებული ბაადურ ჯობავა, რომელიც წლეულსაც ახლო იყო მიზანთან, მაგრამ ქართველი დიდოსტატი ბოლო ორ ტურში ევგენი ტომაშევსკისა და ემილ სუტოვსკის დაუზავდა, მოაგროვა 6 ქულა და საბოლოოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდა. მთავარი პრიზი 7 ქულით ევგენი ალექსეევმა მოიპოვა. მეორე-მესამე ადგილებზე ტომაშევსკი და დმიტრი იაკოვენკო გავიდნენ, რომლებიც გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ.

C ჯგუფში ნაზი პაიკიძემ 6,5 ქულით მე-15 ადგილი დაიკავა. A 2 და B ჯგუფში თავიანთ შესაძლებლობებზე სუსტად იასპარეზეს ნანა ძაგნიძემ და შავლეგ შამუგიამ, რომლებიც მეორე ათეულს მიღმა აღმოჩნდნენ.

◎ ორბიტაზე

## ლეკვი ლომისა სწორია!

**ბოლოს და ბოლოს, უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირის ორგანიზატორები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ პრესტიჟულ ტურნირში გამარჯვებულ ქალსაც და კაცსაც ერთნაირი წვლილი შეაქვს უიმბლდონის სახელის „გატყორცნა-გაჯირითებაში“ და საპრიზო თანხაც ერთნაირი ეკუთვნით.**

არადა, შარშან აქ გამარჯვებულმა როჯერ ფედერერმა 655 ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო, ქალთა ერთეულებში წარმატებულმა ამელი მორესმომ კი 625 გირვანქა. თუმცა აქამდე გამარჯვებული ერთნაირ თანხას უხდიდნენ დიდი მუზარადის სერიის ორ სხვა ტურნირზე – ამერიკისა და ავსტრალიის ღია ჩემპიონატებზე.

ასე რომ, წარსულს ჩაბარდა ქალთა და კაცთა შორის ის უთანხმოება, რაც უიმბლდონზე მთელი 123 წელი გრძელდებოდა. 1884 წელს ლონდონის ამ გარეუბანში გამარჯვებული ქალი ლებულობდა ვერცხლის ყვავილების კალათს, რომლის ფასი 20 გინეა იყო, ხოლო კაცი 30 გინეად ღირებულ ოქროს სუვენირს.



## ახალი ვარსკვლავი „საცოლეთში“

**ინგლისელი ფეხბურთელების ვარსკვლავ ცოლებისა და სატრფოების რაზმს ახალი ვარსკვლავი შეემატა – „მანჩესტერ სიტის“ ლიდერს ჯოკი ბარტონს ამ ბოლო დროს ხშირად ხედავენ ინგლისში ცნობილ მოდელთან ამანდა ჰარინგტონთან ერთად, რომელიც თურმე სტივენ ჯერარდის საცოლის ალექს კარანის დობილია.** ისინი თურმე ხშირად დადიან ერთად ლივერპულის ბარში News. სწორედ იქ გაიცნო ჯოეიმ ამანდა და ტელეფონის ნომერიც სთხოვა. ისინი მალე დაახლოვდნენ, თუმცა, როგორც ამბობენ, ამანდას ოდნავ ის აწუხებს, რომ ახლო წარსულში ჯოეის ხულიგნის რეპუტაცია ჰქონდა. ფეხბურთის გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ, რომ „ევერტონთან“ შეხვედრისას მინდორზე ტრუსები ჩაიხადა და მეტოქის გულშემატკივრებს უკანალი აჩვენა, რისთვისაც მაშინ ორი ათასი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს.



◎ ასეც ხდება

## ჰომოსექსუალიზმი და კალათბურთი



**თითქმის მიწყნარდა ის ალიაქოთი, რაც გამოიწვია NBA-ს ყოფილი მოთამაშის ჯონ ამაეჩის საჯარო განცხადებამ, რომ ის ჰომოსექსუალისტია, მაგრამ ეს სიწყნარე მოჩვენებითი იყო.**

როგორც სააგენტო Associated Press იუწყება, საკალათბურთო კლუბი „მაიამის“ ყოფილმა ლიდერმა ტიმ ჰარდუეიმ განაცხადა, რომ მას სძულს ჰომოსექსუალისტები. „მე მძულს ცისფერები და მინდა, რომ ყველამ იცოდეს ეს. მე ვერ ვიტან ცისფერებს და მძულს მათ საზოგადოებაში ყოფნა. მოკლედ, მე ჰომოფობი ვარ და მიმაჩნია, რომ ეს სენი არ უნდა იყოს აშშ-ში და არც მსოფლიოში“.

ჰარდუეის ვერც გულახდილი ამაეჩი გადაურჩა. „მე არ მოვისურვებდი, რომ ცისფერი ჩემს გუნდში ყოფილიყო, – თქვა მან, – მაგრამ თუკი ის მაინც მოხვდებოდა იქ, მე მისგან შორს გავდგებოდი. ამას გარდა, ის არ უნდა იყოს ერთ გასახდელში სხვა მოთამაშეებთან ერთად. მე ერთ შენობაში ჰომოსექსუალთან ერთად რომ მოვხდე, გამიჭირდება გულისყურის გამოჩენა. ხოლო გუნდში მისი პარტნიორად აღქმა საერთოდ არ შემეძლებოდა“.

საგულისხმოა, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის თაობაზე ამაეჩის აღიარება მოიწონა ბევრმა პროფესიონალმა მოთამაშემ და მწვრთნელმა, აგრეთვე სპორტის ზოგიერთმა ვარსკვლავმაც, მაგალითად, ჩოგბურთელმა მარტინა ნავრატილოვამ და კალათბურთელმა გრანტ ჰილმა.


№ 36. შაბათი. 24 თებერვალი. 2007 წელი.

# დღევანდელობა

● ... ხშირად, ძალზე ხშირად ვიდექი ამ სახლის წინ, უფრო მეტად – ღამლამობით და შევცქეროდი განათებულ ფანჯარას: იქნებ გამომკრთალიყო იქიდან ის ერთი გოგონა...




◎ სევდიანი ჩანახატი

## გაქრა სიყვარულის სახლი

### ციკლიდან – „წლები და ფიქრები"

**დიახ, ჩემთვის ნამდვილად გაქრა სიყვარულის სახლი.**

**მქონდა ასეთი სახლი, რომელიც ჩემი თავდავიწყებული სიყვარულის მოწმე იყო, გაქრა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.**

... ხშირად, ძალზე ხშირად ვიდექი ამ სახლის წინ, უფრო მეტად – ღამლამობით და შევცქეროდი განათებულ ფანჯარას: იქნებ გამომკრთალიყო იქიდან ის ერთი გოგონა...

ერთსართულიანი, წითელი აგურით ნაშენები სახლი, ვიწრო, ერთი ციდა ეზოთი და მოწითალო ფერის მოყანყალებული რკინის ჭიშკრით, მაღალ შენობებში იყო „გამომწყვდეული".

უკვე გვიან, კარგა ხნის შემდეგ, როდესაც ამ სახლს ჩავუვლიდი, გონებაში უმალ ცოცხლდებოდა ის დღეები, სიყვარულის და სიჭაბუკის სანეტარო დღეები.

რამ გამახსენა ყველაფერი ეს?

ერთი, ჩემი თაობის დროინდელი სიმღერისა არ იყოს: „ახლაც შენ სახლთან მოვედი"...

გავიარე ერთ დღესაც ამ ქუჩაზე, გავხედე სიყვარულის სახლს და, ღმერთო, სადღაა იგი! მაღალი, აჭრელებული მესერიღა ამესვეტა თვალწინ.

შევცბი, შევჩერდი და ძალაუნებურად შევავლე თვალი ღობეზე გაკრულ ფერადფერად ნახატებსა და წარწერებს.

„რაც შენ გაკლია, ჩვენი სახლია", – ამოვიკითხე კედელზე.

ვითომ?! არა, აქ რომ მრავალსართულიანი სახლი წამოიჭიმება, ის არ იქნება ჩემი სახლი!

თუმცა, ვის სჭირდება ჩემი მოგონებები, ეს მარტო მე მჭირდება და იმ ჩემ სათაყვანებელ გოგონას (ჩემთვის, დღესაც რომ „გოგონაა"ძ, რომელიც ახლა სახლში მელოდება.

იტყვიან: „შენ სიყვარულს გადავყვეთ, თბილისი არ ავაშენოთ? არ გავალამაზოთ?"

არა, ბატონებო! ღმერთმა დამიფაროს მსგავსი აზრებისაგან, „ვაშა შენებას!"

არა, მე, უბრალოდ, წამით დავბრუნდი ჩემ სიჭაბუკეში, გაფრენილ წლებს მოვეფერე... ისე, რა დაგიმალოთ და, ვეცდები, ამ ქუჩაზე აღარ მოვხვდე.

**გურამ გომართელი**

◎ „კავკასიური სახლის" ინიციატივით

## წარმოადგინა სომეხმა მხატვარმა

**საქართველოს კულტურული ურთიერთობათა ცენტრ „კავკასიურ სახლში" გაიმართა ნიჭიერი და საკმაოდ ცნობილი სომეხი მხატვრის მერუჟან შაჰუმიანის ნამუშევართა „სახარებისეული მინიატიურას" გამოფენა.**



მერუჟან შაჰუმიანი დაიბადა 1951 წელს, თბილისში. 1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. 1982 წლიდან მონაწილეობდა სხვადასხვა სამხატვრო გამოფენებში. 1993 წელს მოაწყო პერსონალური გამოფენა ჯავახეთში. მისი ნამუშევრები ინახება სრულიად სომეხთა კათალიკოს-პატრიარქის კოლექციაში, ეჩმიაძინში, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის მონრეალის საკათედრო ტაძარში და კერძო კოლექციებში კანადაში, აშშ-ში, საფრანგეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, სომხეთსა და საქართველოში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ისეთი ნამუშევრები, როგორიცაა „სოლომეას ცეკვა", „ანგელოზი – მუსიკოსი", „გაქცევა ეგვიპტეში" და სხვ.



გამოფენას დაესწრო სომხეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში გრაჩ სილვოსიანი. მან უსურვა ბატონ მერუჟანს წარმატება და მიულოცა მას დაბადების დღე, რომელიც დაემთხვა გამოფენას. აგრეთვე გამოფენას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის დეპუტატი და გაზეთ „Врастан Грузия"-ს რედაქტორი ვან ბაიბურთი, საქართველოში რუსეთის სრულუფლებიანი ელჩის მრჩეველი ვასილი კარჩმარი, სომეხთა ეკლესიის ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი, ცნობილი ქართველი მთარგმნელი გივი შახნაზარი და ბევრი სხვ.

გამოფენა ორგანიზებული იყო „კავკასიური სახლის" ორგანიზატორის ვიქტორია მაქსოევას მიერ, სომხეთის საელჩოს და ეპარქიის დახმარებითა და სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღვრის, ეპისკოპოს ვაზგენ მირზახანიანის ლოცვა-კურთხევით.

**ნინელი ფერაპონტოვა**

◎ ელამი სარკე

## წურბელები

**ცნობილი მეპროექტე ბიზნესმენი და გამომგონებელი ლადო ღურწკაია გუშინ რედაქციაში დამდუღრული მოვარდა – ამ ყოველთვის ენერგიულ და ხალისიან პიროვნებას, შეიძლება ითქვას, დანა პირს არ უხსნიდა.**

– რა ცხვირპირი ჩამოგტირის, – ვუსაყვედურე, – ამას წინათ ნოვაციური იდეების კონკურსში შენმა პროექტმა ხომ გაიმარჯვა?

– იმან კი, კაცო, მაგრამ ახალი პროექტებიც მაქვს. სწორედ ამ დღეებში ვაპირებდი მათ მიტანას მთავრობაში, მაგრამ მოულოდნელმა ქარიშხალმა ცივი წყალი გადამასხა.

– რაღაც ვერ ვიხსენებ, რა ქარიშხალზეა საუბარი?

– ტელევიზორს არ უყურებ, პრეზიდენტმა ერთიანად გადაუარა მარეგულირებელ ეროვნულ კომისიებს.

– მე მგონი, სწორადაც მოიქცა. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, ვერ გავიგე, რატომ ჰქვიათ ამ კომისიებს ეროვნული, თუ პრეზიდენტის თქმისა არ იყოს, ისინი ერის წურბელებად იქცნენ? წურბელებს განა შეიძლება ეროვნება, ან ვთქვათ, სქესი ჰქონდეთ?

– ეროვნებაზე, სიმართლე გითხრათ, არ დავფიქრებულვარ, მაგრამ სქესი კი ნამდვილად აქვთ.

– საიდან იცი?

– სქესობრივი დამტვერვა რომ არ ხდებოდეს, ასე ხომ ვერ იბარტყებდნენ!

– და შენ კიდევ დამატებას აპირებდი?

– რა თქმა უნდა, ვაპირებდი, ოღონდ იმ სფეროებში, რომლებსაც მართლა სჭირდებათ რეგულირება.

– შენი აზრით, რომელია ასეთი სფეროები?

– უამრავი. ავიღოთ თუნდაც უფასო სასადილოები, რომელთა მუშაობის გამოცდილება ქვეყანას არ გააჩნია. პრეზიდენტის თაოსნობით კი გაიხსნა ასეთი სასადილოები, რაზეც მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ როგორ წარვმართოთ მათი საქმიანობა, რომ არ ვიცით?

– და თქვენ ფიქრობთ, რომ იქ მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა აუცილებელია?

– რა თქმა უნდა, კვალიფიციური რეგულირებისა და საგულდაგულო მეთვალყურეობის გარეშე მათი თვითდინებაზე მიშვება როგორ შეიძლება. იმის გამო, რომ უფასო სასადილოებში უკონტროლობაა, იქ გაჭირვებულთა და უპოვართა გარდა უამრავი ლოთბაზარა და ღორმუცელა იკვებება, რაზეც დიდძალი გაუთვალისწინებელი სახსრები იხარჯება.

– მერე, გინდათ, რომ ამ ხარჯებს კიდევ კომისიისა და სამეთვალყურეო წევრთა ხელფასები დაემატოს?

– არა, ისინი ამ ზედმეტი ხარჯების ათვისებით იარსებებენ. ამ პროექტის ღირსებაც სწორედ ამაშია – კონტროლი გაძლიერდება, ბიუჯეტს კი კაპიკიც არ გავარდება.

– ეგ კარგად მოგიფიქრებია, – შევაქე, – ოღონდ იმაზე უნდა იზრუნო, რომ ეს კომისია დამოუკიდებელი არ იყოს. ამჟამინდელი კომისიები სწორედ ამან დაღუპა – დამოუკიდებლები არიან და ფულის ჭამაც დამოუკიდებლად დაიწყეს, რამაც პრეზიდენტი სამართლიანად განარისხა.

– სხვათა შორის არც მეორე პროექტის განხორციელებაზე დაეხარჯება რამე სახელმწიფოს.



– მეორე რომელიღაა?

– წყლის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (გნებავთ, უბრალოდ კომისია დავარქვათძ. ყველა ხედავს, უკანასკნელ პერიოდში დედაქალაქში უამრავი მომღერალი და მოცეკვავე შადრევანი აშენდა, რამაც წყლის გაუთვალისწინებელი ხარჯები და, შესაბამისად, ტარიფების ზრდა გამოიწვია. როგორც ჩანს, მომავალში ასეთი შადრევნების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება და, ბუნებრივია, ტარიფიც.

– მერე კომისია რას უშველის?

– სხვა თუ არაფერი, უბრალოდ წყალზე გადასახადის ზრდას დაარეგულირებს, თანაც ამას კანონის ძალით დაასაბუთებს. ახლა კი ხალხი გაურკვეველია, არ იცის წყლის ფასი რატომ გაიზარდა, რაც სოციალური აფეთქების აშკარა საშიშროებას ქმნის.

– მასე თუ წავიდა საქმე, ძმაო, მაშინ ნაგვის გატანასაც ცალკე მარეგულირებელი კომისია დასჭირდება.

– არა, მაგაზე ჯერ არ მიფიქრია, აი, პარლამენტის მარეგულირებელი კომისიის პროექტი კი უკვე მზადა მაქვს.

– არ გადამრიო, პარლამენტში რაღაა დასარეგულირებელი?

– აი, იქ არის თუ არის – დეპუტატები მთელ დროს საკუთარ ბიზნესზე და წილებზე სირბილს ანდომებენ, პარლამენტის სხდომათა დარბაზი კი ერთთავად ცარიელია.

– არ გამოვა, ეგ პროექტი ნამდვილად ჩაგივარდება, – გავაფრთხილე.

– რატომ არ გამოვა?

–იმიტომ, რომ მაგ საქმეს პარლამენტში პირადად გიგა ბოკერია არეგულირებს.

– აბა, რანაირად, როცა სესიებზე ხალხი არ ცხადდება?

– სწორედ მაგას არეგულირებს. ვერ ხვდები, როცა გიგას სჭირდება, სხდომათა დარბაზი გადაჭედილია, როცა არა – ცარიელია (!?ძ.

– კარგი, ამას შევეშვები, მაგრამ წინა ორი პროექტი ხომ მოგეწონა?

– მარტო მე კი არა, დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტსაც მოეწონება – უფასო სასადილოები და შადრევნები ხომ მაგის ინიციატივით მრავლდება.

– მაგრამ კახა ბენდუქიძე რომ წავიდეს წინააღმდეგი?

– არ წავა, უჭკუო კი არ არის, პრეზიდენტს დაუპირისპირდეს. ბატონი კახა ეკონომიკაში ღრმად ჩახედული კაცია, ეს საქმე რომ არ იცოდეს, მოკლე პერიოდში ამდენ ყიდვა-გაყიდვას და აღებ-მიცემობას როგორ განავითარებდა.

– ჰო, რა თქმა უნდა, – დამეთანხმა ლადო, – ეკონომიკა რომ არ გაეგებოდეს, მილიონებს თუ მილიარდებს როგორ დააგროვებდა!...

**ოტია ჩართოლანი**

◎ ცხრა მთას იქით

### *ვაქიშვილის ფეხი ფეხებზე დაიკიდა*

*მსოფლიოში ერთ-ერთი უწუწურაქესი ჰენრიეტა ჰოულენდ გრინი გახლდათ – XIX საუკუნის გენიალური ამერიკელი ფინანსისტი. ქალი, რომელმაც სიკვდილშემდგომ (1916 წ.ძ 100 მილიონი დოლარი დატოვა (დაახლოებით 20 მილიარდი დღევანდელი განზომილებითძ, შვრიის ფაფას ბატარეაზე ათბობდა, მთელ ცხოვრებას იაფფასიან ნაქირავებ ბინებში ატარებდა (ჩიკაგოში მთელი კვარტალების პატრონიძ და ორცენტიანი მარკის ძებნას მთელ დღეს ანდომებდა.*

*„მომჭირნეობის" აპოთეოზად კი სხვა შემთხვევა იქცა: ჰენრიეტას ვაჟს ფეხის ამპუტაცია იმიტომ დასჭირდა, რომ დედამისი სამი დღე-ღამე ეძებდა უფასო საავადმყოფოს...*

### *ვაჭრობა შვილიშვილზე*

*30 წლის წინათ ნავთობის მეფე ჯონ პოლ ჰეთი 4 მილიარდი დოლარით მსოფლიოს უმდიდრეს კაცად ითვლებოდა, თუმცა ყველაფერზე მომჭირნეობდა. მაგალითად, ვილაში სტუმართათვის ტაქსოფონები დაადგმევინა, რომ იმათი სატელეფონო საუბრები არ აენაზღაურებინა.*

*1973 წელს შვილიშვილი ჯონი მოსტაცეს და 17 მილიონი დოლარი მოსთხოვეს გამოსასყიდად. უარზე დადგა და მხოლოდ მაშინ მოლბა, როცა კონვერტით ბიჭუნას ყურის მოჭრილი ნაჭერი გამოუგზავნეს, თუმცა აქაც ეკონომია გასწია – საზღაური 2,7 მილიონ დოლარზე ჩამოაყვანინა...*

### *„ხრუშჩოვულაში" მცხოვრები*

*ჟურნალ „ფორბსის" სიაში მეორე ნომრად ამერიკელი ფინანსისტი უორენ ბაფეტი გვევლინება (ქონება – 44 მილიარდი დოლარიძ. ეს ზემდიდარი კაცი უოლ-სთრითზე არაპრესტიჟული და სულაც ძველი ავტომობილით დაგორავს და არც მცირებაბარიტიანი ბინის გამოცვლას ჩქარობს, რომელიც ჯერ კიდევ 40 წლის წინათ შეიძინა სულ რაღაც 40 ათას დოლარად...*

შევნატრი 1996 წელს, როცა ქუთაისის საოპერო თეატრი გერმანიაში ქალაქ ბალვეს ფესტივალში მონაწილეობდა, მხოლოდ ერთი სპექტაკლი („ფიდელიო“-ძ უნდა წარმოგვედგინა. სპექტაკლს ისეთი წარმატება ხვდა, რომ დამატებით კიდევ ოთხმა ქალაქმა გვთხოვა მისი გამართვა. დასში ირიცხება რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალში გამარჯვებული ვოკალისტი, რომელთაც დღესაც თავიანთი ნიჭის წარმოჩენის შანსები უნდა მივცეთ



◎ როცა ტრადიციას უჭირს

# ქუთაისლებს აღარ ეოპერებათ?!

## ქალბატონი მედეა ამირანაშვილი მაინც იმედიანად არის

**თავის დროზე, 38 წლის წინათ, ქუთაისში საოპერო თეატრის დაარსება მისმა მდიდარმა მუსიკალურმა ტრადიციებმაც განაპირობა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ სიდიდით ქვეყნის მეორე ქალაქში ამის აუცილებლობაც იყო. ამ ქალაქს ხომ ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებლების მელიტონ ბალანჩივაძისა და ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრება უკავშირდება. თეატრს მელიტონ ბალანჩივაძის სახელი მიეკუთვნა. მოგვიანებით საოპერო დასს საბალეტოც შეემატა და ქუთაისის მუსიკალური ცხოვრება აღორძინდა. წლები გავიდა, ქვეყანა აირია. საბალეტო დასი დაიშალა, საოპერო კი როგორღაც გადარჩა და დღესაც განაგრძობს არსებობას, თუმცა არსებობაც არის და არსებობაც. თეატრი დღეს ენთუზიასტებით ცოცხლობს.**

**1991 წლიდან ქუთაისის ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ცნობილი მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი მედეა ამირანაშვილი. აბა, ვინ უნდა იცოდეს დღეს ყველაზე უკეთ ქუთაისელთა გასაჭირი, თუ არა მან.**

— თეატრსაც ისეთივე პრობლემები აწუხებს, როგორც მთელ საქართველოს. ქართული კულტურა ჩვენი სადარბაზო ბარათია. ჩვენი მუსიკოს-შემსრულებლები დღეს მთელ ევროპას კვებავენ, მათ იქ უკვე საკუთარი სკოლებიც შექმნეს. ქართული სიმღერის ფენომენზე ახლა ბევრ ქვეყანაში ალაპარაკდნენ და ყოველივე ამის ფონზე, რა დასანანია, რომ ამხელა ქალაქის მუსიკალური სინამდვილე მხოლოდ ენთუზიაზმზე იყოს დამოკიდებული, და მე არ შემეძლოს დასის შევსება ახალგაზრდა, პერსპექტიული მომღერლებით, იმიტომ, რომ ამის სახსრები არ გაგვაჩნია, — ასე დაიწყო საუბარი ქალბატონმა მედეამ.

**— რა დაფინანსებით არსებობს დღეს თეატრი?**

— სახელმწიფოსგან წელიწადში 200 ათასი ლარი გვაქვს. ეს თანხა სოცანარიცხებსა და მიზერულ ხელფასებზე ძლივს გვწვდება. 245-კაციან დასში 45 მომღერალი მარტო გუნდში ირიცხება, ამას დაუმატეთ ორკესტრის მუსიკოსები, მოცეკვავეები, სოლისტთაგან მხოლოდ სამიოდე მომღერალს აქვს ხელფასი 140 ლარი, გუნდის წევრებს კი 50-60-70 ლარი, ორკესტრის წევრებსაც დაახლოებით 70 ლარი აქვთ. ჩვენი ბიუჯეტი ბევრად ნაკლებია, ვიდრე დრამატული თეატრისა. პირიქით კი უნდა იყოს. მათ 350 ათასი ლარი აქვთ წელიწადში, მე არ მშურს, ღმერთმა შეარგოთ, მაგრამ მათი დასი ხომ ბევრად ნაკლებია ჩვენსაზე, დაფინანსების ეს ხარვეზი თავიდანვე მოდის...



**— ასეთ ვითარებაში სადადგმო ხარჯებზე, ალბათ, ზედმეტია საუბარი, და მაინც ახერხებთ პრემიერის მომზადებას?**

— რა პრემიერებზე შეიძლება ლაპარაკი. წელიწადში ერთი სპექტაკლის დადგმას ან ვახერხებთ, ან არა. ახლახან, დეკემბერში გვქონდა პრემიერა, მსმენელს შევთავაზეთ ვერდის „რიგოლეტო“, რომელიც კულტურის სამინისტრომ დააფინანსა, რასაკვირველია მცირე თანხა გამოგვიყო, ბევრად ნაკლები, ვიდრე საოპერო სპექტაკლის დასადგმელად არის საჭირო, მაგრამ რაღაცნაირად შევძელით, ძველი დეკორაციები და სამოსელი გადავაკეთ-გადმოვაკეთეთ და ისე.

**— საერთოდ თუ შერჩათ მსმენელებს საოპერო დადგმებისადმი ინტერესი და მათთან შეხვედრას რამდენჯერ ახერხებთ თვეში?**

— თვეში 6-7 სპექტაკლს ვგეგმავთ, მაგრამ ზამთრის პირობებში ცხადია, ვერა. იანვარში ორი სპექტაკლი წარმოვადგინეთ გაყინულ დარბაზში. პრემიერაზე დარბაზი ხალხით გადაიჭედება ხოლმე, რიგით სპექტაკლზე კი საშუალო დასწრებაა, საკმარისია უფასო სპექტაკლი ვუჩვენოთ, რომ დარბაზი ისევ ივსება ხალხით, ესე იგი მათ აინტერესებთ ოპერა. ამ მხრივ უკმაყოფილონი არა ვართ, რადგანაც მსმენელთა მხრიდან გულწრფელ დაინტერესებას და სიყვარულს ვგრძნობთ.

**— და მაინც, რეპერტუარზე რის თქმა შეიძლება?**

— ყველაფრის მიუხედავად, რეპერტუარი ცუდი არა გვაქვს, იგი, ძირითადად, ეროვნულ საოპერო ლიტერატურას მოიცავს. ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, მელიტონ ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“, ვანო გოკიელის „წითელქუდა“ (ბავშვებისათვის), ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“ და „შერეკილები“, რევაზ ლაღიძის „ლელა“, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“, აგრეთვე „რიგოლეტო“, „ლუჩია დი ლამერმური“, „სოფლის პატიოსნება“, „ფიდელიო“. ორი წელია მუსიკალურად მზად გვაქვს ვერდის „ტრუბადური“ და „ტრავიატა“, მაგრამ სადადგმო ჯგუფს რა გადავუხადოთ... „ტრავიატას“ დასადგმელად გვინდა დათო საყვარელიძე მოვიწვიოთ, „ტრუბადურზე“ კი მე ვფიქრობ, ვახტანგ ტაბლიაშვილის დადგმის აღდგენას. ბატონმა ვახტანგმა სიკვდილის წინ მთხოვა ეს, რადგან მისი დადგმის მონაწილე ვიყავი, საერთოდ მის რეჟისურას საუკეთესოდ მივიჩნევ. საოპერო ჟანრში ტრადიციულობის მომხრე ვარ. შევნატრი 1996 წელს, როცა ქუთაისის საოპერო თეატრი გერმანიაში ქალაქ ბალვეს ფესტივალში მონაწილეობდა, მხოლოდ ერთი სპექტაკლი („ფიდელიო“-ძ უნდა წარმოგვედგინა. სპექტაკლს ისეთი წარმატება ხვდა, რომ დამატებით კიდევ ოთხმა ქალაქმა გვთხოვა მისი გამართვა. დასში ირიცხება რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალში გამარჯვებული ვოკალისტი, რომელთაც დღესაც თავიანთი ნიჭის წარმოჩენის შანსები უნდა მივცეთ, იმედი მაქვს იმერეთის ახალი გუბერნატორის აკაკი ბობოხიძისა და საკრებულოს თავმჯდომარის ამირან ხვადაგიანისა, რომელთანაც საუბარი გვქონდა, მათ გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი გასაჭირი და ვნახოთ, რა გამოვა... ქუთაისი არ იმსახურებს იმას, რომ კულტურის ასეთი კერა ჩაქრეს.

ესაუბრა
**რუსუდან მუხიგულაშვილი**

◎ მონატრება

# გიორგი მხეიძე

**როგორ დამანგრია, გამანადგურა შენმა სიკვდილმა, შვილო. თუმცა არა, რეებსა ვროშავ. რა მიგავს დანგრეულ-განადგურებულს? ფერხორცი არ მაკლია და მადა. კაის ვსვამ და ვჭამ. ვაი, შენ რომ აღარ ხარ და შავი მიწა გჭამს, ბიჭო! ძალლი ყოფილა მამაშენი: ვერც თავი მოვიკალი და ვერც ბერად შევდექი, რადგან პირველზე ვაჟკაცობა არ მეყო და მეორეზე — ნებისყოფა. უფრო სწორად, ალბათ, ის, რომ ეკლესიის შეგონება — უკეთეს სოფელში ხარ ბედნიერი, ვერაფრით მანუგეშებს უბედურ მამას.**



ზაფხულის ერთ ღამეს მე და ჩემი მეგობარი, სამზარეულში ვსვამდით თავგამეტებით. გამთენიისას ფეხშიშველი გამოტანტალდი. დაგიძახე, ლიმონათი დაგისხი და გთხოვე სადღეგრძელო გეთქვა. ნამძინარევი თვალებით ჯერ ჭიქას ჩახედე, მერე მე ამომხედე — სიყვარულს გაუმარჯოსო, თქვი და წახვედი. გაკვირვებისგან ენა ჩამივარდა. ეს რა თქვი, არავის დაურიგებიხარ, არავის უსწავლებია და თავად რამ მოგაფიქრა? მაშინ 6-7 წლის, ძალიან პატარა იყავი იმისთვის, რაც თქვი.

არაბუნებრივად გაწელილი სიჩუმე მე დავარღვიე, ეს ბავშვი ისეთი სუფთა, წმინდა არსებაა, მეშინია, ღმერთი არ შემარჩენს-მეთქი. რას მიჰქარავ, რაებსა ბოდავ! — გამომლანძღა ძმაკაცმა. დღესაც არ ვიცი, რა ძალამ მათქმევინა ის, რაც ამიხდა.

დრო გადიოდა... თუ რამე სუფრა მქონდა ოჯახში, თავს ვიწონებდი, გიხმობდი და შენც ყოველთვის ამბობდი — სიყვარულს გაუმარჯოს! 13 გაზაფხული გარგუნა განგებამ და გაზაფხულის ულამაზეს მაისში წახვედი. სიკვდილმა თურმე ჩემი სახელი შეგაყინა ბაგეზე და მე ამ დროს შორს ვიყავი. სხვას იქნებ ავუხსნა კიდეც, მაგრამ შენ როგორ აგიხსნა, რით ვიმართლო თავი, რატომ არ ვიყავი უკანასკნელ წუთებში შენთან. ამის შეგნებამ, ამ ცოდვის სიმძიმემ ლამის გამსრისოს. ღმერთს არა, შენ გთხოვ, შვილო, შენდობას, შენა ხარ, გიო, ჩემი მსაჯული. ეჰ, ვინ რა იცის, ჩემს გულში რა ამბავია, რა ქარიშხალი ტრიალებს.

დღეს 24 თებერვალია, 24 წლის გახდებოდი თუ გახდი...

დრო ყველაფრის მკურნალიაო — სისულელეა!..

უნაპირო სევდა მახრჩობს, უსაშველოდ მენატრები, შვილო.

სიყვარულს გაუმარჯოს, გიო!

**შენი დათო**

№ 36. შაბათი, 24 თებერვალი, 2007 წელი.

ხსოვნა

# გურამ გოგიჩაძე



ძნელია შეეგუო მეგობრის დაკარგვას მით უფრო, როდესაც ის ბავშვობის და სტუდენტობის წლებიდან შენს გვერდით იზრდება, ყალიბდება, როცა ქალაქში გამორჩეული გარეგნობის ვაჟკაცს, პროფესიონალს, თავისი საქმის ღრმად მცოდნესა და კარგი ოჯახის მქონეს ეხება.

მისი გამორჩეულობა გასაკვირი ნამდვილად არ არის მათთვის, ვინც მის გვერდით ვიყავით ათეული წლების მანძილზე. ის ხომ იმდროინდელ საზოგადოებაში ცნობილი, თბილისური, პატიოსანი, ინტელიგენტური ოჯახის შვილი იყო.

24 წლის ასაკში გახდა იგი მშენებელ-ინჟინერი და სიცოცხლის ბოლომდე უღალატოდ ემსახურებოდა ამ მეტად საჭირო და საპატიო საქმეს.

ახალგაზრდა ენერგიული ინჟინერი ქვეყნისთვის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობას ხელმძღვანელობდა. ეს ნაგებობები დღესაც ამშვენებს ჩვენს ქალაქს. „საქქალაქმშენპროექტი“ — ი. ჭავჭავაძის გამზირზე, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შენობა თამარაშვილის ქუჩაზე, მრავალპროფილიანი ბავშვთა საავადმყოფო დიღომში, საქართველოს მთავრობის შენობა (კანცელარია), ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რომლის მშენებლობისთვის მან, სხვა ღირსეულ ქართველ არქიტექტორებთან და მშენებლებთან ერთად, უდიდესი ჯილდო — სახელმწიფო პრემია მიიღო.

მისი ამგვარი დაფასება გასაკვირი არ იყო, რადგანაც მას გავლილი ჰქონდა ქართული საინჟინრო სკოლის და გამოცდილების დიდი და საინტერესო გზა.

**გურამ გოგიჩაძეს,** როგორც ნამდვილ ქალაქელ კაცს, უამრავი მეგობარი ჰყავდა, რომლებიც მისთვის იყვნენ მისი სიხარულისა და ჭირის მოზიარენი.

ქართულ ტრადიციებზე გაზრდილმა სიცოცხლით სავსე ვაჟკაცმა განსხვავებული თამადობა იცოდა. ლამაზი ქართულით სუფრას შნოსა და ლაზათს არ აკლებდა. ადამიანებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის უნარით დაჯილდოებული მუდამ მეგობრისა და თანამშრომლების გარემოცვაში ტრიალებდა, მათთან მისთვის დამახასიათებელი იუმორით ოხუნჯობდა, დამშვიდობებისას კი კეთილ ღიმილს დაგადევნებდა.

ჯანსაღი სხეულისა და სულის პატრონს უყვარდა ოჯახი, მეუღლე, შვილი და შვილიშვილები, დები და ძმა, ქვეყანა და თბილისი. უხაროდა სპორტული წარმატებები. განსაკუთრებულად ფეხბურთის ქომაგი იყო. ამიტომაც იგი ფეხბურთის გულშემატკივართა „საპატიო წევრად“ აირჩიეს, სადაც იგი დიდი სიყვარულით სარგებლობდა.

საქმის კარგი ორგანიზატორი, მცოდნე და გამოცდილი, პრინციპული მუშაკი — ასე ახასიათებდნენ მას ყველგან, სადაც კი უმუშავია. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ყოფილ მშენებლობის სამინისტროს მე-13 სამშენებლო ტრესტს, იყო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე, შპს „თბილმრეწვმშენის“ ხელმძღვანელის მოადგილე.

მას მუდამ სწამდა ქართველი მშენებლების, მათი პროფესიონალიზმის, ამიტომ აქტიურად თანამშრომლობდა კოლეგებთან მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ოცნებობდა მშვიდ, ლამაზ, სიყვარულით სავსე თბილისზე...

ამ სურვილით დადიოდა იგი სამეგობროს ოჯახებში, კოლეგებთან თუ ნათესავებთან, დიდი კაცი ლამაზად დააბიჯებდა თბილისის ქუჩებში.

ამიტომაც დაგვწყვიტა გული მისმა ზეციურ საქართველოში უდროოდ წასვლამ.

მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს მიწა.

**მეგობრები**

თენგიზ ქავთარაძე და ზაურ ფხალაძე ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ როლანდ და ლექსო გილიგაშვილებს დედის
ნადია გილიგაშვილის
გარდაცვალების გამო.

ლაური, გიორგი ჯანაშიები სამძიმარს უცხადებენ როლანდი და ლექსო გილიგაშვილებს დედის ქალბატონ
ნადია გოგინაშვილი-გილიგაშვილის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს მაია და ლაურა ვალიშვილებს საყვარელი ძმის
ლერი ვალიშვილის
გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნოე კვარაცხელია, შვილები რუსუდან, მალხაზ კვარაცხელიები, სიძე იაველ ჭურღულია, რძალი მარინა ჯინჯოლია, შვილიშვილები ირაკლი, დავით ჭურღულიები, ნინო, მარიამ კვარაცხელიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
მარიამ (მარიკა)ძ ვლადიმერის ასული
კაკაურიძე-კვარაცხელია
პანაშვიდი 23, 24 II, 14 სთ. დაკრძალვა 25 II, 16 სთ. მისამართი: წალენჯიხა, ეგიას ქ. №2.

# ბოლო გვერდი

● კონცერტზე შევასრულებ როგორც ახალ, ისე ჩემი თაყვანისმცემლებისთვის უკვე კარგად ნაცნობ სიმღერებს. უბრალოდ, გამოვდივარ და ვმღერი. არ მაცვია დაქონძილი ჯინსი, სცენაზე არ არის კვამლი — მე ნორმალური, ჩვეულებრივი მომღერალი ვარ.



## ⊙ სულიერება

# ივერიის ღვთისმშობლის ხატი



**25 თებერვალს ქართული სამოციქულო ეკლესია ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულს აღნიშნავს.**

ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერიაში იმპერატორმა თეოფილემ (829-842 წ.წ.ძ გასცა ბრძანება გაენადგურებინათ გადამალული ხატები.

...ნიკეის მახლობლად ცხოვრობდა ერთი კეთილმორწმუნე ქვრივი, რომელიც ფარულად ინახავდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს. იმპერატორის გამოგზავნილმა მხატვრებმა იპოვეს ეს ხატი, ერთ-ერთმა მათგანმა „მახვილი დასცა პირსა ხატისა“ და მოხდა სასწაული — ნაიარევიდან სისხლმა იწყო დენა. ქვრივი მთელი ღამე ლოცულობდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე, დილით კი ღვთის განგებით მან ხატი ზღვასთან მიაბრძანა, წყალში ჩაშვებულმა წმიდა ხატმა გეზი დასავლეთისკენ აიღო...

ერთხელ, საღამოს ათონის ივერთა მონასტრის ბერებმა ზღვაზე ნათლის სვეტი იხილეს. ეს ხილვა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. წმიდა მამები შეიკრიბნენ, ზღვის ნაპირზე ჩავიდნენ და ნახეს, რომ ნათლის სვეტი ადგა ღვთისმშობლის ხატს, მაგრამ, როცა მიახლოება გადაწყვიტეს, ხატი ზღვის ნაპირს გაშორდა.

ივერთა მონასტერში მოღვაწეობდა ქართველი ბერი გაბრიელი, წმიდა მთის მამების ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და აუწყა, რომ მხოლოდ გაბრიელ ივერიელი იყო ღირსი წმიდა ხატის ზღვიდან ამოყვანისა. ათონის ბერებმა ქართველთა სამონასტროს მიაკითხეს, ბერი გაბრიელი მოძებნეს და გალობით და საკმევლის კმევით ზღვის ნაპირთან ჩავიდნენ, გაბრიელი ზღვაში შევიდა, ტალღებზე ისე გაიარა, როგორც ხმელეთზე და წმიდა ხატი ნაპირზე გამოაბრძანა... ზღვიდან გამოსვენებული ხატი ეკლესიაში შეაბრძანეს და საკურთხეველში დააბრძანეს. მეორე დღეს კანდელის ასანთებად მისულ ბერს ხატი ადგილზე არ დახვდა, ძებნის შემდეგ იგი აღმოაჩინეს მონასტრის კარიბჭის კედელზე, ჩამოაბრძანეს და ისევ საკურთხეველში შეასვენეს.

ასე განმეორდა რამდენჯერმე. ყოვლადწმიდა ქალწულმა გამოცხადებაში უთხრა გაბრიელს, მე მნებავს, რომ თქვენ კი არ მიცავდეთ მე, არამედ მე გფარავდეთ თქვენო. ბერებმა იქვე ააგეს პატარა ტაძარი და ხატი შიგ დაასვენეს.

პორტაიტისას, ანუ სასწაულთმოქმედი ხატის მადლით მრავალი სასწაული აღესრულება.

* * *

**მართლმადიდებელი ეკლესია ყოველ წელიწადს დიდი მარხვის პირველ კვირა დღეს დღესასწაულობს ხატთა თაყვანისცემას და მართლმადიდებლობას.**

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

## ⊙ ჩვენებური

### ვახტანგ კიკაბიძე:

# რაღაცნაირად ხომ უნდა დამთავრდეს...

**ახლა თბილისში ვარ და ვემზადები მოსკოვის საკონცერტო დარბაზში, „Мир“-ში 28 თებერვალს გამოსასვლელად. რუსეთში ჩავალ, ალბათ, ერთი დღით ადრე და საქართველოს საელჩოს სასტუმროში დავბინავდები — იქ გემრიელ კერძებს აკეთებენ.**

კონცერტზე შევასრულებ როგორც ახალ, ისე ჩემი თაყვანისმცემლებისთვის უკვე კარგად ნაცნობ სიმღერებს. უბრალოდ, გამოვდივარ და ვმღერი. არ მაცვია დაძონძილი ჯინსი, სცენაზე არ არის კვამლი — მე ნორმალური, ჩვეულებრივი მომღერალი ვარ. გამოსვლები ყოველთვის იმპროვიზებულად მიმდინარეობს. მაყურებლები თუ შეკითხვებიან ბარათებს გამომიგზავნიან, აუცილებლად ვუპასუხებ.

ჩემი ამჟამინდელი ცხოვრება ოდენ საკონცერტო მოღვაწეობით როდია შევსებული: ვამთავრებ ფილმის სცენარს, ვწერ წიგნს, სათევზაოდ დავდივარ, შვილიშვილებს ვესაუბრები.

ერთობ მტკივნეული შესახედია ის, რასაც პოლიტიკოსები სჩადიან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა განვითარების მხრივ. ამას წინათ ვიღაცამ საჯაროდ გამოთქვა აზრი, რომ მე, ბუბა კიკაბიძე, რუსეთში საქართველოს იდეალური ელჩი ვიქნებოდი: ესაოდა, ისეთი ავტორიტეტი აქვსო, რომ მაგასთან კამათს ვერცვინ გაბედავსო. რასაკვირველია, ნასიამოვნები დავრჩი ჩემს შესაძლებლობებზე ასეთი შეხედულებით, ოღონდ საეჭვოა, რომ ეგ განხორციელდეს. არც მე ვისურვებდი პოლიტიკაში გადართვას... თუმცაღა, კაცმა რომ თქვას, რაღაც დასასრული ხომ უნდა ჰქონდეს ამ კონფლიქტს: ან სულ გაწყვიტონ რუსეთმა და საქართველომ ურთიერთობანი, ან როგორმე მოაწესრიგონ. ჩვენთან, საქართველოში, ყველას კეთილი დაბოლოება უნდა და ვფიქრობ, ასეც იქნება.

**დარია პუსტოვაია,**
**„სობესედნიკ“.**

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

## ⊙ ლარის კურსი

**24 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3409 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7130 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2257 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0649 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9694 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4796 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4178 ლარი. |

## ⊙ გვემრავლოს!

# შვილთაშვილს მოვესწარით



**— ძვირფასო რედაქცია, ჩვენ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მუდმივი მკითხველები ვართ. მოგვწონს ამ გაზეთში გამოქვეყნებული კორესპონდენციები.** როცა სტაბილური ხელფასი გვქონდა, ჩვენს ოჯახს ეს გაზეთი მუდმივად ჰქონდა გამოწერილი. იგი დღესაც ინარჩუნებს თავის ხიბლს; ის რად ღირს, რომ უანგაროდ აქვეყნებთ ბავშვების დაბადების აღმნიშვნელ ფაქტებს, ჰოდა, ახლა ჩვენს სიხარულს არ იკითხავთ? შვილთაშვილი შეგვეძინა.

მე და ჩემმა მეუღლემ ორი შვილი — ალექსანდრე და ნანა გავზარდეთ, ისინი დაოჯახდნენ. დღემდე ორი შვილით და სამი შვილიშვილით ვხაროზდით. პირველი შვილიშვილი გია დაოჯახდა. ნინოს და გიას პირველი შვილი გოგონა შეეძინათ. გიამ ჩემს შვილთაშვილს ბებიის პატივსაცემად ლიზი დაარქვა. ჩვენს შვილებს ნანასა და გივი გამეზარდაშვილებს პირველი შვილიშვილის ლიზის დაბადებას ვულოცავთ, — დაგვიკავშირდნენ თბილისში, ვარკეთილის მე-4 მიკრორაიონში მცხოვრები დიდი პაპა-ბებია ლიზი და ვალიკო ოზაშვილები.

ბედნიერი იყოს ლიზის გაჩენა ახალგაზრდა ოჯახისთვის!

**ნათელა ფაილოძე**

## ⊙ ანეკდოტები

მარო მკითხავთან მივიდა.

— ორ ბიჭს ვუყვარვარ, — ეუბნება, — მიხოსა და ნიკას. რომელ მათგანს გაუმართლებს?

— გაუმართლებს მიხოს, რადგან შენ ნიკას მისთხოვდები.

* * *



ტიპი სამსახურიდან დაბრუნდა. ცოლმა გადაკოცნა, მერე შუქი ჩააქრო და მაგიდაზე დადებულ ტორტში ჩარჭობილი 18 სანთელი აანთო.

— დღეს ვინმეს დაბადების დღეა?— უკვირს ქმარს.

— ჰო, ძვირფასო, — უპასუხებს ცოლი, — ჩემი ქურქი დღეს სრულწლოვანი გახდა.

* * *

შეფი უსაყვედურებს პირად მდივან გოგოს, რომელმაც კიდევ ერთ სატელეფონო ზარს არ უპასუხა.

— ლენა, თუ გინდათ, რომ აქ იმუშაოთ, ტელეფონის ზარებს უნდა უპასუხოთ!

— ვცადე, ივან პეტროვიჩ, — ცრემლად იღვრება ლენა, — მაგრამ ყურმილში მუდამ თქვენ გკითხულობდნენ...

* * *

იყიდება ძაღლი. ახალი. ერთხელაც არ დაუყეფავს.

* * *

სამი ტიპი საუბრობს:

— ჩემს კატას პლასტმასს ვეძახი, — ამბობს ერთი, — კნუტობისას ხუთჯერ ვცადე მისი წყალში დახრჩობა, მაგრამ არ ჩაიძირა.

— მე კი ბუმერანგს ვეძახი, — ამბობს მეორე, — როდესაც კნუტი იყო, ხუთჯერ დავტოვე სხვადასხვა ადგილას, მაგრამ მუდამ დაბრუნდა სახლში.

— მე კი ჩემ კატას ჯორდანო ბრუნოს ვეძახი, — ამბობს მესამე.

— მაგარი სადისტი ყოფილხარ!!!

— არა, თქვენ რომ გგონიათ, ის არ არის. უბრალოდ, ჩემ კატას ვარსკვლავების ყურება უყვარს!

## ⊙ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „ახალი საუკუნე“
მ. კოსტავას 14.
ტ: 899 537616; 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაზელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.